1882

წელიწადი მეოთხე.

№ I, იანვარი.

თფილისი.
ექვთიმე ხელაძის სტამბა, ლორის-მელიქოვის ქუჩაზე.
1882

იანვრის წიგნის შინაარსი.

I. მე და ონისიმე. მოთხრობა . † მიხეილ ასათიანისა
II. მოჩვენება (ლექსი) . . . პავლე კრეჭიაშვილისა
III. საჰწერლო ნატვრა (ლექსი) გობრონ ლიხელისა
IV. საახალწლო . . . . . ქიზიყელისა
V. სუსტი და მძლავრი (ლექსი) ი. დ-სა
VI. როდის იქნება. (ლექსი) . . ლ. რ—ზ—კ—ლისა
VII. ქართული თეატრი . . . სტ. ჭრელაშვილისა
VIII. „იმედის" კორრესპონდენცია კახეთიდგან . . . . . რაულ-დე-ლა-ტრამბლესა
IX. „იმედის" კორრესპონდენ-ცია ზუგდიდიდგან. . . . კიდეგ ვიტყვისა
X. შინაური მიმოხილვა . . . მ. გურგენიძისა
XI. ახალი წიგნებთაგანი. მამულის საერთო მფლობელობაზედ თხზულება ანტონ ფურცელაძისა. თბილისი. 1881 წ. . . ტატალასი
XII. რედაქციისაგან საყოველთაო საყურადღებოთ . . . .
XIII. განცხადებანი . . . . .

№ 38.

იმედი,

ყოველ-თვიური

სალიტერატურო და საპოლიტიკო

ჟურნალი.

6083

წელიწადი მეორე

იანვარი.

Академия наук ГССР
აკად. ი. გრიშაშვილის
სახელობის
ბიბლიოთეკა-მუზეუმი
Библиотека-Музей
имени
акад. И. Гришашвили

თფილისი
ეკვთიმე ხელაძის სტამბა.
1882

Дозволено цензурою. Тифлисъ, 12 января 1882 г.

მე და ონისიმე. *)

(მოთხრობა.)

ნაწილი პირველი.

(გაგრძელება.)

VI

ჩაღა ბევრი გაკაგრძელო, სოფიო ლ ილია—სიძის სახელი იყო—შეუღლდნენ ერთმანეთთან. ჯვარის-წერა პირველ სეტემბერსა ქქონდათ, ამ თვის გასვლებში კიდევ ჩამოვიდა ქალაქს მღვდლათ საკურთხებლათა. ანაგერდობის სწორზედ აკურთხეს მღვდლათა. როგორც რიგი იყო, მან სადილი გააკეთა კისერას ბაღში (ავლაბარში) და, სხვათა შორის, მეც დამპატიჟა. აქ მადლობა გამოვიცხადა, რომ იგეთი ქალის შერთვით მე შენი მოხვრხების მადლობელი უნდა ვიყოვო. აქვე ონისიმეს გამოუცხადა ისა, რომ შინაურებზედ შენ ეხლა ჯავრი ნუღარა გაქვსებ რა, ყველას მე ვუპატრონებ და, აბა ვინ-ძლო, შენ იმდენი იმეცადინო, რომ აკადემიაში წახვიდეო.

სიძის აგეთმა სიტყვამ სრულიად გამოცვალა ონისიმე.

სოფიოს გათხოვებით დადგა მისთვის სულ სხვა დრო. გულიდგან ბედნიერებით ჩამოვარდა დარდი—დედის და სხვა

---

*) დასაწყისი იხილეთ «იმედი» 1881 წ. № 5.

ობლების მზრუნველობა სიძეს აღლო კისერზედ. მან ონისიმე ყველაერიდგან განთავისუფლა. ამითი აიხსნება, რომ ის უწინდებულათ მეტათ გასარებული იყო. იმ დროებში მოვიდა ბრძანება, რომ სემინარიელები ადარ უნდა იყვნენ მწერლათა და მოშორდა თავიდგან ეს თანამდებობაც. დარჩა ხელ-მეორეთ სწავლისთვის ხელის მოკიდება. იმ დროს ის ჩვენზედ ჩამორჩენილი იყო. მესუთე კლასში, გარდა უროკების სწავლისა, სხვა არა გაუკეთებიარა. თხზულებასაც იშვიათათა სწერდა ხოლმე და წიგნს ხომ ხაკითხავათ არ აიღებდა. გადმოკიდა მეექვსე კლასში მეათე შაგირდათა და, სწორეთ რომ სთქვას კაცმა, იმის ღირსიც არ იყო. არ მისცემდნენ მას იმ ალაგსა, რომ ეგზამენიის დროს რექტორს არ მოსწონებოდეს მისი მიგებები. ამბობდნენ, მწერლებს დაუნიშნავდნენ ხოლმე უკეთ საგნიდგან თითო რამის დასწავლასა და იმას ჭკითხავდნენ ხოლმე ეგზამენიის დროსაო. ამიტომ ყველა მწერლები ბერ-ძელ რაზრიადში ასრულებდნენ კურსსაო. რამდენათ მართალი იყო ესა—ონისიმეს ეცოდინებოდა და მე კი არ მიკითხავს მისთვის ლ ბაბ როგორ გეტყვით ამაზედ ტუუვილსა. მაგრამ, გადმოკიდა თუ არა მეექვსეში, მიაწვა სწავლას ნიკორა კამეჩივით და თავს მაღლა აღარ იღებდა. კარგა შესვენებულიც იყო და მასთან „გრძნობდა, რომ ბევრს მოსცდა, ბევრი დაკარგა. ოჯმდენჯერ დაიკრავდა ხოლმე გულზე სელსა და მწარეო ოტ-ოოდა არაბულ ანდაზას: „ეასრალილს ისარს, ნათქვამ სიტყვას, დაკარგულ დროს კაცი უკან ვეღარ დაიბრუნებსაო“. მიჭყო სე-ლი სწავლასა ლ მალეც შეირიცხა ეკეთეს მოსწავლეთა შორის —ერთ წელიწადზედ დაგვთანასწორდა კიდეცა.

VII

მეექვსე კლასში შეგვხვდა ჩვენ ერთი პატიოსანთაგანი მასწავლებელი ლოდიკის და ფსიხოლოგიისა. მას მისცეს თანამდებობა, რომ მეორე წელიწადში გადავიდით. ლოდიკა გავლილი გვქონდა, თუმცა არაფერისგან არაფერი ვიცოდი ამ საგანში. გვასწავლიდა ამ საგნებს საფუძვლიანათ. თხზულებებს გვაწერინებდა მეტათ კარგ ტემებზედ. ასე მიგვიტანა, რომ ბუნებითი საგნების სწავლებას მივუყვეთ ხელი.

იმ დროს მოვიდა ახალი ინსპექტორიც ვიეკიდგან და იმან უფრო გაგვამხნევა ამ საქმეში. ჩვენა გვქონდა სემინარიაში პატარა ბიბლიოთეკა, რომელსაც „დაფარულ ბიბლიოთეკას“ ეუწოდებდით. ამ ბიბლიოთეკაში იყო წიგნები ყველა იმ დაწინაურებული მსწავლულებისა, რუსის თუ გარეშე ქვეყნელების, რომელნიც კი შესანიშნი იყვნენ ან იპოვებოდნენ რუსულ ენაზედ. ყოველ წელიწადს სეკტემბერში როცა ჩამოვიდოდით, თითო მანეთს შეგვრებამდით ხოლმე კაცის თავზედ და ამ ფულით ვუმატებდით მას წიგნებსა. ამ ბიბლიოთეკის არსებობა იცოდა ინსპექტორმაც და მაზედ სიკარგის მეტს არას ამბობდა.—მივადექით ამ წიგნების კითხვას და ისე დავისვიენით მათგან ცოდნით, რომ ზოგიერთ მასწავლებელთაგანს ეშინოდა ჩვენთან პირში შემობმისა. თხზულებების წერასაც მივუყვეთ ხელი. ჩვენ თხზულებებს საკურველებიდგან გამოჰყვანდა ფილოსოფიის მასწავლებელი ან უარესად გვამხნევებდა. შეგვიყვარდა ჩვენ იგი, მას ჩვენ შეუყვარდით. მაგრამ დიდ-ხანს ვერ იცოცხლა—ულექში ჩავარდა და თანაც გადაჰყვა.

ოინისიმეტ გატაცებით კითხულობდა ახლა კი წიგნებსა; გულსიმოდგინებით ეპურობოდა ოსტატულებების წერასაც; მაგრამ მაინც კელარ ავიდა პირველ ადგილად. არცა ცდილობდა ის ამასა. მისი თქმა ის იყო, რომ პატა მომეტებული რამ შეეძინა, თორემ რა ადგასაც უნდა წერებულიყო, ამას მეტათ გულგრილათ უყურებდა. ეს იცოდა რომ პირველ „რაზრიადს“ მას არ მოაშორებდნენ და პირველობა ან მეორეობა რა საქმირო იყო. მით მომეტებულათ, რომ იგი არა თქმობდა არასაით წასვლასა, თუმცა კი სანდისხან მოუვლიდა ხოლმე სურვილი „იქითკენაც“(რუსეთში) წასვლისა. ის უფრო მომეტებულათ სწავლობდა ანატომიას, ფიზიოლოგიას ⁊ პოპულიარულ მედიცინის წიგნებს. მასთან დაიარებოდა ჩემთან ალეთეკაში და მთხოვდა ხოლმე, რომ მესწავლებინა მისთვის წამლების შედგენა. ის აპირებდა მღვდლათ წასვლასა. წინათ ხომ ამბობდა: „ქალაღდების გაკეთების“ მეტი არა მინდა რაო, ის გადატვალა ახლა ამაზედ: მღვდელს არა გამოადგება რა სოფელში ისე, როგორც პატარათი მაინც ჭეშიმობა ცოდნა. მღვდლისთვის საქმიროა ისტორიის ცოდნაცაო. ხალხს ძლიერ უყვარს, როცა მას ძველებურ ამბავებს ეუბნებიანო. მღვდლისთვის აგრეთვე საქმიროა პედაგოგიის ცოდნა, რომ რიგიანათ ასწავლოს ხალხსაო. მღვდლისათვის საქმიროა მეურნეობაში პატათი მაინც დახელოვნება, რომ ხალხს ასწავლოს ამაშიაც რამო. ამისთვის მაქვსია თავის უურადღება ამ საგნების შესწავლასა. ამათში მარტო პედაგოგიას გვასწავლიდნენ. დანარჩენი სულ ჩვენთავათ დავიწყეთ სწავლა.

წაკითხული ჩვენთვის უნაყოფოთ არ ჩაივლიდა ხოლმე, მით მომატებულათ, რომ საცა კი ორი და სამი სემინარიელი თავს მოიყრიდა, ბალკონზე იქნებოდა თუ ოთახებში, აუცი-

ლებლათ აგვიტუდებოდა გახალებული ბასა—ბასობა, რომელსაც ვეძახოდით „სპორსა“, იმ დროს მეტათ გაძლიერებული იყო ჩვენში—სხვა-და-სხვა მაღალ კითხვებზე. მოდი და, თუ შეგიტუკია რამ ამ საგანზე ან წაგიკითხნია, ნუ დაეჯაჯგურები ორთავე ხელით, რომ გამოიყენო ან მოწინააღმდეგემ არ „გაგვორეს“, როგორც ვიტუოდით ხოლმე ბაში დამარცხებულზე.

უველაზე შესანიშნავი და ნაყოფიერი გავლენა იქონია ამ კითხვამ და ბასობამ ონისიმეზე. იმან ისე შეითვისა ყოველივე წაკითხული ან გაგონილი, რომ როდესაც ის დაწყობდა დაპარაკს, კაცს ეგონებოდა უველაფერი იმას თითონ სცოდნია, თითონ უნახავს, თითონ გამოუცდია ან გამოუგრძვნია და არა წიგნებიდგან შეუძენია. ეფერო მომატებულათ წერა უყვარდა ონისიმეს. მას ჰქონდა შეკრული რამდენიმე რვეული. ამ რვეულებს თავზედ ჰქონდათ წარწერილი ქართულათ შემდეგი: „ამ ქვეყანაზედ მარტო ერთი ადგილია უველასათვის საკურველი—ადგილი პატიოსანი კაცისა. რომელიც ასეთ ადგილობაშიც არ ეცდება მაზედ მოიკეტოს, იგი დარჩება საბოლოოთ ან რეგვნათ, ნუ ავაზაკათ“. ამ რვეულებში სწერდა ხოლმე იგი თავის ფიქრებს. სწერდა ეფერო ქართულათ. აგეთი რვეულები, საზოგადოთ ბეურნა ჰქონდა. ამ რვეულებში ზოგი სწერდა ანგარიშს თავის-თავზე, ყოველ წიგნზედ, რომელსაც კი წაიკითხავდნენ, თავის აზრს გამოსატყვლნენ ხოლმე, აგრეთვე ამოსწერდნენ, რაც აზრები, ადგილები მოეწონებოდათ მასში.

ქართულ, საამბობლო ენასაც, როგორც სხვა უველაფერს, ჩვენ ჩვენთაკენ ვსწავლობდით ეფერო. გაშმაგებით ვეძებდით ქართულ წიგნს და რა დროებისაც უნდა ყოფილიყო—ასალს თუ ძველს წაეკითხველს არ დავსტოვებდით, თუ კი ჩაგვი-

კარდებოდა ხელში. „ტისკარში“, «მასარებელში», „დროებაში„ და „მნათობში“ იპოვება ნიმუშები მაშინდელი სემინარიელის კალმის ნაწარმოებისა. როგორც თარგმანი, აგრეთვე ორიგინალური სტატიებიც კარგა მოინახებოდა მათში. ერთმა ჩვენთაგანმა გომერის პოემასაც დაუწყო თარგმნა და ნახევარზედ მეტი გადმოიღო კიდეც მშვენიერი ქართული ლექსითა. სრულებითაც გაათავებდა, რომ ვიდასაც ხელი არ ავლებინებიოს. ეთქვა: გომერს არაკითარი მნიშვნელობა არ ექნება ჩვენ მწერლობაში და თავი გაანებეო. მოკლე-მოკლე ლირიკული ლექსების მთხზველთ ხომ რიცხვი არა ჰქონდათ. ამ საქმეში „კამჩატკელები“ უფრო დახელოვნებულნი იყვნენ. სემინარიაში იარებოდა რამდენიმე ხელთ ნაწერი რვეული, რომელთშიაც იყო სემინარისტების ლექსთა კრება. ჟურნალი — «ხმა უდაბნოდგან», რომელშიაც გამოხეთქა სემინარიელთ ტკივილის ძალამ, სრულებით სხვა იყო.

ყველაზედ მომეტებულათ ილია ჭავჭავაძე მოგვწონდა ჩვენს ახლანდელს მწერლებში. ყველა მისგან დაწერილი — თითქმის, ზეპირათ ვიცოდით. აკაკიც მოგვწონდა. მაგრამ ილიასთან მას ფეხი ვერ გაეწვდებოდა. ჭავჭავაძე მიგვაჩნდა ჩვენ დედა-ბოძათ, მამა-მთავრათ ჩვენი ახლად გატოტხლებული მწერლობისა. ჩვენის წარმოდგენით, ისე არავის შეეძლო ჩაეხედა ქართველი კაცის გულში, როგორც ილიას. მის ნაწერებში ვხედავდით კაცის ნაღველს, დარდს, შიგ შუა გულიდგან ამოღებულს და გამოთქმულს ნამდვილი ქართული სიტყვით. არ დაგიმალავთ იმასაც, რომ ამ კაცის სიყვარული და პატივისცემა თითქმის გაღმერთებამდე ადიოდა. ეფრო მისთვის გვიყვარდა ეს კაცი, რომ მის სიტყვასა და საქმეს შუა წინააღმდეგობას ვერას ვპოვებდით, მაგიერათ, ვგრძნობდა, რომ

იგი არის გამასორტიელებელი თვისი ქადაგებისა. ხმა იყო, რომ მთელი დუშეთის მაზრის სალხი, სადაც ისა მსასურებდა მაშინ, უფრო გლეხ-კაცობა, ფესზედა დგას ლ მაზედ ლოცულობსა. ვსცდებოდით ჩვენ მაშინ, თუ მართალნი ვიყავით,—ეს სხვა კითხვაა; მე ვამბობ მხოლოდ მას, რაც მინახავს ჩემი თვალით ლ რაც გამიგონია ორთავ ჩემი ყურებით. ერთიც კიდეკი რა გითხრათ. ალარ მასსოვს კი როდისა, და „დროებაში“ გამოვიდა ცაგარელის სტატია მიუნხენიდგანა, თუ ვენიდგან გამოგზავნილი. ამ სტატიაში ის არჩევდა ჩვენ ახალ მწერლებს და ათავებდა ილიას ლექსების გარჩევითა. იგი წუნსა სდებდა ზოგიერთა მის ლექსთა მით, რომ მათში სულ აზრებია, გრძნობა კი არა ძევს ანუ ნაკლებათა ძევსა. აგეთ აზრზედ ჩვენ ბევრი ვიცინეთ, თითქო სამასხარაოთაც გაგვიხდა ზოგიერთი გამოთქმები სტატიიდგან. მასთან გულიც მოგვდიოდა, უპატიურათაც მოექცნენ ზოგნი იმ ნომერს „დროებისას“. მზა ვიყავით პირში მივსწვდენილიყავით, გამოგვეღადრა, გავსწორომოდით, რომ რათ ამობ შენ მაგეთ სიტრუკვეს, გმობას, რათა გვეშრი თავსა. უფრო იმაზედ გვიბრაზდებოდა გული, რომ ისეები გვესმოდა იმ კაცის პირიდგან, რომელიც ჩვენი ბანაკიდგან იყო გასული და რომლითაც ჩვენ თავი მოგვქონდა გოგარსავით.

სალიდინოთაც უფრო ილიას ლექსები გვქონდა. უნდა გეუურებინათ ჩვენი სიხარული ისათვის, როდესაც, სადილსა და ვახშამს შემდეგ, შემოუსხდებოდით ხოლმე გიტარას და გატაცებით დავსძახოდით—უფრო მომეტებულათ — «სტუდენტების სიმღერას»:

„დედამ რომ შვილი გაზარდოს,
ემაგრე ჩვენისთანაო —

ძმურად გამოსადეგნი ვართ
ყველგან და ყველასთანა!...

ეს ლექსი რომელიც იმ დროს ბეჭედში არ იყო ჯერეთ გამოსული, ყველამ ზეპირათ იცოდა ლ ფიცსაც სდებდა თავისთავზე, რომ გაეტარებინა, გაეხორციელებინა თავის ცხოვრებაში ის ჭაზრები, რომელნიც მასში არიან გამოთქმულნი.

VIII

ონისიმე იყო ბუნებით მეტი კეთილი ასალ-გაზდა. იმისგან წყესა არავის მოაგონდებოდა. ამასთან ამსანაგებზედ იყო მეტათ თავ-დადებული, რაისათვისაც ყველას სემინარიაში ის ძრიელ უყვარდა. მაგრამ მომეტებულათ საყვარელი იყო სასულიერო სასწავლებლის მოწაფეებისთვის. იმ დროს, რა დროების ამბავზედაც მე ვლაპარაკობ, სასულიერო სასწავლებელი იმყოფებოდა იმავე სასლში, რომელიც ეხლა საკუთრად სემინარიას უჭირავს. თითქმის ყოველ საღამოთი ჩავიდოდა ხოლმე დაბლა, შამოისვეკდა გარს ამ პატარა შაგირდებს და ემუსაიფებოდა მათ მეტათ გასარებული და მომცინარი სახით. უკეთესი მასწავლებელიც და პატრონიც იმათთვის ონისიმე იყო: ვისაც რამ უმს�დებოდა, იგი გაუადვილებდა ხოლმე, ვინც სიზარმაცეს მიჰყობდა სელსა — ის იყო მომშლელი, ვინც დარდიანათ გახდებოდა, ანუ ავათ—ის იყო ნუგეშიცა ლ ეურის-მგებელიც. ამსანაგებმა ამაზედ „პატარა სოკრატი“ დაუძახეს მას გამოცვლილ სასელათ.

არ შეიძლება კაცმა თქვას, რომ ონისიმე ვითომც ეკე-

ლას სკრობნებოდეს ან ნიჭითა და ან ცოდნით. არა, იყვნენ სამნიც, რომელნიც მაზედ სწავლაში მაღლა იდგნენ, მაგრამ ყველა ამხანაგების თვალში ონისიმეს უფრო თავი ჰქონდა და მის სიტყვა უფრო იყო ხოლმე გავლენიანი, ვიდრე სხვისა. ეს უნდა აიხსნას იმით, რომ ონისიმე სხვაზედ ძლიერი იყო თავისი ხასიათით. აგეთი მისი ხასიათი, თითქმის, შესაშურელი იყო. და თვით მეც, აბა რა დავმალო, მშურდა—მე, რომელიც ვამტნეკდი ჩემს თავს დაუდგრომლობას, თეკზიკით ტრიალს.

ონისიმეს ბ. ხიარასა მღვდლათ წასვლა ორის წლის წინეთ კურსის შესრულებამდი. ერთსულ, როდესაც წაეკითხა მას „ბლახის ნაამბობი“, კარგა ხანი ჩაფიქრებული დადიოდა და ხმას ალარ იღებდა. მღვდელს, რომელიც ჭეკვს ილიას გამოუვანილი ამ მოთხრობაში, ძრიელ ჩაებღუკა ეს კაცი და თვალიდგან თურმე არა შორდებოდა. კეირა დილა იყო, გამოვედით ჩვენ ბაღში „მყავ-თავის“ საყლაპვაკათ, როგორც მაშინ ვიტყოდით ხოლმე, ღ ა ი მაშინ ვუთხარ ონისიმეს:—კაცო, რათ წარ ეს სამი-ოთხი დღეა მაგრე ჩათხრობილი და ხმის ამოღებაც კი ალარ გინდა?

ონისიმეს ჯერეთ თითქოს არც კი ეწადა პასუხის მიცემა, მაგრამ მერე დაიწყო ასე:

— იცი, გიორგი, როდის ეშველება ჩვენ ხალხსა?! მაშინ, ჩემო ძმაო, როდესაც გაუმრავლდება აი თუნდ მაგეთი მღვდლები, რომელიც ჭეკვს გამოუვანილი ბ-ბ-ს „ბლახის ნაამბობში“. მხოლოდ აი მაგათთანა თავის სამწყსოზედ თავ-დადებულ პირთ შეეძლებათ ტრემლის მოწმენდა ჩვენი . . . ხალხისა, მის ნუგეშის-ცემა . . . ვისაც ნამდვილათ სურს ხალხის შველა, . . . იფიქროს პირველათ სამღვდელოე-

ბის წამოუენებაზედ, მის ღირსეულათ შემზადებაზედ თვის მაღალი დანიშნულებისთვის. ჩვენს ხალხს ძლიერ მიაჩნდა საძღვდელო ბირი; მისი სიყვარული და პატივის-ცემა ძალიანა ჭქონდა, ამიტომაც სულიერი მამის სიტყვა და დარიგება იყო ხოლმე ყოველთვის მაზედ გავლენიანი, ძლიერი. ეხლაც არავის შეუძლიან იმდენი კეთილის დათესა, მეტადრე სოფელ ალაგას, როგორც მღვდელსა, რომლისთვისაც ხალხს შაურჩენია აქნობამდის კიდევ წინანდელი სახელი „მოძღვარო“. მაგრამ ჩვენი მოძღვრები, საუბედუროთ, კარგა ხანია, ველარ მოძღვრობენ. ძრიელ დაბალა ჩამოჭკრეს მათ თავი, დაეცნენ ხალხის თვალში... ხალხმაც ამოითვალ-წუნა იგინი ლ ესეც არის, რომ ბევრი გამოითურთხება ხოლმე კიდეცა მათთან უეცრათ შეხვედრის გამო. უფრო ეს უკანასკნელი მოვლენა მეტათ საამწუხარო რამ არის და აი ამისგანაც ვიუაკ მე ესე თქვენ წაღებული.

ონისიმე მელაპარაკებოდა დაბალი ხმით, მაგრამ მისი სიტყვები კი გამორკვეულად ისმოდნენ. საზოგადოთ, იმან ლამაზი და დალაგებული ლაპარაკი იცოდა ხოლმე, მეტადრე თუ საკლაპარაკო საგანი მოსწონდა, ანუ «სიფილოსოფოსი» იყო, როგორც მაშინ ვიტყოდით ხოლმე.

— მერე ჩვენ რა ვქმნათ? ვკითხე მე, როდესაც შედგა ოგი და, ეტყობოდა, ალარ უნდოდა ლაპარაკის გაგრძელება.

— ჩვენ ის უნდა ვქმნათ, დაიწყო იმან ცოტა ხნის შემდეგ და დაიწყო წინანდებულათ აუშფოთებლივ, რომ ვისაც ცოტათი არის მაინც ადამიანის ფერი ბავშვს და კეთილობრობის სიყვარულში თავსა ვსდებთ, უნდა შევდგეთ მღვდლათ ლ გაუსდეთ ხალხს ნამდვილი მამა, მოძღვარი, მწყემსი. ჩვენში საამწუსო დიდია და ამ საამწუსოს ჩვენგანაც აქვს თავლები მო-

ქცეული, მოგვეფლის, რომ აი ეს არის გამოვლენ, მომეუსტრონებიან, მწყემსობას გამიწევენო. ჩვენ კი ამას უურადღებას არც კი ვაქცევთ ლ მივრბივართ აქეთ იქით: ზოგნი მასწავლებლად, ზოგნი უმაღლეს სასწავლებლებში, ზოგნი სამოქალაქო სამსახურში ვპოულობთ ალაგს და ამ დიდ და უპირველეს ჩვენს თანამდებობას კი უტოვებთ ნაბოლოვარა, ყარტალ-ყურტალ ბირთა, რომელთაგანაც ვერა კეთილსა და სამაგალითო საქმეს ვერა ჭხედავს სალხი...

— კარგს ამბობ, შეტათ მოსაწონს, გავაწყვეტინე სიტყვა, მაგრამ როგორ ვიცხოვროთ, რომ წავიდეთ ჩვენც მდვდლათა?

— ვიცხოვროთ ისე, როგორც სალხი ცხოვრობს, მომიგონეთ ან შაუოვნებლივ და ცოტა არ იყოს სალხისანათაც. სალხი ღარიბია—ჩვენც გამოვცადოთ, რა გემოსია ეს სიღარიბე. სხვა რამ მწუხარება და ვაება დაადგება — ავიტანოთ ჩვენც მასთან ესეები. და თუ იმას ვიზამთ, რომ წამოვახედებთ და წელში გავმართავთ ჩვენ სამწყსოს—ალბ ჩვენც შაღავათი მოგვეცემა ამითა. ჩვენ უნდა ვიქმნეთ ჰალხის ნამდვილი მამა, თანამოძმე, მის ჭირისა და სიხარულის გამოზი, მის უბედურებისა და ბედნიერების თანამოზიარე, რომ ნამდვილათ —

„მისი წულული გვაჩნდეს წულულად.
ბეეწოდეს მის ტანჯვით სული,
მის ბედით და უბედობით
დაგვედაგოს მტკიცეთ გული!“

აი მხოლოდ მაშინ გაგვიცნობს ჩვენ ხალხი და მიგვიღებს თავისად...

არა ნაკლებ ოინისამესი მქონდა. მეც ხალხის სიყვარულიც ძალსა და რბილში გამჯდარი. მეცა ვფიქრობდი მის სამსახურში სიცოცხლის დალევას, დიდი იმედიც მქონდა თავზედ; მაგრამ მაინც კითხვა მივე—

— გგონია რომ მაგარ ნიადაგზედა დგეხარ? გუთხარ და პირშიაც შეკვედე ღიმილით.

— რასაკვირველია, ბევრს არ მოეწონება ჩემი აზრები, მომიგო უფრო მომეტებული სერიოზნული ყოლოთი, ბევრიც მეტუკის: შენ ჯერეთ ემაწკილი ხარ, ჭკვაში დაგეთვრინავენ ფიქრები, რომცა დაბლა ჩამობრძანდები, პირის პირ შაჭხედავ ცხოვრებას, შემოგეხვევიან ფიქრები, ასტეხენ ბღავილს, დაგიწყებენ თხოვნასა—„მამავ, წაღა მიყიდე“, „მამავ, ქუდი არა მაქვს“, მამავ, ასალუხი“, და სხ. მოგადგება ცოლიც ათას-ნაირი საჭიროებებით,—მაშინ სულ სხვა ხმაზედ შემოსძახეო. აბა მაშინ გადააგდებ იქით ანათორასაც, ოლარსაც, ქრისტიანობრივ სიყვარულსაც, როდესაც გაჭირება კარზედ მოგადგება და დაგიწყებს ოკეხის ბრალუნსაო. მაგრამ მე ვერავინ დაშაკერებს იმაში, რომ სოფელს არ შეეძლოს მღვდლის დარჩენა, თუ მღვდელმა მოუარა მას, როგორც რიგია. რასაკვირველია, ის ფარა ვერათვერ რძესა ან ერბოს მისცემს ბატონს, ვერათვერს ბატენებს დაუზდის, რომელსაც მწყემსი არ უკვრგა, არა ზრუნავს მის საძოვარზედ ან თვისი მღვიძარეობით ხელს არ უწყობს მასა. რათ ემდურიან ჩვენი მღვდლები ხალხსა? განა აქვსთ საბუთი ამისათვის? სრულიადაც არა! აბა მითხრან—რა ამაგსა სდებენ იგინი მათზედ, რომელნიც «მამაოს» ეძახიან და რომელთაც კიდევ იგინი „შვილს“? რა ეთილსა და სარგებლო გზაზედ აყენებენ იგინი იმათ, რომელნიც მათ უწოდებენ ამ დიდ მნიშვნელობიან სახელს „მო-

მდგარრ“? ანა იგინი, როგორც მწუემსნი, განა მწუსოებენ ერ-ს, იხსნიან, ითვრვენ იმ ბოროტებიდგან, უსამართლოებიდგან, რომელნიც ესე მოდებულნი არიან ჩვენში? არ მგონია!...

ონისიმეს დაპარაკს ასლა კი ეტყობოდა აჩქარება, თითქო ბრაზების მორეულობაც. ვინ იცის, რაები არა ჩამოეთვალა მღვდლების საქციელიდგან, რომ მე სიტყვა არ გამეწყვეტინებინა.

— მე თანახმა ვარ იმაზედ, რომ სამღვდელოება მეტათ დაცემულ მდგომარეობაში იმყოფების, მაგრამ, ესეც უნდა ვითხოს კაცმა—რა მიგიცია მისთვის და რასა სთხოულობ!? კოკასა შინა რაცა სდგას—იგივე წარმოდინდების.

ამ უკანასკნელმა სიტყვებმა შეაუენეს ონისიმე. მან თავი მოიქნია და მითხრა დაბალის ხმითა.

— კარგი, მეც უნდა გსთქვა, რომ თვით სამღვდელოებაა არ არის იმდენათ აქ დამნაშავე, რამდენათაც ის, ვინც მიიყვანა იგი ამ მდგომარეობამდის.

— ე. ი. დრეობა? ვკითხე მე აჩქარებით.

— რაც უნდა დაუძახე, ჩემო ძმაო, მომიგო მან ამოოხვრით, თუნდა დრეობა დაუძახე, თუნდა გარემოება და თუნდ ბერონენებას ჩიაწერე...

ონისიმემ კეთარ დაათავა პასუხი, რადგანაც ქეგეხვდნენ სხვა ამხანაგებიც და გაგვაწყვეტინეს დაპარაკი.

IX

შემდეგ ასეთი დაპარაკისა მეც საშინლათ შემაიქრა სამღვდელოების ეხლანდელ დაცემულმა მდგომარეობამ. ადარა

მშობლებმა კარგა ხანს თავიდგან შემდეგი კითხვა: რა არის მართალ ეხლანდელ დროში მღვდელი და ან რითი განირჩევა იგი ერიდგან? აგეთ კითხვაზედ ოჯველთვის გამოესმოდა ერთი და იგივე პასუხი და ამასთან ისეთი სამწუხარო, რომ მეტივ ოფლსაც გამოამურიდა ხოლმე შუბლზედა. ვხედავდი, რომ მღვდელი განირჩევა ერიდგან მხოლოდ ანაფორით, რომელიც ეხლა ვაჭრობაში არის ჩავარდნილი. რა დანიშნულებას ასრულებს, რას მისდევს ეხლა სამღვდელოება? ვკითხამდი კიდევ ჩემ თავსა. მისდევს მას—ისმოდა პასუხათ, რასაც მთელი ქვეყანა!... როგორც ქვეყნის შვილნი, იგინიც მართლად ქვეყნისანი გახდნენ, მას შეუთვისდნენ და ხელიც მიჰყვეს მხოლოდ მიწიერ საქმეებს. წავიდა ის დრო, ვამობდი ხოლმე ამოხვრით, როდესაც სამღვდელოებას მიუტანია ოფელი, და უტრიალებია ქვეყანა ჭკვიანურ და ვაჟ-კაცურ გზაზედ. ეხლა სულ სხვა არის: ეხლა ოფელსა ჰყავს მიტაცებული იგი და ატრიალებს მას ისეც, როგორც თითონ უნდა. წინანდელნი მნათობნი, სასულიერო პირნი, რომელთაც დიდი ღვაწლი დაუდვიათ ეკეკლესიისთვისაც და მამულისთვისაც, რომელთ სიტყვასაც ჰქონია ანდამატური ძალა, ეხლა არამც თუ იშვიათი შეიქნენ, არამედ საარაკო პირებათაც გარდაიქცნენ: მაგრამ რათა და როგორ დაგვემართა ჩვენ ეს საქმე? ეს კითხვა მე საშინლათ მტანჯავდა და ვერც ვპოვებდი მის გამოსასსნელ და გასაღებ კლიტეს. ოსანამემაც არა იცოდა რა ამაზედ ნამდვილი. ჩემი ფიქრები ოჯველთვის დაბოლოვდებოდნენ ხოლმე იმითა, რომ მარტო ღირსეულმა პირმა უნდა გაბედოს მღვდლობის აღება ან თუ ჩვენ მოვირიდეთ თავიდგან ეს თანამდებობა და ულირსთა ხელში ჩავაგდეთ, მაშინ, რა გასა-

კვირი იქნება, მამა-პაპიდგან მტკიცეთ შენახული ქრისტეს მცნება ხელიდგან გაგვეპაროს, მეთქი.

მღვდლათ წასვლაზე მეც ვფიქრობდი, იმედიც დიდი მქონდა ჩემს თავზედ, მაგრამ ეჭვიც კი სანდისსან მესტუმრებოდა ხოლმე, რასაც არა ვმალავდი ონისიმესთან.

ერთხელ მე და ონისიმე დავდიოდით სემინარიის ეზოში ლ ვლაპარაკობდით მომავალს ჩვენს მოქმედებაზედ. ეს იყო საღამოს ყამს, შემდეგ ლოცვისა. ეზოში მარტო ჩვენ ვიყავით, სხვანი კი ჯგუფ-ჯგუფათ დადიოდნენ ბალკონზედ ლ ჭქონდათ ატესილი ბასი, სიცილი. ზოგნი ოთახებში წიგნს მოსსდომოდნენ, ზოგნიც მღერობდნენ, ოამაშობდნენ. ცა იყო მშვენივრათ მოწმენდილი, მთვარე და ვარსკლავები გასარებული თვალით დაიყურებოდნენ მაღლიდგან, თითქო იგინიც მონაწილეობას იღებდნენ მე და ონისიმეს ტკბილ ლაპარაკში. როდესაც დავსსედით აკაციის ქვეშ, მე ღიმილით ვუთსარი:

— ჰო, კაცო, ეს უკელაზეერი კარგი, რასაც ვლაპარაკობთ, მაგრამ კაი—თუ სხვასავით ჩვენც სასაციილო საქმე დაგვეპარ-თოს—ესლანდელი სიტუკები მარტო სიტუკებათ დაგვრჩენ და საქმით კი ვერა-მოვახერსოთ რა. კაი თუ ჩვენც მაშინ ოცნებათ შეკრიცსოთ ჩვენი ეს ესლანდელი დრო, ფიქრები და ჩვენს პოეტთან განვიმეოროთ:

«ოს, სად არიან, სიჭაბუკეკ სიტკბოსი შენნი»?!...

— მაგისთანა საქმე, რასაკვირველია, ჩვენც უთუოთ დაგვემართება, მიპასუხა მანა, თუ ესლავე არ წარმოვიდგენთ, რომ ჩვენი გზა და კვალი, რომელთაც ესლა ვირჩევთ, ნარითა და ეკლით იქნება მოდებული და არა ია და ვარდის ფოთლებით

მოთვენილი. !? ნა-
თქვამია: „ნუ შეხვალ, ნუ ებაძები, თუ გამოხვალ, ნუ თრთიო“!
თუ ჯერეთ ბანაობა არ ვიცით, ფეხი არ უნდა შეეხდგათ წყალ-
ში. თუ შეეკედით ან მერე შიშის კანკალი, თრთოლა აგვიტყდა,
ამაში ჩვენვე ვიქმნებით დამნაშავენი, და თუ ეს სხვასაც გაგა-
გონეთ—სასაცილო ან თავ-მოსაჭრელი საქმე იქნება ჩვენთვისა.
წყალთან ბუმრობა არ შეიძლება. აგრეთვე არ შეიძლება ხუმ-
რობა ცხოვრებასთანაც. მეტადრე იმისთანა თანამდებობის
ადება, როგორც მღვდლობა, სულხის წინამძღოლობა ყეთი-
ლისაკენ, ნეტარებისაკენ, სასუმარი საქმე არ არის.

ოანისიმე ლაპარაკობდა ამას ისეთი დამტკიცებული ეი-
ლოთი, ასე ეგონებოდა კაცს—ეს ჯერეთ დაბერებულა და მე-
რე გაასალ-გაზდებულაო. მეც მეჯერდა მისი იმედიანი ლაპა-
რაკი, მაგრამ მაინცა ვკითხე:

— ნუ თუ იმათ, რომელნიც შესულან ცხოვრებაში ყეთი-
ლი განზრახულებით ან მერე მუსლებში ჩაკეტილან, დაუწყვიათ
სამდურავი სოფელზედ და ანალგაზდობის ფიქრები ოცნებათ
შეუთვლიათ, ნუ თუ იმათ—ავამაღლე ლაპარაკი—არა ვეცოდინათ
წარმოდგენილი წინათვე, რომ . . . ეტანჯველათ
იგინი თავს ვერ გაატანდნენ?

— რატომ, წარმოდგენა მაგისა ექმნებოდათ, მომიგო იმან,
მაგრამ ამ დროს ალბათ დაავიწყდებოდათ, ანუ არათ ჩაეგდებ-
დნენ, რომ . . ყველა ასალ-გაზდისთვის, რომე-
ლიც კი ჭეიქრობს ეატიოსნური შრომით ცხოვრებაზედ, მო-
ყვასის სამსახურში დღის დალევაზედ, საჭიროა ბევრდი ფო-
ლა ნამდვილი მეუღლისა, რომელმაც მასთან გასწიოს ჭაპანი,
უდროო-დროს არ მოწყვიტოს ჯანზედ და არ დასცეს. მე
ვფიქრობ, რომ მეუღლის ამორჩევაზედაც იგინი ძრიელ შე-

სტდებოდნენ, გაძოუდგებოდნენ ან ქალის სიდამაზეს, ანუ მის ქრთამ-მზითევსთა და იმას კი დაივიწყებდნენ, რომ შეეძლებოდათ მათგან ამორჩეულ ქალებს მათი აზრისა ან განძრასულობის გაგება და გაზიარება, მათი ნამდვილი მეუღლეობა თუ არა. ქალი და მხოლოდ ქალი ეოთვილა და არის კიდეც კაცის გმირათ გამხდელი ან აგრეთვე უვარგის მჩვრად გარდამქცევიც.

— მაგას მართალს ამბობ, მიუგე მე, უკელაფერში თანხმობას ვაცხადებ, მაგრამ ეს მინდა გკითხო: გგონია იპოვო ჩვენს ქალებში იგეთი, რომელიც უყურებდეს ცხოვრებას შენი თვალებით და რომელიც, ნაცვლად მაგისა, გათხოვებას არ იდგენდეს იმ წალკოტათ, სადაც ის და ვარდი სულ უნდა ეყოდნენ და იადონ-ბულბულები განუწყვეტლათ ეგალობდნენ — მერე რაზედ? სულ სიყვარულის ტრფობაზედ! აბა მოიგონე, რას ამბობენ ბ. ერისთავის მაკა-ნინუცაები.

«ტრფობაა ქალთა ნუგეში, სხვა რა გვაქვს სოფლისა ლხინი?
ტრფობაა ჩვენ დიდება, ჩვენი სიტკბო ან გვირგვინია».

— ძრიელ შესტდები, დაცინებით მოიგონ ონისიმემ, თუ შენც მაგ აზრს დაადგები, რომ ქართველი ქალი მარტო ტრფობისთვის იყვნენ გაჩენილნი, რომ მათი ნამდვილი დიდება, სიტკბო და გვირგვინი ტრფობა იყოს, როგორც ეს მაკა-ნინუცაებსა ჰგონიათ. ეგ ბევრათ შემცდარი ჭაზრია, მაგას მოსაზრება უნდა და არა განძლიერება. მაკა-ნინოები არიან ჭიანნი ხიდნი, ახალი დროებისაგან მოსსმულნი. ეგენი არ არიან ნამდვილი ქართველი დედის ძუძუთ გაზრდილნი, მაგათი აგვანი არ გადარწყებულა ქართველი დედიდგან, მაგათ არ გაუგო-

ნიათ ქართული «ნანა», არა მსხდარან ეგენი ქართველი დედის მუსლთან და არც არაფერი გაუგიათ რა თვის მაღალ დანიშნულებაზედ, თვის ღვთიურ ვალზედ. ქალი იყო ჩვენი "ნამდვილი" დედა-ბოძი, რომელიც იმაგრებდა თავის მხრებზედ მრთელს ჩვენს ყოფა-ცხოვრებას და ბედ-უბედურობას. . .

— ეგ ყოფილა მაშინ — გავაშვებინე სიტყვა — როდესაც ჩვენ დედას თავისი ქალი მუსლთანა სჯდომია, გარდაუცია მისთვის თავისი სულისა და გულის ძალა, უსწავლებია ცოცხალი მაგალითებით სარწმუნოების დაცვა, საძოქალაქო გრძნობების შეთვისება და მით მწარე ცხოვრებაში ადამიანური სიტკბოს შეტანა. ესლაღა — ესლა ეს დიდი და ფაქიზი მოვალეობა აუღია კისერზე სკოლას და ჩვენებურ დედას კი მოუშორებია იგი თავიდგან. და რა გამოვიდა ამისთანა გადამრეობიდგან? — გამოვიდა ისა, რომ, არამც თუ თვის დანიშნულებაზედ, საღმრთო ვალზედ ჩვენმა ქალებმა არა შეიტყეს რა, არამედ თვით დედა ენაც კი დაივიწყეს ანუ სათაკილოთ გასადეს მაზედ ლაპარაკი.

ოხისიმე გაჩუმდა, ეძნელებოდა თითქოს ბასუხის მიცემა, რადგანაც ჭკრძნობდა, რომ მე მართალს ვეუბნებოდი. ცოტა ხნის შემდეგ დაიწყო ასრე:

— მე წელანგე გითხარი, რომ მაკა-ნინუცაები და მათნი მსგავსნი არიან ასალი დროების ბიანი ხილნი, მეთქი, ამ ასალმა დროებამ მარტო მუქთაობას, ბრანჭა-გრესიობას, ჩაცმა-დახურვას, ლეშათ მოშვებას, და ულირსო ტრფობას მიაჩვია ჩვენი ქალნი, თვისი სამღვთო ვალი კი დააივიწყებინა. მაგრამ მე მაგეთნი ქალნი არა მყვანან სასეში. მაგათთვის ადგილი მუშა ასალ-გაზდის სასლში არ არის. ეგენი შიემსგავსებიან ძველი დროების იმ ხელთ-უყარა და ენა მრავალა ქალებს, რო-

მეფნიც გადადებულნი იყვნენ ხოლმე თავრის ჭარემისთვის ლ
რომელთაც არასოდეს არ დაუმსახურებიათ სასელი ქართველი.
დედისა.

— დედაც რომ აღარა გვყავს, ... რომელსაც
წინანდებურად საბოქაულოდ მოგლინებისადმი გული უტეხდეს?!
ვკითხე მე განცვიფრებით.

— თუ მე და შენ ვერა ვხედავთ, დაიწყო იმან შესურებუ-
ლად, ეს იმას არ ამტკიცებს, რომ სასენებაც კი . . . . . იყ
ჩვენში . . . . . დედისა. იგი კიდევ არის, მისი უბვდავი
სული კიდევ ძლიერია ჩვენში და აი ეს . . . . . სული
დაგვტრიალებს თავზედ . . . ვანგებამ დედ ყვეთის-მშობელს
არგუნა წილად ეს ჩვენი ბატარა ქვეყანა. ანდრია მოციქული
ორჯერ ეოთვილა აქა, მაგრამ მას ვერაფერი გაუწყვია, ვერ
მოურჯულებია ჩვენი სული. წმიდა ნინოს ქადაგებით კი მას
მაშინვე სული აუღია ეერეთ-მსასურებიდგან, უცხვია მირონი
და მტკიცედაც დაუცავს ამ უკანასკნელ ყამამდე მატარაარის
სწავლა. აქ ისიც ეურადღების მისაქცევია, რომ ჩვენში ნი-
ნოს მრწმენებელნი და მისი ქადაგების მიმდებნი ბერეფენთ
ქალები ეოფილან. მაშასადამე ეხლაც ქალებისგან მოველოთ
ჩვენ სინათლის, მეცნიერების კარების გაღებასა. . . . . სწავ-
ლისა და მეცნიერების ძალითა, აქ არის . . . . . ქალის
მოწოდება, ძალიდგან დანიშნული მისი ეადი! აი, ამაში იბო-
ვის იგი ნაძდვილ თვის დიდებას, ... და გვირგვინს.
ეს წმიდა ეადი უნდა გაეიქმიეოს მას ფურეებში, თუ რომ
მართლა სრულიად გადაეიწყებული აქვს იგი და აღარც კი ეუ-
და მისი გახსენება.... ჩვენი ეხლანდელი ფიქრების გასაორ-
ციელებლათ, როგორც გითხარი, უნდა მოვიეუნოთ გვერდით
არა ბეგე-ნიხუცები, არამედ მკლავ ლ გულ-ძაგარა, ტვინ გაურეე-

ნელი ქალები, რომლებიც ნამდვილ მეუღლეობას გაგვიწევდნენ. თუ გავაგეთებთ რასმეს—მხოლოდ მათი დახმარებით და გამხნევებით.

X

და ამ სასით, როგორც ონისიმე იტყოდა ხოლმე, მისი ცოლი უნდა ყოფილიყო ნამდვილ მის მეუღლედ. მას უნდა გაეყო ონისიმესთან ყოველივე მისი ჭირიცა და სიხარულიც. იგი უნდა ყოფილიყო სოფლის დედა-კაცობაში ისეთივე მოქმედი, საქმის მტრიალებელი, გავლენიანი, როგორიც იქნებოდა თვით ონისიმე გლეხ-კაცობაში. გლესი კაცის მოდრეკა და მორჯულება მაგრე ადვილი საქმე არ არისო, იტყოდა ხოლმე ონისიმე, მაგრამ გლესის დედა-კაცს კი ყველაფერს მალეც გაგებინებ, შეაგონებ და გააგეთებინებ კიდეცა, თუ შენი ლაპარაკი იმისა სასიკეთოა იქნებაო. ეი ამიტომაც—დაუმატებდა ხოლმე ყოველთვის—განათლებული და ენერგიული ქალი უფრო ბევრი რამის გაკეთებას შეიძლებს ჩვენში, ვიდრე მამაკაცია. არავის არ შეეძლო ის აზრი დაერღვია მისთვისა, რომ, თუ დედა-კაცმაც ხელები არ გაიძრა, მამა-კაცი უიმისოთ მარტო ვერას გახდებაო. ადვილად შესაძლებელი იყო, რომ ვისმეს სიტყვასლეზედ ხელი აეღებინებინა იმისთვის და ამ რწმუნებაზედ ვუარს ვერავინ ათქმევინებდა—ის ღრმათა ჭქონდა იგი გამჯდარი ძვალსა და რბილში.

იყო სადამო ხანი. ონისიმე და ოთხნიც ძმანი ხსხდნენ გარეთ ბალკონზედ, ბიბლიოთეკის წინა და ჭქონდათ გა-

ძლიერებული ბასი. ვერ გაიგე ის, საიდან და როგორ აეშალათ ლაპარაკისთვის თავი, მივასწარ მხოლოდ ამაზედ:

— რას ამბობ, კაცო, რასა?! წამოიძახა განცვიფრებით ერთმა აქ მდგომთაგანმა, ასე ლაპარაკობ, თითქო არავინ არაფერი გიცოდეთ იმ ეშმაკის მოჩვენებაზედ, რომელსაც ქალი ჰქვიან. თუ მე მკითხავთ, მე ურო უკეთ გეტყვით უველაფერს. ქალია ახალ-გაზდის ტკივილის გამომწოვი და გამლაყებელი, მის ჯიბის გამომცარიელებელი და ვალში ჩამგდები, მის გზისა და კვალის გადამრეკი და კლდეში გადამგდები. საერთოდ, მრთელი საქართველოც ქალისაგან არის დაღუპული.

აგეთმა მოულოდნელმა დასკვნამ მეტათ გააცხარა ონისიმე.

— როგორ?! ჰკითხა მან განცვიფრებით. კარგი იქნება, რომ ერთი თვალტი მაინც მოიუკანო მაგ უკანასკნელი აზრის დასამტკიცებლათ...

— ერთს კი არა, თუ გინდა, ხუთსაც გეტყვი, მიუგო თავხაძემ თვალების ბყუტვით, რომელიც ერთის მხრით დაცინვის და მეორეს მხრით გამარჯვების ან გმაყოფილების ნიშანი იყო. ეი მაგალითებრ: რათ იმსგრეგდნენ თავსა ეს ყიზილბაშები, ოსმალოები საქართველოს დაპყრობისთვის? განა იმისთვის არა, რომ ქართველი ქალის სილამაზით დაემშვენებინათ თვისი ჰარემები? ვინ იყო საქართველოს მეფეებისა ან ბატონის შვილების ერთმანეთში უთანხმოებისა და განხეთქილების მიზეზი? განა დედა-კაცის ენა არა?! ვინ არის ესლაც ჩვენში იმის მიზეზი, რომ ძმა ძმასთან ეომარ მოთავსებულა? განა აქაც დედა-კაცი არა?!

უველას ღიმილი მოგვიგიდა ამისთანა სიბუტებზედ. შესწუვიტეს უველამ ლაპარაკი და მრთელი ჩვენი ყურადღება მი-

ვაქციეთ ამ ორი კაცის ლაპარაკს. ონისიმე გასწორდა წელში და მერე დაიწყო დალაგებით:

— რასაკვირველია, უკელა ეგ, რაც შენ ჩამოსთვალე, ითქმება მსოლოდ ისე სიტყვით, ქალების გასაკვირებელათ. მაგათი ისტორიულათ გამოკვლევა და ფაქტებით შემოწმება ძნელი რამ არის. მეტადრე „ქართლის ცხოვრებით“ მაგაითი დამტკიცება შეუძლებელი საქმეა. შაგრამ, გსთქვათ, რომ აგრეც იყო, როგორც შენ ამბობ. განა თავის სილამაზეში თვით ქალები არიან დამნაშაკები და არა ის კეკლუცი ბუნება, რომელმაც ასე შეამკო სახის მშკენიერებით მანდილოსნობა ჩვენში?! თუ დედა-კაცი იყო მართალა ჩვენში ბატონის შვილებშია უთანხმოების ამტანი, რომ ამით ჩაეგდო ხელში ბედო�eობა ბ მბძანებლობა, დედა-კაცები ასისინებდნენ ერთმანეთზე, უმორჩილობას და უთანხმოებას ჭბადებდნენ თვის ქმრების შორის, რაიც ისტორიულათ, როგორც გითხარ, ძნელი დასამტკიცებელია, ესეც უნდა ბოიგონო ხოლმე, რომ ებეგე დედა-კაცი იყო ქმრის გამმხნევებელი ბ გამმაგრებელი, და თვით ლეჩაქსაც მოახკვევდა ხოლმე მას ქუდზედ, თუ იგი მამაცურათ არ დაუხვდებოდა მტერს და გამოექცეოდა. იმაში სარ შენ მეტათ მართალი, რომ ორნი ძმანი, რაც უნდა სიყვარულნი იყვნენ ერთმანეთისთვის, ვეღარ მოთავსდებიან ერთათ, თუ ორთავეს ცოლები მოიყვანეს, შეიძულებენ ერთმანეთს და უთუოთ გაიყრებიან კიდეცა. რასაკვირველია, ამით ოჯახი დაბლა იწევს, სუსტდება, სალხი ღარიბდება, ბოლოს ცვა ბ მაშასადამე ამის მიზეზი—ქალის მოუთავსებელი სასითი — მეტათ გასაკვირი რამ არის, მაგრამ მაგაში მე ქალის თვით ამ გასაკვირ სასითში ისეთ თვისებასა ვხედავ, რომელიც მადლა სწევს მას, ადიდებს მის ღირსებას ყოველი

გონიერი კაცის თვალში. ქალის აგეთ სასიათში ჩემის აზრით ისატებს ის, რომ იგი ელტვის (და ელტვოდა კიდეც) თვით მოქმედებას, დამოუკიდებელ ცხოვრებას, თავისუფლებას და მაშასადამე ამავ თვისებას დედა-კაცისას უნდა შეეწყოს ეხიცა, რომ . . . ეს აზრი უფრო ჭკვიზედ ანლო უნდა იყოს, ვიდრე ისა, კითომც ქალის მშვენიერებამ და ენამ დაასუსტა და დალუპა ჩვენი ქვეყანაო. ამასთან, აი ერთიც კიდე რა გითხრა—სთქვა გამარკვევებულმა ონისიმემ—ვაშლმა წასწყმინდა პირველი კაცი, მაგრამ ვაშლმავე ეგ ჭეშ ნიუტონი. ამისამსგავსად, ვსთქვათ, რომ მართალ, რა-გორც შენ ამბობ, საქართველო დაეღუპოს ქალსა, შენ ამასთან ისიც უნდა იქონიო სასეში, რომ საქართველოსვე ამშენებელიც ქალიეე ყოფილა და ამას იქითაც ქალიეე იქნება ჩვენი ქვეყნის გამშენებელი და ამყვანებელი.

— ერ ვიცი, ფასაძეს ჭკვაში მოუვიდა თუ არა ონისიმეს მსჯელობა, ეს კი იყო, რომ წინააღმდეგი არა ეთქვა რა და მხოლოდ უკანასკნელი ჭაზრის შესახებ სთქვა შემდეგი ლ ისიც მორბილებით:

— ნათქვამია: „დედა-კაცნ ჭკვა ვის მისცა, ვინ დაუწერა ბარათიო“. კიდევ: „დედა-კაცი ჭკვა მოკლე ლ თმა გრძელიო“ და კიდევ: «დედა-კაცის ჭკვა თსიდის სატეუჭში ეტევაო». ეს როგორ შეუმოწმებია ჩვენ ხალხს დედა-კაცის ჭკვა-გონება. განა შეიძლება აგეთი ჭკვიდგან გამოვიდეს რამ სეირი და სიბეთე!

— ამას წინათ მქონდა მე მაგაზედ ლაპარაკი, მიუგო ონისიმემ, ლ ესეც იმას კიტყვი, რომ ეგ ანდაზები, ჩემის აზრით, უნდა იყვნენ ჩვენში შემოტანილნი თათრებიდგან ლ არა თვით ჩვენი ხალხისგან ნათქვამნი. სხვაგან რომ მოსასმენელი ყო-

ოვლიეო მაგეთი უსამართლოდ დამდაბლება ქალისა, ჩვენში შეუძლებელი საქმე იყო, სადაც ორთავე სქესს — ქალსაც და კაცსაც ერთი სასელი ჰქონდათ „კაცი“. განირჩეოდნენ მხოლოდ იმითი, რომ ერთი იყო მამა-კაცი, მეორე—დედა-კაცი. ამაში თანაბრობაა გამოსატული. გარდა ამისა,—ჩვენში ცოლ-ქმარნი ერთმანეთს „მეუღლეო“ ეძახიან. განა შეიძლება კაშბეხმა ‘ხაქი როდისმე თვის მეუღლეთ შეთვალოს ან მიიღოს?! განა მამა-კაცი დედა-კაცს დაუძახებდა თვის თანაბარად, რომ იგი ძაზედ ოოვილიეო მაგრე დაბალი, უბკვო, როგორიც მაგ ანდაზებშია გამოუკანილი?! ეს შეუძლებელი საქმეა და მაშასადამე დიდი უსამართლობაც იქნება მიეწეროს მაგეთი ანდაზების შედგენა ქართველ სალხს, რომელსაც ძველის ძველად გამოუსსნია ჯ გადაუწყვეტია კიდეც ის კითხვა ქალების თანობაზედ, ასრედ წოდებულ ემანსიპაციაზედ, რომელიც ევროპაში ადიძრა მხოლოდ ამ უკანასკნელ დროში! „ლეკვი ლომისა სწორია—ძე იყოს გინა სკადია“, ამობს ჩვენი უძველესი რუსთაველი. ეს კიდევ არაფერი. ჩვენს სალხს არამც თუ მამა-კაცთან თანაბრად უცვნია დედა-კაცი, არამედ ძაზედ უძლიერესადაც. «დედა-კაცმა გაიწია—ცხრა ულელმა სარმა ვერაო“ გამოგვესმის ჩვენ ძველადგან. საიდგან და როგორ ექნებოდა მას აგეთი ძალა და ღონე, თუ რომ იმისი ბკვა ისეთი პატარა იყო, რომ თხილის ნაჯუჯში მოთავსდებოდა?! არა, თუ ქალი იყო ჩვენში ძლიერი, რაშიაც ეჯვი არ არის, იგი იყო ასეთი მხოლოდ თავის ბკვითა და მოსაზრებით. და აი ამ ბკვითაც ხშირად შეუმჩნევია მას ჩვენ მამა-კაცებისთვის მოუხერხებლობა, უთანასრობა, საქმის გაფუჭება და ამიტომაც უთქვამს გაკვაკრებით: „ნეტავი გარეთაც მე მამეოფა და ში-

ნათაცარ,,. აქ ფანჯარე სრულად მოჩანდა და მხოლოდ კარგა სთქვა:

— ჭო, ვსთქვათ, რომ მაგრეც იყოს, როგორც შენ ამბობ, აბა, მაშ გეტოდინება კიდეც, თუ რაგორ იყო მოსახერხებელი, რომ ქალის ჭკვა მაღლა შემდგარიყო კაცისაზედ?

— აი საიდგან: ხომ გაგიგონია ჩვენი ხალხის ანური: ,,წიგნი დედა-კაცის ხელობაა". მართლა და წიგნი ქალის საქმე ყოფილა ჩვენში. დედა რომ გაათხოვებდა თურმე თავის ქალსა, უთუოდ ისა ვაჟტანდა წიგნებს, რომელთ რიცხვშიაც პირველი ადგილი სჭერია ,,ვეფხვის ტყაოსანსა", რაშიაც ბევრი ჭკვა და გონიერებაა გამოსატული. ეს წიგნი ჩვენში ქალებს ზეპირადაც სცოდნიათ და აი ამ წიგნსაც საზოგადოთ იმ თავიდგანვე უვარჯიშებია ქალის ჭკვა-გონება, აუწევია მაღლა, განუმლიერებია.....

— მაშ თუ მაგრე მაღლა იდგა დედა-კაცის ჭკვა-გონება ჩვენში, თუ ის მართლა ძლიერი იყო, მაშ რატომ ნაყოფი არა ჩანს? რატომ არა გვაქვს ჩვენ ქალიდგან დაწერილი რამა, მაშინ როდესაც უველა ეს მამა-კაცის ჭკვის ნამოქმედარია?

— შენს კითხვაზედ მეც კითხვით მოგიგებ. რატომ ამერიკამ აქნამდის ვერ მოგვცა ვერც ერთი ბოკლი, ვერც ერთი კონტი, ვერც სპენსერი ან ვერც ერთი დარვინი? —იმიტომ, რომ ამერიკაში ჭკვის ძალა მიქცეული იყო პრაქტიკული მოქმედებისკენ და ტეორეტიკული მოაზრებით თავის გამოჩენას ძვირათ მისდევდნენ, ჩვენშიაც დედა-კაცის ჭკუის ძალა ოჯახის გაუმჯობესებისკენ, შვილების აღზრდისკენ იყო მიქცეული...

— ბრავო!—წამოიძახეს აღტაცებულმა ამხანაგებმა ონისიმეს გამარჯვებაზედ და ამით გათავდა ეს დიდს საცნობი ბაა-

სი. ვინ იცოდა, რომ სემინარიის კედლებშია ესეთი ძალუმი მომხრე ეზრდებოდათ ჩვენ ქალების!

XI *)

ჩვენა გვყავდა ამსარაგი, დიდ-გულაძე, რომელიც თავის ხარჯით აპირებდა აკადემიაში წასვლასა ლ ემზადებოდა კიდეც ამისათვის ძრთელი ერთი წელიწადი. ამასა ჰყავდა თბილისში მახლობელი ნათესავი, რომელიც ხელს უმართავდა ლ შემწეობასაც ჰპირდებოდა. ეს მეტათ გავლენიანი ლ დიდი პირი იყო

*) რედაქციას მეტათ სამწუხაროთ მიაჩნია, რომ აქ აკლია ამ წარჩინებულ მოთხრობას რამდენიმე თავი, რომელიც განსვენებულ ავტორს თეთრათა ჰქონდა გადაწერილი და წაეკითხა კიდეც ბევრ თავის კეთილის მოყოფათვის. აქამდის იმიტომ ვაგვიანებდით ამ გაგრძელების დაბეჭდას, რომ იმედი გვქონდა მის ნაწერებში გამოგვეძებნა სადმე აღნიშნული ადგილები. მაგრამ შეცადინეობა უქმი გამოდგა, თითონ ეს გაგრძელება მხოლოდ შავათ დაწერილიყა ვიპოვნეთ და მაინცა ვბეჭდავთ, რადგან ეს შავიც ცხადათ გვაჩვენებს, თუ რა შესაძლოა თითონ ჩვენი ცხოვრების აღწერა, რამოტელა სიმშვენიერე, ლაზათი და აზრი მოიპოვება ჩვენ გარ შემო, თუ კი კაცსა აქვს ნიჭი, რომ თვალები გამოიყენოს დასანახავათ და ყურები — გასაგებათ. უნდა განუცხადოთ მკითხველსა, რომ დაკარგულ ადგილებში განსვენებულ მ. ასათიანს მართლა შესანიშნავათა ჰქონდა გამოხატული სემინარიაში უკანასკნელი ორი წელიწადი ონისიმეს გახსნილობისა, ხასიათის გამაგრებისა, ზნეობითი იდეალების გამორკვევისა. იქამდის მიიყვანა ავტორმა ონისიმე, მანამ სამართლიანობისა და პატიოსნების დაცვისთვის ონისიმემ არ ითავა მთელი სემინარიის აჯანყება უსვინიდისო და უსამართლო მასწავლებელ— მოხელეებთა წინააღმდეგ. აქ იყო ხელოვნურათ და უტუუვა-

თბილისში, მეტადრე სასულიერო წოდების ნაწილში, როდესაც მიიყენწა კურსის გათავების დრო და მისულიყო თავის ნათესავთან ეს ჩვენი ამსანაგი, ეკითხა მისთვის ამ ნათესავსა:

— აბა, როგორა სარ პირობაზედო?

— ვერ ეოჩალ! მიეგო მას მოწყენილის ხმითა.

— რათა? რა მიზეზია? — ეკითხა.

გულ-დიდაძეს ეთქვა, რომ თუმცა აქამდი არაფერათ მიმაჩნდა, მაგრამ ესლა კი ძლიერ ეეძნელება მარტოკას წასვლა. ვინ იცის გზაში რა მომიკიდეს, და როგორ არ უნდა მყვანდეს კინმე ხმის გამცემიო. ამ ამბავს ძრიელ შეეფიქრებინა მისი ნათესავი და შემდეგ ეკითხა.—

რათ აღწერილი ამბავი . , . რომელიც მოხდა, მგონი, 1871 წ. და რომელშიაც თითონ ავე ორმა მიიღო უმთავრესი მონაწილეობა. აღწერილი იყო ის უშვერი საქციელი, რომელსაც იმოტელა შაგირდების თვალ-წინ იჩენდნენ მაშინდელი რექტორ-ინსპექტორ-ეკონომ-მასწავლებლები. შიმშილითა და უწმინდურებით . . . . . , და მათზედ გადადებული ფული, ვინ იცის საითა ჰქრებოდა მოთავეების წყალობით. ვინც გაჰბედავდა და ხმას ამოიღებდა, მაშინათვე ამოუქოლავდნენ სემინარიის კარებსა და გააგდებდნენ. ამისთანა საშინელ შევიწროების დროს, რამდენიმე გამბედავი მოსწავლეების თანხმობით, მოხდა იშვიათი შეთქმულობა სემინარიელებისა—გადაწყვიტეს ისე ეცემნათ მოხელეთათვის, რომ სადაც თავისი დაეკვეხნათ, იქ არც სემინარიელები დაჰვიწყებოდათ. მაგრამ მაბეზღარებმა შეატყობინეს რექტორსა, და შუა ღამისას, როდესაც ერთი თვალის დახამხამებაზე თითქმის სამ-ასამდის მოსწავლე გამოიფინა ზემოთა ბალკონზედ და შეიქნა უცებ საშინელი ყვირილი: «ჰური გვშიან! ჰური გვშიან!» იმ იმედით, რომ ამ ხმაურობაზე გარეთ გამოვლენ მოხელეებიო, ესენი არ გამოვიდნენ. მაშინ «ბუნტოვშჩიკებმა» ძალიან ესღა მოახერხეს, რომ დაუწყეს რექტორის ფანჯრებს ქვების სროლა და რამდენიმე შუშაც ჩალეწეს. . . .

— ვინა გყავს კარგი ამხანაგი და ვიზედან გაქვს იმედი, რომ გამოდგება აკადემიაში?

მას ჩემზედ ეჩვენებინა.

იყო სადილობის დრო. როდესაც მე მითხრეს, რომ მაკან და მაკანი გეძახისო. მე ძლიერ გამაკვირვა აგეთმა ხმამ. პირველათ არ მჯეროდა, კამობდი, იმას რა საქმე ექნება ჩემთანა, მეთქი, მაგრამ მერე დამარწმუნეს და მეც სალამოს ყამს წავედ. მსასურმა შეატყობინა ჩემი მისვლა და მერე შემიყვანა კიდეცა. ამ დროს ის თავის ოკანჯარასთან იდგა და გადაჭყურებდა მტკვარს. ჩვენი მტკვარი იმ დროს მეტათ გულარეული მოდიოდა, თითქო ემუქრებოდეს თბილისს რაზედმეო. მივედ, თავი დაუკარ, სელზედ კაკოცე. მან მაკურთხა ლ დამსვა.

— შენა სარ გიორგი იმედაშვილი? მკითხა მან.

— დიახ, მე გასლავარ. მიშველ მე დაბალის ხმით.

— გაათავე ეგზამენიები? მკითხა და თანაც დაკვირვება დამიწყო.

— არა, ერთი კიდევ გვიკლია ლ იმასაც ზეგ მოკრჩებით, ვუპასუხე და თანაც კამობდი—რისთვისა მკითხავს ამაებსა ლ ან რა უნდა მას, მეთქი.

— მერე საით აპირობ წასვლასა? მკითხა და უცერ დამაშტერა თვალები.

— მოვდალათ კაპირობ წასვლასა, ვუთხარ და თანაც გულმა რაგორღაც ნძრევა დამიწყო.

— რატომ აკადემიაში არ მისდიხარ? მე შევიტყე, რომ შენ ნიჭიერი ყმაწვილი ყოფილხარ. ცოდვა იქნება, რომ ეგ ნიჭი მიწაში დაფლა ლ ნაყოფი არ გამოაღებინო—აი უკეთესი იქნება, ჩემს ნათესავთან, შენს ამხანაგ დიდ-გულაძესთან წადი,

ისწავლე ოთხი წელი-წადი კიდევ მერე მოხვალ და კაცი იქ-ნები.

ახლა კი მივსდი, საიდგან და როგორცა ყოველიერ საქმე დაწყობილი და უკან დაუხვევლად უთსარ ცივი უკარი. აგეთი პასუხი მას არ მოეწონა და დაცინვითაც მითხრა:

— რა დაგიყენებია „მღვდლათ უნდა წავიდე, მღვდლათაო"! რა ნახე მღვდლობაში საჯარბიელო და მისაზიდველი? რას მოგცემს შენ მღვდლობა?! იცი, რა არის ესლა, ამ დროებაში მღვდელი?— . . . !... ჩემო შვილო, აბა შენც გინდა აგეთი გახდე?!

მე სრულებით არ მოველოდი იმისგან აგეთ აზრს მღვდლობაზედ, მაგრამ ამასთან ისიც შევნიშნე, რომ იგი მე-უბნებოდა ამას მეტათ წმიდის და წრფელის გულით. ამან გამაბედინა მეც წმინდის გულით მეპასუხნა:

— აბა იმისთვის მივდივარ მე მღვდლათ, რომ შევუცვალო ქვეყანას მაგეთი აზრი მღვდელზედ, გუჩვენო, რომ მოძღვარი ღირსია პატივის-ცემისა, სიყვარულისა....

— მერე როგორ გინდა გამოსცვალო ხალხი? მითხრა მან დაცინვით, ქვეყანა ძლიერია, ჩემო შვილო, შენ იმის გამო-ცვლა კი ვერ შეგეძლება ჯ ის კი შენ მაძლევ გამოგცვლის. ეი შენი ცხოვრებისა ჯ მოქმედების სიურათი, ოუ მღვდლათ წა-ხვალ: ჯერეთ, რასაკვირველია, დაიწყობ ფარიფატობას მაგ შე-ნი ახალი აზრებით, რომელიც ჯერეთ ვერ შეურიგდებიან ქვეყ-ნის წამსდრობას. ჯ მერე კი ნელა-ნელა შეგითრევს ეს ცხოვ-რება და მაშინ სრულიადაც დაიკარგები მასში. არა,—შენ მე დამიჯერე, როგორც გამოცდილ კაცსა, რომელსაც შენი დროც მოუწამია და სხვაცა, ახსენე ღმერთი, წადი აკადემიაში, შეა-სრულე კურსი, მოდი იქიდგან და მაშინ იზრუნე შენი მოძ-

მისათვის და მამულისთვისაც. დასასრულ ამასაც გეტყვი: მე როგორც შემიტყვია, შენ . . . შენიშნული ყოფილ-ხარ რექტორისგან ჯ მაშ იმედი ნუ გექნება, რომ მალე მიიღებდე მღვდლობასა, მე ეს თვით შემიტყვია ნამდვილის წყაროდგან.

ამ უკანასკნელმა სიტყვებმა მე ძლიერ შემაფიქრიანეს. ბასუსი ვეღარ მოვასერხერა იმის გარდა, რომ მოვიფიქრებ ჯ გადაწყვეტილ სიტყვას მერე მოგასსენებთ, მეთქი.

წამოვედ სემინარიისკენ მეტათ წელ მოწყვეტილი ჯ არ ვიცოდი, რა მექნა. ერთის მხრით ტკვაში დასაჯდომი იყო იმისი რჩევა, მით უფრო მომეტებულად, რომ, ვინ იცის, მართლა, მივიღებდი მე მღვდლობის ადგილსა თუ არა ჯ თუ მომცემდნენ, ვინ იცის საიდ მიგრავდნენ თავსა. მაგრამ მეორეს მხრით სამარცხვინოთ და განსაკიცხათ წარმომიდგა ჩემი თავი, რომ ასე მალე დავიწყე ფამფალი შემოდგომის ფოთოლივით. ვხედავდი, რომ ორთავ წყალს შუა ვიყავ და აქ რა მექნა, რა მეწამებინა, არ ვიცოდი. ის სურათიც მისაზიდი იყო, მეტათ მისაზიდი, რომ მე შეგიდოდი მეცნიერების ტაძარში, მოვიმწყვებდი ეფერ ჭაზრსა, გავიმაგრებდი მარჯვენას, მოვიდოდი აქედგან ეფერ მომეტებული ცოდნით, გამოცდილებით, ეკლესიათაც, მექნებოდა მომეტებული საქმის გაგეთების შეძლება; მაგრამ ამასთან თავ-ზარს მცემდა ისიც, რომ მე ესდა ეკარ მეყო იმიდგან, რაზედაც ამ უკანასკნელ დროებში ესე ვფიქრობდი, რასაც ველტოდი და მეგონა, რომ ამიდგან ხელების აღება ჩემგნით შეუძლებელი იქნებოდა. რას მეტყვის ინისიმე? ეი კითხვა, რომელიც ეფერ მღრღნიდა. როგორღა შავხედო იმას პირზე? როგორ ეთხრა ესა?

სემინარიის საშმართველომ, რექტორის წინადადებით,

დანიშნა აკადემიაში გასაგზავნათ ისეთი პირი, რომელიც გარეგნული ფორმის მეტი არა იყო რა. პირველმა და მეორემ უარი განაცხადეს, რადგანაც იგინი სუნიგერსიტეტოთ ემზადებოდნენ, მესამეს წილი არ არგუნეს და თუნდა რომ ერგუნებინათ კიდეცა, ონისიმე მაინც არ წავიდოდა, ჩემზედაც გადასტენენ, გულ-დიდაძეზედაც და დანიშნეს ისეთი გადაურეებული ვინმე, რომელიც მხოლოდ იმით იყო შესანიშნა ⸗ საიმედოც, რომ ოკველთვის კლასებში დაიარებოდა, მასწავლებელს ყურნალსა და საწერ-კალამს მიუტანდა ხოლმე და ეკეკლესიაშიც ოკველ წირვა-ლოცვაზედ სტიხარს იცვამდა. ამ ამბავმა ყველა შეგირდებში ერთი ჩოჩქოლი ასტეხა. ყველა ამბობდა—ნუ თუ ეგ უნდა წავიდეს რუსეთში და გახდეს წარმომადგენელად ქართველობის ახალ-გაზდობისა? ნუ თუ მაგიდგან უნდა შეადგინონ იქ ჭკვიანი მრთელს ქართველობაზედ, —თუ რამდენათ არის ქართველი ხალხი ნიჭიერი და რამდენათაც შეუძლიან მის ტკვინს განათლების მიღება! ამ კითხვებს თავი აულო ჩვენში ონისიმემ, რომელიც, როგორც ეტყობოდა, ბრაზებზედ იყო მოსული. ამ გარემოებამ უფრო გული მომილბო მეც რუსეთისკენ გასამგზავრებლათ.

ონისიმეს იმ სალამოსკე შაეტყო, რისთვის ვიყავ დაბარებული დიდ-გულაძის ნათესავისგან. ეს ეთქვა მისთვის თვით დიდ-გულაძეს, რომელსაც ეთხოვა მისთვის, რომ შენც ურჩიე, რომ წამოვიდეს რუსეთში, შენს რჩევას უფრო მიიღებსო. ონისიმეს მგონი არაფერი ეთქვა მისთვის. მეც ჯერეთ არაფერს მეუბნებოდა, თითქო უცდიდა, რომ მე დამეწყო ლაპარაკი. მე კიდე არამცოუ ვერა ვბედავდი იმის გამომეტყველებას, რაც გულში ტეტსლივით მიტრიალებდა, არამედ იმისაც მრცხვენოდა, რომ სიტყვა სხვა რამეზედაც ამომეღო. წარმოიდგი-

ნეთ, რომ თვალმა იმდენათ დაკარგა გაბედულობა, რომ პირ-ზედ სწორედ ვეღარ შემესწავლა ონისიმესოგის. ეს შემამტნია იმან და სიტიალით მითხრა რუსთველის სიტყვები:

„რა ჭეშმი დასნეულდეს, რაზომც იყოს საქებარი,
იმან სხვა უხმოს მკურნალი და მაჯის შემატყობარი,
ჭირი თვისი მას უამბოს, სენი, ტანტალთა მომდებარი,
ღ სხვისა სხვამან უკეთ იცის სასარგებლო საუბარი“!...

რაზედ ხარ მაგრე დაიგიჟრებულხ, ჩემო გიორგი—დაუ-მატა ზედა—რა უეცარი დარდი ეწვია მაგ შენ გულს, რომ მაგრე მოდრეულულ-ხარ! მითხარ, იქნება, შეგიძლო, ამ რუს-თველის სიტყვებისა არ იყოს, „სასარგებლო საუბარი“ შენ-თვისა.

მე ამ სიტყვებმა უეცრო ბოლო მოვიღეს, ენა დამება ღ აქ უეცრო შემრცხვა ჩემი პაწაწინაობისა. არ ვიცი, როგორ გა-თავდებოდა საქმე, რომ ამ შემთხვევაშიაც თიოლინვე არ მოვხვა-ლებოდა და გული არ მოგებრუნებინა ჩემთვის. რადა გავაგრძე-ლო, გამოვტყდი ყველაფერში. სიტყვა-სიტყვით ვუამბე მას, რაც მითხრა დიდ-გულადის ხათუსაგმა და იმითაც დავაბოლო-ვე, რომ არ ვიცი, ძმაგ, რა ვქნა, მეთქი. ვილაპარაკეთ კარგა ხანს ამ საგანზედ, ავიღეთ—დავიღეთ და ბოლოს, ლაპარაკის გათავების დროს, ასე მითხრა:

— რა გაეწყობა, ტასწი, ძმაგ, შენ ზეგოთ, დაეწაფე იქ სწავლის სიტკბოებას, მე კი დავდუნავ თავს, შევერევი ცხოვ-რების წუმპეში ღ ლოკას დაუწყებ შსამსა და მწუხარებას. წადი ზეგით, მაგრამ არ კი დაგავიწყდე, რომ მე დაბლა ვიქნები და მაშასადამე ჩემს ხმას შენ ვეღარ გაიგებ, თუ პატა დაბლა არ

ჩამოხვალ. ეცადე, რომ ხელი ჩამომაწოდო ზემოდგან და წამომაყენო, თუ, ვინიცობაა, დაგეცი. წადი, წადი შენ იქით, და მე კი საწყალი მღვდლის გზას დაგადგები. მართალია, მეც მაგთენი არა ვიცი რა, მაგრამ, იმედია, ამითაც შემეძლება ცოტა რამის მაინც გაკეთება და თუ ვერას და ვერას გავხდი, ეს ხომ მაინც მექმნება სათქმელი ჩვენ უკვდავ ბარათაშვილთან:

„ცუდათ ხომ მაინც არ ჩაიკლის ეს განწირული სულის კვეთება...
ჯ გზა ეკალი, შემდეგში შენგნით თელილი, მერანო ჩემო,
ჭაინც დარჩება“.

† მიხეილ ასათიანი.

(გაგრძელება იქნება)

ᲛᲝᲬᲕᲔᲜᲔᲑᲐ.

ცა შეიჭმუხვნა და თვისი გვრგვინვით
ქვეყანას რისხვით ემუქრებოდა,
ხან მწარე ქარი, ხან ნიავ ღვარი
სულ ყველას ჩახთქმას დაჭვირებოდა.
აიქ ღრუბელი, ჩამოწოლილი,
ჭექა-ქუხილით მთას აშინებდა,
აქა სულ-დგმული, სულ-განაბული,
შესათვარ კუთხეს იმალებოდა.
ძაღლსა, კატასა და მთლათ სულდგმულსა
შიშისა ზარი თავს დასცემოდა.
ეს ჩემი გულიც მთლათ დაღალული,
ზღვასაებრ ღელვას მოჭყოლებიყო,
ტალღების ცემით, სევდასთან ბრძოლით,
მოულოდნელათ გაგმირულიყო.
ვითომცა ამ დროს, გულს არ საამოს,
სულ ძალა მთაზე ავსულვიყავი;

. . .

ძაღლა ფეერდოზე დავმჯდარვიყავი,

. . .

ქვეყანას ძალზე ვემუქრებოდი,

. . .

დადგინებასა მე მას ვურჩევდი
ჭექა-ქუხილი და ქარიშხალი
უდარდელთა გარს მეკლებოდნენ,
ჩემს გასართობთ, ჩემს გასასარეთ
მთის გაშორებას მიქადაგებდნენ;
მწარე ფიქრები, ვითა ისრები,
შხამიანთა გულს ედებოდნენ
და უფრო ღელვით, უზომო სევდით,
გულს გასაპობთ არ დაინდობდნენ.

აღელვებულ გულს დამიმშვიდებდა,
ლახვარის ნატვლთ, ჭეშმარიტების
ტაძარსა მკვიდრთ დამისახვიდა;
ჭმუნვის ღრუბელი და ოცნებანი
ტკბილ იმედებთ შემეცვლებოდნენ
და სიხარული, შვება და ლხინი
«ურწმუნო» გულში ბინაკდებოდნენ.

II

ვიჯექ უძრავთ და ფიქრი ფიქრზე
დალალულ ჭკუას ემატებოდა,
გრძნობათა ბრძოლა, თან ქარიშხალი
გულის ფიცარსა ძგარ-ძგარებდა.
ბევრჯელ ნიშანი შავის ბედისა —
უვავი-ფორანი დამფრინტალებდა.

სულგველა უფსკრულს მიეცემოდა.
თანაც ესადავდი, ჭექა-ქუსილი
უფრო და უფრო ძლიერდებოდა,
მეხი, მიწის ძვრა და ქარიშხალი
ველდებს ურიცხვსა განადგურებდა.
ბავშვების ვნესა, დედის ტირილი
თვით უსულოსაც ატირებდა,
ამათი წუვლა და ბედის ბრალვა
უგრძნობსა გულსაც გაალვიძებდა.
შეიძრა ბნელი, შეკრთა ქვესკნელი,
მდევებნი შეკრთნენ, ზარ-დაცემულნი,
და თვის გაჩენის დღესა სწუველიდნენ
ხალხის ტვინისა გამოძწოველნი,
გაირღვა მიწა და ჩაიტანა,
ვინც ცოდვის ფულით მიწას ავსებდა,

III

მხეცთა ალრევა — ქვეყნის მდევები
ერთი ერთმანეთს ბორცსა აგლეჯდნენ,
ვხედავ, ბეჟები, მორიელები
ცოცხლებსვე ამათ თავს დაჭყვეოდნენ
და, ვით დამპალს ლეშს, ყვავ-ყორან-სვავნი
გასაგლეჯავათ ლომს დასტეოდნენ.
აქ ამ საოცარ სანახავშია

უცებ მომესმა ხმა სანატრელი,
ხმა დაძახილის, ხმა სასმური,
ხმა, კაცთა გულის ამღელვებელი:

×

წახწყმდა ბორბალი და ბნელიც გაქრა,
ქვეყანას მარტო მზე ანათებს
ჩემ შორი-ახლოს ჯეილი ქალი
გულს-მოდგინებით «ვაშას» დასძახებს,
თავს დასტრიალებს დაუღალავათ,
და გაამხნევებს საყვარელ გმირებს.
ალვისა ტანი, ვით ნორჩი წნელი,

სიმხნით გავსილი მელნის თვალები
ისვრიან კურცხალს ბროლის კურცხალზე.
ქალის მხნეობა, ამის გმირობა
ლაჩარის სულსაც გაამაგრებდა,
მისი სიტყვები და მოძრაობა
ამ ჩემ გულსაც კი ისრათ სვდებოდა:
წამოვდექ მარდათ, შეშფოთებული

მაგრამ... დასვდეთ ჩემ ბედ-შობას —
აქ მე უეცრივ გამომეღვიძა.
ოთახში ვაგდე და ჩემსა ახლო
საათი ნანას მეუბნებოდა,
გულიც მიკვნესდა, სისხლიც მიდუღდა—

გავედი გარეთ.—გულსა მოწყენილს

არვის ძახილი არსით ესმოდა
ვსთქვი თუ სიკვდილი სჯობს სიცოცხლესა,
და თვალნიც მწარეთ მეცრემლებოდა.

პავლე კრეჭიაშვილი

იანვრის 2. 1882 წ.

საბოლოო ნატვრა.

ნიშნად ოთხისა სახარებისა
ახალ წელიწადს მივეგებებით,
სასიხარულოთ ქართველებისა,
ოთხის ქართველის ყურნალ-გაზეთით.—
ჩვეულებისებრ ახალის წლისა,
ვინატრით მათთვის წარმატებასა,
ვინატრით იყვნენ კეთილ კვალისა
და დაიხსნიან თავი ვნებასა.
გაცალკევებით, «დროებისათვის»
ვინატრით ესის გასწორებასა,
მოდგაწეობას თვართო მიზნისთვის
და ჭორებისგან გაშორებასა;
„ევროპისთვის“—ყველას საბოლოთ—
თარგმანთ ბეჭდვისა დატოვებასა
და ისტორიის სამაგიეროთ
სხვა ნაწილების გავრცელებასა;
„ძმადისათვის“—მკითხველთ შორვნასა;
„შრომისთვის“—შრომის დაფასებასა,
და ყველა მათთვის დღეგრძელობასა,
ბაყისაგანაც თავ-აშვებასა.

გობრაან ლიხელი.

1 ივნვარი 1882 წ.

საახალწლოდ.

სისულელე მომივიდა და ერთ ჩემ მეგობარს დავეკითხე, რომ თუ ისეთი საახალწლო დავწერე, რომ იმის წაკითხვით ამ მეგობარს გული აუკანკალდა, მაშინ სანაძლეო მე მერგება, თუ არა და — წაგებული ვიქნები. ნაძლევის გამოცხადება კი არ შეიძლიან—დამძრახვენ—მწერალი კაცია და ემაგისთანა ველურ რასმეზედ როგორ ენაძლეგებაო! მაგრამ აქ წაგებ-მოგებაზედ არ არის საქმე. ძნელი ის გახლამთ, რომ ჩვენი საახალწლო თითონ ბუნებით ისეთი ფერთებ შეკვეცილია, რომ მისი აღწერა ძნელათ თუ ვისმეს აუკანკალებს გულსა. ეს კია, რომ კანკალიც არის და კანკალიც. მე და ჩემს მეგობარს არ გაგვისაზღვრავს, რა გვარი კანკალი უნდა მოახდინოს „საახალწლომ" მის გულში — კანკალი საამო და სანატრელი იმედების და სისარულისა, თუ კანკალი უიმედობისა, ზარდამცემი შიშისა წარსულში, აწმყოს და მომავალსა. მე, რასაკვირველია, პირველ ჯერის კანკალს ეხლავე უნდა დავანებო თავი, აქ ჩვენ ქვეყანას სასიამოვნო მოვლენათა შორის, თითქო სამუდამოთ, რგებია მხოლოდ ერთი სიამოვნება, რომელიც ისატება ნაირ-ნაირ ჩურჩხელა-ლელვის-ჩირებში, ნუღლებ-კამფეტებში და უფრო მომეტებულათ ჩვენებურ გოზინაყში, რომელიც მართლა მეფეა ახალი წელიწადისა და რომელსაც ჭირი მოსჭამოს დანარჩენმა ხმელ-ხილეულობამ. მარ-

თალბიც კი უნდა თქვას კაცმა, როგორა ღირს ყოველი გულ-კეთილი ქართველისათვის, რომ თამამათ აიღებს ხელში თავის სახლში გაკეთებულ გოზინაყსა და მიაწვდის კეთილის მყოფელს—აგრე ტკბილათ დამიბერდიო? არც ის არის ურიგო, რომ ირაყრაყებს თუ არა სოფლათ, გაეღება გარედგან კარი ჯ ბირველათ თვალში გეცემა თავამდის მოყრილი ხონჩა სხვა-და-სხვა ხილეულობით და ხორაგეულობით, ხონჩას მოსდევს შუათანა ხნის კაცი, რომელიც, ჩვეულებისამებრ, ამ დილით უთუოთ უმძრახია დედა-კაცთან, და შემოდის ამისთანა ლექსით:

„შემოვდგი ფესი,
გწყალობდეს ღმერთი—
ფეხი ჩემი,
ქვალი ანგელოზისა“.

ხონჩას დასდებს კარცლის თავზე, დაიწერს ბირველარს, ახსენებს ღმერთსა და სისხამ დილაზე მოეძახრება ხულადას, საიდგანაც კურკურით გადადის ღვინო დალოცვილ „წითელ გუდაში“. მერე მიგა გაძლიერებულ ცეცხლთან ჯ ამ შემთხვევისთვის მოწყობილ მუხის მუგუზლებს დაუწყებს ჩიჩხილს, რომ ბევრი ნაბერწკლები გამოყარონ, და თანაც მიაყოლებს აუცილებელ ნატვრას: „ღმერთმა მოგცესთ ამდენი ღორები თავის გოჯებით, ამთენი ცხვარი, ამთენი ძროხა, ცხენი, კამეჩი, ამდენი ბიჭი, ამთენი გოგო, ეი ამთენი ნეფე, ამთენი პატარძალი, ესი ამთენი საფეანელი და ათასი ამთენი საცალოფეძვილი“. ასალ-წლის დღე ტკბილი დღეა: ყველა ცდილობს, რომ არ გამოიჩინოს ბორიტება, რადგან ეშინიან არ დაეკვეხოს. ზღვის ოდენა ხილეული გასაღდება ხოლმე და სხვანი,

ამის მეტი არა არის რა შესანიშნავი ჩვენებურ ახალ-წელიწადში.

*
* *

სხვა რაღა გინდა, მეტუკვიან. ცხოვრების უმთავრესი დანიშნულება იმაში მდგომარეობს, რომ ყოველმა ადამიანმა სიამოვნებითა, სიტკბოებით გაატარონ თავისი დღენი, სიხარული და ქეიფი მომატებულათ შეხვდეს ხოლმეო.

ვინ რას ამბობს! ღმერთა დამიფაროს, რომ მე ვისმეს ჩაუშსამო ან სიამოვნება ან ლხინი. არც მე გახლავართ იმ სულელებთაგანი, რომელნიც ცხოვრებაში ასკეტობენ. გამოგიტუდებით კიდეც, რომ, ჩემის აზრით, ცხოვრებაში უტკბესია, სამების ძალზე, სამი საგანი: უთუოთ კარგი ღვინო, უთუოთ ლამაზი ქალი და, ახალ-დროების შემოტანილთაგან, უთუოთ წარჩინებული პაპიროზი. ყოველივე ესენი უთუოთ პირველი „სორტისა“ უნდა იყოს, როგორც იტუკვის ხოლმე ერთი ჩემ ნაცნობთაგანი. დანარჩენში შეიძლება კაცმა ინაკლულოს კიდეცა, მაგრამ ეს სამი რამ კი აუცილებლათ საჭიროა მისთვის. აქედგან ცხადია, რომ მე სრულებითაც არა ვარ წინააღმდეგი დროების გატარებისა. მხოლოდ ესეც უნდა თქვას კაცმა, რომ რაღაცა ღორობას წარმოადგენს, როდესაც მთელი შენი ცხოვრება მიბჯენილია ერთ კერძო კუთხისკენ და ეს კუთხეც შესდგება შენი სტომაქიდგან. არ ვიცი კი, საიდგან წარმოსდგება, მაგრამ კაცის სულსა სჭირს ასეთი ციური, მაღალი ავთმეოფობა, რომელიცა გტანჯავს და უცეცხლოთა გწვავს, როდესაც ძველანაზე „ცა ქუდათ არ მიგაჩნია და დედამიწა ქალამნათ“, უკეთუ შენი სტომაქი განუწყვეტელ ფუფუნებაშია და ამ ფუფუნების გარდა არავითარ დანიშნულებას აღარა სდგეს რამე ფასსა და არ აძლევ ადგილს შენ ცხოვრე-

ბაში. რაც უნდა კეთილ-დღეობაში იყოს კაცი, რაც უნდ მო-
მატებული სახსარი ჰქონდეს კაი ღვინის სასმელებისა, ლა-
მაზი ქალების მოსაპოებლათაც, უკეთესი ბაბირაზის მოსაწე-
ვათაც და კიდევ ბევრი სხვა რამის შესაძინებლათ, მაინც, თუ
ოჯველივე ესეები ემსახურება მარტო იმის სხეულის გალაღე-
ბას,—ასეთი კაცი ვერა ბოულობს განუწყვეტელ სიამოვნებას.
მისი სიამოვნება წუთიერია. უმეტესი ნაწილი იმისი დროებისა
მუდამ ჩამწარებული, მოშხამული, მოხიბლულია. თუმცა უმ-
რავლესობის აზრით ასეთი ცხოვრება შეადგენს კაცის იდეალს,
სანატრელ ბედნიერებას, მაგრამ ეს მეტათ შემცდარი აზრია.
თითონ ესევე უმრავლესობა ეწინააღმდეგება ამ ნეტარებას,
მუდამ მტერია ასეთი იდეალის გამსორცელებელისა ⁄ იმაზე
ამის მეტს ვერას გაიგონებ მის ენა-ბირისგან.

— ეგ ადამიანი კი არ არის, ეგ არის ღორი, რომელიც
ფიქრობს, რომ ოღონდ კარგათ იყოს, თითონ არა დაკლდეს
რა თავის თავშვისთვის ⁄ თუნდა ქვა-ქვაზედაც არ იყოსო.

მაშასადამე, სტომაქის გალაღებაში კიდევ არა ყოფილა
ის საშუალება, რომელიც კაცს გადაარჩენს ადამიანათ. ადამია-
ნობა სხვა რამეში იხატება. და ეს ადამიანობაც ისეთი რამ
საჭირო ყოფილა, ისეთი სანუკვარო ⁄ სანატრელი საქონელი,
ურომლისობაც შეგნიდგან ღრღნის კაცსა, არ აძლევს მოსვე-
ნებას, და გარედგან კიდევ აჭერის ბატივს, აკლებს ხალხის
სიყვარულსა და პურადღებას. ეს არის საზოგადო კანონი. და
ამიტომ ასრეთ წოდებული „ადამიანობა“ შეადგენს სიყოველ-
თაო ავათმყოფობასა. აბა, შეხედეთ მაგალითს. ერთს ბელეს
უბარათოთ ესესხნა მდიდარი კაცისგან ოცი თუმანი ფული,
შეეკრა ათიმდის ტიკი, ჩამოეტანა გასასყიდლათ. მაგრამ რი-
გიანი მუშტარი ვერ ეშოვნა, ტიკების გასაღება შემოჰგვიანე-

ბოდა და მოკვლესთვის დროზე ვერ ჩაებარებინა ფულები. მოკვლემ უჩივლა სასამართლოში. გლეხმა დაიჭირა ადვოკატი, რადგანაც ეშინოდა, რომ ტივები ზარალით არ გაეყიდინებინათ. და თითონაც წაიყვანა სასამართლოში. ადვოკატმა პირდაპირ „ატკაზი“ უყო მოკვლეს. —

— შენ არა გისესხებია რა ამ გლეხისთვისაო, თორემ ბარათი გეჭირებაო.

— როდესაც „ატკაზი“ გამოუტანდეს გლეხსა, იმან დაიკრა გულზე ხელი და გაკვირებით წამოიძახა:

— ჰაი, დედი-ჩემი ღმერთსა! მაშ მე კაცი ადარა ვყოფილვარ, ძალი ადარა მსურებია და არც თედო მრქმეია, თუ მე ჩემ პირ გმდავალ!

მერე მიუბრუნდა ადვოკატსა თავ-დაუჭერი სიტყვებით:

— შე აგეთო და შე იგეთო! ვის ასხამ თავზე ლაფსა?! მე ხო გითხარი, რომ ვესესხე მაგ კაცსა და არ მიმიცია, მეთქი!

ყველამ თვალები აჭყიტა თედოს «სისულელეზე» და განაბა სული. თედო მიტრიალდა მსაჯულისაკენ და უთხრა:

— ბატონო! მე ამ კაცს ეარს არ ვეუბნები, ამისი ფული მმართებს და კიდევაც დიდი მადლობელიეარ, რო ხელი გამიმართა, მაგრამ ესლა ისეა ჩემი საქმე. რომ ამ ცოტა ხანში ვერ დაუბრუნებ, და ეს ადვოკატიც იმიტომ ტაეიჭირე, რომ ეშველნა ჩემთვის და ვადა მოქმატებინა. ამაზე მეტი მე არა მიხდა რა. ჯ თუ ვადას მიბოძებთ, მე თედო ადარა ვყოფილვარ, თუ ამ ჩემ ხელის გამმართველს ფულიც არ დაუბრუნე ჯ ისეთი მადლობაც არ გადაუხადე, რო მართლა იმისი მოსაწონი!...

თედოს აგეთმა ლაპარაკმა, აგეთმა ადამიანობამ სწორეთ

მირონი უცხო იმოტელა ხალხსაც, თვით მოვალესაც და მსაჯულსაც. ერთი მხოლოდ ადვოკატი დარჩა შერცხვენილი. აღტაცებასა ლ ბედნიერებას იმოტელა ხალხისა მართთა სამზღვარი არა ჰქონდა. ყველას ეგონა, რომ დღეს დავიბადეო. მოხუცებულებმა თითქმის იტიროს სიხარულებით, რომ კაცის არსებაში ადამიანის სულმა გამოანათა თვალ-საჩინო შუქით ლ ტიურის მადლით. აღელვებულმა მსაჯულმა ჰკითხა თედოს:

— ერთი წელიწადი გეყოფა ვადათ, რომ გადაუსადო მოვალეს?

მოვალემ არ დაცადა თედოს პასუხი და ჩქარებით განაცხადა:—

— ორი წელიწადი გახლდეს, ოღონდ მე ჩემი ნუ დამეკარგებაო.

თედომ ყურო მომატებული გულის სიმაგრე გამოიჩინა.

— ბევრს არა გთხოვ, შენიშვირიმე, ჩემთვინ ორი თვეც კმარაო. ამ სახით თედომ აღისრულა წადილი და ვალიც მოიშორა. მაგრამ ამ უბრალო საქციელით ისეთი სიყვარული და პატივის-ცემა დაიმსახურა ხალხში, რომ იმას ყველა ნაცნობი სულსაც კი ახდობდა.

რათ მოხდა ასე? რა შეემატა თედოს სიტყვებით მსმენელებს, რომ ასეთი აღტაცებითა და სიხარულით მოისმინეს. იმისი ლაპარაკი? თითქო დიდი რამ იყოს, ვიღაცა გლეხი კაცი იგისრებს ვიღაც მდიდრის ვალსა თუ არა! თითქო მსმენლებისთვის სულ ერთი არ იქნება, თედო დაჭკვნეტაკედა ამ ოც თუმანს თუ იმისი მოვალე! იმათ არც არა შეემატებოდათ ამით და ყურო ნაკლებათ დაკლდებოდათ რამა. მაგრამ საქმე აქ არც შემატებაზეა, არც დაკლებაზედ. იმასაც გეტყვიო, რომ ყველა იქ მყოფისთვის ამ თედოს რომ დაერიგებინა

სათითაოთ ოც-ოცი თუმანი, ასეთი საჩუქარი ნაკლებ სიამოვნებას და ადტაცებას ჩამოაგდებდა მათ გულში, ვიდრე ისა, რომ იმან ისე მრისხანეთ გაჩუმა გატინგიცებული ლ მოლოკვილი ადვოკატი და არ გადაუვიდა სვინიდისს.

მაშასადამე, აქ სულ სხვა ნაირი გარემოება თამაშობს ლ ეს გარემოებაც ისეთი ტკბილი რამ არის, რომ ადემატება ნიგთიერ განძსა. ეს გახლამთ ის გაუგებარი სიტკბოება, რომელიც აკმაყოფილებს კაცის სულსა და ჭსვდებოდა შიგ გულის ფიცარში. სული ეძლევა ნეტარებას, როდესაც კაცი კაცში ჭსვდაგს ადამიანის სახეს, მის ღირსების დაცვას.

* * *

მოვიუკანდი კიდევ მაგალითს ამის წინააღმდეგს, რომელიც ამ დღეებში მოხდა თბილისის სასამართლოში და რომელიც შეეხება ერთ ვილაც ავაზაკობით გამდიდრებულ დანდურეკს, რომელსაც, ოუმცა ოცი ათ-ასი თუმნის შეძლება, სულ სესხით მოგროვებული, ჭქონია, მაგრამ ძალათ გაკოტრეიულა ლ მოვალეს მანეთში სამ კაპეიკს აძლევს, და, რომელიც ამის გამო „ვერის აბანოში“ ჩასვეს. ვილაპარაკებდი იმ დაწუეწილ ლ საძაგელ შთაბეჭდილ[illegible] ეი, რომელიც მოახდინა ამ ოვლის გზით წამხდარმა. წაიილწულმა კაცმა მსმენელებზე; იმაზე, თუ როგორ ერეოდათ გული უკანასკნელებს ამ დანდურეკზე და ზოგს როგორ თიოქმის იმის საცემლათაც ექაბოდათ ხელები; მაგრამ რაკი «ასასალწლოსა» ვწერ და ახალი წელი კიდე ასეთი ტკბილია ჩვენთვის, ამიტომ არვიზამ იმასა, რომ ვისმეს ჩაემწარეს ჩემი წყალობით გოზინაეის სიტკბოება.

* * *

ჩვენ ამ ორი მაგალითით იმის თქმა გვინდა, რომ მარ-

თალია კეთილი ცხოვრება სხეულისა არ არის ურიგო, მაგრამ ნუ დავივიწყებთ, რომ კაცში ორი არსებაა შეზავებული. ამ ორ არსებას ერთმანეთზე აქვსთ გადაბმული კუდი ან უერთმანეთოთ ვერც გამოდგებიან. თუ ერთი მათგანი მომეტებულ უურადღებაში და პატივშია, მაშინ მეორე უთავაზებს სოლმე პირველს ქიმუნჯებსა—„შე უღმერთო, მე რაღა დავაშავე, რო აგეთ დღეში ვარ ჩავარდნილიო“! ეს ქიმუნჯები ფერდებს აცლიან პირველსა და ამწარებენ. ერთი გახლამთ სტომაქი, მეორე —კაცის სული, ანუ ფსიხიური არსება. ამასთან ისიც საუურადღებოა, რომ ეს უკანასკნელი ისე სწავლა-განათლების მიღებით და მეცნიერების შეთვისებით არა სალვათობს და სარობს, როგორც ზნეობითი სიკეთითა და პატიოსნების გატარებით ცხოვრებაში, სიმმრთლითა და სვინიდისით, ერთი სიტყვით, ადამიანობით. აი კარგი და სასიამოვნო მაშინ არის წუთის სოფელი, როდესაც ეს ორივე არსება ერთნაირ ყურადღებაშია ჩვენის მხრით. მართალია, გოზინაყს ერთი მისსალი წუნიც არ დეედება, მეტადრე, როდესაც ის სელოვნურათ არის გაკეთებული, რომ სულ იმტვრევა მოჭარბებული სიმაგრით და, კბილებს მოუჭერ თუ არა, მაშინათვე დაგიდნება პირში,—ჭო, კარგია ასეთი გოზინაყი, კარგია ასალი წელიწადი, რომელსაც მოაქვს ჩვენთვის ეს სიტკბოება სტომაქისა, მაგრამ ადამიანობამ, რომელიც ატკბობს სულსა ან გულს, ამ ადამიანობამ რაღა დააშავა?! ესეც თავისასა თხოულობს. „მიეცით კესარიისა კესარიას და უფლისა ღმერთსა“.

*
* *

რასაკვირველია, მკითხველი სამდურავით შამომბღვერავს:

— როგორ, მაშ განა ჩვენ ისეთი უკანასკნელი ვინმეები ვართ, რომ სტომაქის მეტი აღარა გვაგონდებოდეს რადა

ადამიანობას კი ზურგს უქცევდეთო?! ვის ეუბნები მაგეთებს?! შენ თავზე ილაპარაკე, თუ კარგია.

დაიწუნარე გული, ჩემო გაჯავრებულო მკითხველო—

«ახჭარებითა ქვეყანა
არავის მოუჭამნია».

ეკელოფერი შეგიძლიანთ სთქვათ ჩემზე, მაგრამ ეს კი ამკარა ტილის-წამება იქნება, ვითომც მე ქართველ კაცს ვძრახავდე საზოგადოთ უადამიანობაში. სულაც არა. ქართველი კაცი, ჩემის აზრით, თავის გადაჭარბებული გულ-კეთილობით არის დაღუპული. გულ-კეთილობას კიდევ ერთი ბეწო ნაბიჯიღა უკლია ადამიანობამდის.

ქართველების გულ-კეთილობამ და სულ-გრძელებამ არ გვიყო, რომ დღეს ჩვენში ერთს კერა ნახავთ, რომ თითო ან ორ-ორი სომეხი არ უჯდეს კარებში მრავალი «ისპოლნიტელნი ლისტებითა» და სულ განადგურებას არა ჭპირდებოდეს?! რათა? რისთვის? — რათა და იმათა, რომ შვიდ-ას, რვა-ასი წლის წინათ უდიერ გაჭირებაში იმეოფებოდა მთელი სომხეთი. ცალ მხარეზე ოსმალები ადენდნენ მტუტას, მეორე მხარეზე სპარსელები უშრობდნენ სისხლს. ისე მიაყუნწეს, ისე შეაგიწროეს, ამოწყვიტეს და ზნეობით დასტეს საწყალი სომხები ამ უღმერთო მეზობლებმა, რომ თვით ამ სალხის წარმომადგენელნი გაუდგნენ მას ლ უპირებდნენ სრულებით მტრის ხელში ჩაგდებას. მაშინ საქართველო წარმოადგენდა ძლიერს ქვეყანას სიმდიდრითაც და განათლებითაც. სომხებმა სთხოვეს ქართველ სალხს დასმარება. ქართველები, თუ კი შეეძლებოდათ, რას დაიხეკდნენ უკან! მაშინათვე გაემგზავრნენ ტანჯული

ქრისტიანების მისაშვებლად. უშველეს ვაჟ-კაცურათ, გაუმარჯეს ხელი, მოაშორეს მტერი და უსასყიდლოთ დაბრუნდნეს თავის ქვეყანაში. არამც თუ უშველეს უსასყიდლოთ, თითონვე, როგორც შეშვენის ქრისტიანულ ხალხს, ურჩიეს, რომ გისაც სომხეთში გეშინიანს ან გეცხოვრებათ, წამოდით საქართველოშიო. ბევრი პატიჟი არ მოუნდათ. გისაც ისგდენი არა რჩებოდა რა თავის ქვეყანაში, გამოიგრა ბოლჩაში, რაც რამ ებადა მცირედი, და გამოემგზავრა საქართველოში. აქ ჩვენი ხალხის წარმომადგენელებმა აუშენეს მათ მთელი ქალაქი გორი და დაასახლეს — „აჭათ, შვილო, იცხოვრეთ შეუწუსებლივ ან თავისუფლად. მცირესა ზედა გმაყოფილ იყავით, რომ მრავალსა ზედა დაგამკვიდროსთ თქვენ უფალმაო. ჩვენც შეძლებისამებრ ხელს შეგიწყობთ—რა გქნათ — ძმა ძმისთვის და ამ დღისთვისაო“.....

სომხები თურმე ასეთ სიტყვებზე ერთმანეთს უყურებდნენ და გულში იცინოდნენ—„გიჟ ვრაცუეო! . . . თურმე ნუ იტყვით, ამ ამბავზე გატილებით ადრე სომხების სამღვდელო პირებს განზრახვა ჰქონიათ თავიანთი სარწმუნოების გავრცელება ქართველებში. მაგრამ ქართველებს უთქვამთ — თქვენ თქვენთვის, ჩვენ ჩვენთვისაო, არა გვინდა რა, ნუ გაერევით ჩვენი სულის საქმეშიო. სომხების სამღვდელოებას ძალიან სწყენია ესა და მოელ სობორში გადაუწყვეტნია ქართველების საშვილისშვილოთ დაწყევლა. დაუწყევლია აგრეთვე ყოველი სომეხი, რომელიც ქართველს, . . . , გაუწევს რამე სიკეთეს *).

---

*) «დროება» 1882 წ. იანვრის 9 ფელეტონი—მღვდელი დიმიტრი ჯანაშვილისა.

გორეული სომხები ნელა-ნელა შეჭუკნენ ჩვენ სალსსა. . . „ჭკვი, ბატონო, შენი მუსლიმ ჭირიმეო», ეუბნებოდნენ თავვადებს ტკბილის ენით, „ჭკვი, ნათლიმამავ, შენ გენაცვალოს ჩემი თავიო“, ალერსებოდნენ გლეხებს — ამათაც, გულ-კეთილობის გამო, არ მოზდიოდათ თავში აზრი, რომ არიან ქვეყანაზე ისეთი მდაბალი და წამხდარი ბერნი, რომელნიც თავის სიტუკებს ნაგვის თვსს არა სდებენ, ლაპარაკობენ გაძრას ერთსა ლ გულში კი სხვა უდევსთ. ქართველი კაცი იყო შართალი და გულადი. იმას არა ჭქონია გაჭირება, რომ თავი დაემცირებინოს ხსვის წინაშე და არ ეთქვას ის, რაც გულში ჭქონოდეს. მისთვის ქლესია-მელიობა გაუგებარი იყო ლ ვერ მიუსვდა სომხის ეშმაკობას. ამანაც ბერში ქებით და ლაქუცით გამოსტინცლა, რაც კი იქ მეზობლობაში ქართველს ებადა რამა. ამობით, რასაკვირველია, . . . ეს მოულოდნელი ცვლილება, მეტამორფოზა არ დარჩა გაუგებარი სამშობლოში, სომსეთში. იქ მალე მოიფინა სმა, რომ საქართველოს სალსი მდიდარია. . . .

. . . ზათვხულობით ქალაქში ცხოვრება არ შეადგენს მაგრე რიგათ დიდბედნიერებას, კარგია და ძალიანაც კარგია ზათვხულში ამწკანებულ ველზე გრილათ დროების გატარება. მაშასადამე საჭიროა სოფლათ გასვლა. კარგია, რომ სოფელშიც კაცსა ჭქონდეს საკუთარი სასლი, თავის გემოზე გაკეთებული.

როდესაც ამისთანა . . .

*
* *

მაგრამ რაკი სიტუვამაც მოიტანა საქართველოს სომხებზე ლაპარაკი, ბარამა ვთქვათ . . . თითო-ოროლა სიტუვა და გველაძუობით ლაპარაკი საზოგადოთ არ არის კარგი.

უმთავრესი თავის გამართლება ზოგი სვინიდისიერი სომხისა იმაში მდგომარეობს, რომ თითო-ოროლა მასინჯი მოკ-

ლენით არ შეიძლება საზოგადო აზრის შედგენა რომელსამ სალსზედაო. აქაური სომხები სრულებითაც არ არიან წარმო-ა მადგენელნი მთელი სომხეთისაო.

ეს უველაფერი ისეთსავე ბეშმარიტებას შეადგენს, რო-გორც ისა, რომ ორგელ-ორი ოთხი. მე სრულებითაც არა მაქვს სასეში, რომ დავსდო სომხეთს რამე წუნი იმის გამო-აშკარებით, რომ მართლა კარგი და პატიოსანი სალსის წევ-რები ჩვენში ჩაიდენენ მეტათ უსამართლო, . . . რითაც ბ ნათლებელი სალსის თვალში სასელს უტეხენ თავის . . . სამშ-ობლოს ბ არცსვენენ იმას, ასეთი საქციელები ებადებენ ორ სალსს შუა სიძულვილს და მტრობას. ამ გვარი ლაპარაკით მე ლაქის ჩამოცსობა კი არ მინდა სომხეთზე, არამედ, ესვა-თაშორის, ჩემი საწადელი არის, რომ უკეთესმა წარმომადგე-ნელებმა სომხეთის სალსისა ალამალლონ თავიანთი სმა, . . . ბ დაარცსვინონ ისინი, ვისაც არავერათ მიაჩნიათ ქვეყანაზე არც სამშობლოს სასელი, არც ადამიანის ზნეობითი ღირსება, ვინც ყოველსავე ამაებს მსხვერპლათ მიუტანს უმდაბლეს სასსარს, . . .

მაშასადამე, აქ სრულებით უადგილო იქნება ლაპარაკი იმა-ზე, ვითომც მე რამე მტრობა მქონდეს სომხეთისადმი, ვქადა-ებდე ჩვენი სალსის უკეთესობაზე . . ჩემი გულითადი წადი-ლი მდგომარეობს იმაში, რომ არამც-თუ მეზობლათ მეოთხი ერნი იმყოფებოდნენ ერთმანეთთან განუწყვეტელ ძმურ კავშირ ში, არამედ მთელი კაცთა ნათესაობა გადაბმული იყოს ერთმა-ნეთზე სიყვარულითა ბ პატივის-ცემით. ეს სიყვარული სალს-თა შორის და ძმური კავშირი შეადგენს უწმინდეს იდეალს ყოველი განათლებული და პატიოსანი კაცის თვალში. ამ იდეა-ლის მიღწევისთვის აუცილებლათ საჭიროა, რომ ყოველი გან-

ვითარებული კაცი სდგებოდეს, როგორც ეერძო ცხოვრებაში, აგრეთვე საზოგადო ასპარეზზე. . . .

დარწმუნებული ვარ, რომ ამ ლაპარაკის შემდეგ ყოველი სვინიდისიერი . . . დაეთანხმება, რომ აგეთ საზარელ საქმეში თვალებზე ხელის დებვრება არ გარგა; რომ აქ არც ისა შველის, ვითომც, რაკი თითონ . . . პატივ-საცემია თავისი ისტორიული არსებობით, ამიტომ აქაურმა რაც უნდათ ქნანონ. არა თითონ . . . სიყვარული თხოულობს აგეთ მასინჯ პირებთან გაცხარებულ . . .

* * *

ამისთანა ლაპარაკზე ძარტო ის მეთქმის, რომ სიმდიდრის მოსაპოვებლათ ათასნაირი იარაღია. რომელ იარაღსაც ამოირჩევს კაცი ცხოვრებაში, იმ იარაღით შეგიძლიანთ შეადგინოთ აზრი იმის პიროვნებაზე, მის ღირსებაზე და ნაკლულევანებაზედ. შეიძლება, გახსნა, ასრეთ წოდებული, „დროების გასატარებელი“ სახლი, მეტადრე ღარიბ ქვეყანაში, სადაც ულამაზეს ქალს ერთ კვერცხზე მოგვიდიან, ოღონდ მოაშორო თავიდგან სახლობას. აქ შეგიძლიან, რასაკვირველია, გამდიდრება ასეთი იარაღით, ასეთი ხელობით. შეიძლება, დაღუპის გზაზე შემდგარ მთავრობას ენატლაკოთ დაადგე — იქაც ბევრ ფულს იშოვნი. შეგიძლიან, კაი ექიმი იყო — ესეც ფულს მოგტემს . . . ყოველივე აქ ჩამოთვლილ და ათას სხვა ხელობებით შეიძლება სიმდიდრის მოპოვება. მაგრამ რადგანაც სიმდიდრე არ არის კაცისთვის ისეთი უმაღლესი მიზანი, რომლის მისაღწევათ ყოველივე საშუალება გამართლდებოდეს, ამიტომ სულ მუდამ შეგიძლიან უსვინიდისოთ და უნამუსოთ გამდიდრებულ კაცს პირში ჩაეთურთხო და დაიზარო ხელის

გაწვდა მისდამი, არ იკადრო მასთან სმის ამოღება და ზეიდგან დაჭეურებდე მას.

აი ჩვენც ესლა იმაზედ ვლაპარაკობთ, რომ . . . ? განა სირცხვილია, რომ კაცმა გაბრთხილოს თავის მოძმე ცხოვრებაში, აჩვენოს გზა პატიოსნებისა და შეაზიზღოს უპატიური გზა?

* * *

მაგრამ ზოგი კეთილ-გონიერი კაცი, როგორც სომესი, აგრეთვე ქართველი, გამამტეუნებს მე ამ მეტუვის . . . ყოველ სალსსა აქვს ბუნებითი უფლება, რომ იცხოვროსო. სომესი რა არის ამ ქართველი რა არისო! . . . მაინც სომ გამოერჩეოდნენ თითოეროლა ქართველნი, რომელთაც ეგ სიმდიდრე ჩაუკარდებოდათ სელთაო და თავიანთ დღე-გრძელობისთვის მოისმარდნენო. საქართველოსთვის ეგ სულ ერთი იქნებოდაო. სალსს მაგითი არა შეემატებოდა-რაო. და ამიტომ მაგ საგანზე ლაპარაკი არ არის მოსაწონიო, მეტადრე მაშინ, როდესაც ქართველები და სომსები ერთ ბედ-იღბალში არიან. . . სულ ერთია—ქართველების სელში იქნება ჩვენი სიმდიდრე თუ სომსებისაში.

აქამდისინ ისე ყოფილა და ჯერ კიდევ კარგა ხანს გასტანს, რომ ფიზიკური მუშაობა უმრავლესობის კისერზე ყოფილა მიბჯენილი და ამ მუშაობის შედეგი, ნაყოფი მიდენილა უმცირესობისაკენ, რომელიც განთავისუფლებული ყოფილა შრომიდგან. ეს უმცირესობა, უფრო სშირათ, ურიგოთა სარგებლობდა თავის გარემოებით, ცუდათ სმარობდა ხალსის სარჩოს, ჭეფლანგავდა ათასნაირ სისაძაგლეზე. მაგრამ ხანდისხან მათში გამოერეოდნენ პირნი, რომელთაც ესაგდათ პირუტეუვული ცხოვრება და ელტოდნენ მაღალ სტამოვნებას — გონების გასნილობას, გულის გასუფთავებას, შრომის ბედის გაუმჯობესობას, ამ ლტოლვაში ისინი აწუდებოდნენ ხშირათ ბევრ

კარგ აზრს, ბევრს სამეცნიერო ჭეშმარიტებას, ბევრს სასარგებლო გზას. დრო ბევრი ჰქონდათ, შეძლება არ აკლდათ და კიდევაც ხმარობდნენ ამ ორთავეს ისე სვინიდისიერათ, რომ ითუმნებდნენ სწავლა-განათლებას, მეცნიერებას, სელობას და ბევრსაც სხვა სასარგებლო იარაღს. მერე ცდილობდნენ, რომ თავიანთი მეცადინეობის ნაყოფი გარდაეცათ ხალხისთვის, გაეგრცელებინათ მასში, აეწიათ მისი გონებითი ძალა, გაეფაქიზებინათ სამოქალაქო განწყობილება, საზოგადობრივი წესები, ერთი სიტყვით, პატიოსნურათ ესელმძღვანელათ ხალხისთვის და ზნეობით გარდასადნათ მისთვის ისა, რაც იმან უძღვნა მათ მატერიალურათ. ამ სახით, მდიდარი წოდება, თუმცა ძალიან ძნელათ, მაგრამ მაინც სამაგიეროს უწევდა უმრავლესობას, სარჩოს მშოებელს, ფიზიკურ მუშას, და მართალია მძიმეთ, მაგრამ მაინც ხალხის ჭკვა-გონება, მისი ბედიღბალი უკეთესობის გზაზე დგებოდა. . . .

ბოლო რამ საზოგადოება ან სწავლა-განათლების გასავრცელებლათ, ან ღარიბ მოსწავლეთა ხელის შესაწყობათ, არც ერთისთვის და არც მეორესთვის. რაც გინდ ნიჭიერი მწერალი იყოს, ვერას გნდება ჩვენში, რადგან მას თითქმის არავინ ეყოლება მკითხველი — შეუძლებლობისგამო, მოუცლელობისგამო ჩვენი ხალხი ვერც წიგნსა ყიდულობს, ვერც გაზეთს იწერს და ვერც ყურნალს. ამიტომ, რასაკვირველია, რომ ნიჭიერი კაცი აგდებს ძირს კალამს ან ისეთ რამეს გამოუდგება ხოლმე, სადაც უნდა დაიხშოს მისი გონების ღირსება. აგრეთვე აქტიორი აიღე, აგრეთვე პრაქტიკული მოქმედი რომელსამ საზოგადო ასპარეზე. . .

*
* *

ეს უველაზეერი ძალიან კარგი, მაგრამ რატომ ისე მომი-

ვიდა, რომ „საახალწლოს“ მაგიერ საუოველწლეოზედ მამიხდა ლაპარაკი ლ ვერცკი გავიგე აქამდის! აღარა ეშველებარა, ...

. . . მაინც ნუ გავწყვეტავთ ლაპარაკის ძაფსა და მალეც გავიდეთ ბოლოამდის.

მე ვამბობ რომ ქართველი კაცი არ არის უადამიანო, უგულო. მხოლოდ, ჩემის შეხედულობით, ურიგო არ იქნება, ამ ადამიანობასა ჭქონდეს განუწყვეტელი სარჩო, სასტიკათ შერჩეული. უნდა გამოვტუდეთ, რომ ეს ჩვენი თვისება, გულ-კეთილობა, არის უკეოესი სამკვიდრო ძველი დროებისა, გადმოსული ჩვენზედ უწინდელი ნათელი, მასზედ ჩვენ არ გვიმუშავნია: მზა-მზარეულათ გადმოუცია ჩვენთვის მამა-პაპებს. ჩვენ უნდა ორთავ ხელებით დავეჭიდნეთ მას ლ ბარავის დავანებოთ,

• • •

მეც ამ საახალწლოთი ვინატრებ ქართველებისათვის, რომ სრეთ ღირსეულ თვისებას, როგორიც არის ჩვენი გულ-კეთილობა, ეპოვნოს ისეთი საზრდო, რომელსაც შეეძლოს სრული მისი დაკმაყოფილება, დატკბობა . . . ჩემი საუკეთესო ქართველებისადმი მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ აქამდის რიგიანათ ვერ გაგვიგია ჩვენი მდგომარეობა და ამიტომ, რასაკვირველია, არც ყოირიანათ გვესმის ჩვენი მარგებელი იარაღები . . . ვისურვებ, რომ ეს . . . ძილი გადაგვეჭცეს ამას იქით მკაცრ სიფხიზლეთ.

ქიზიყელი.

სუსტი და მძლავრი.

თაოვანსა გცემ, მაშ რა გიყო
მე უწყალოდ წვალებულმა?
უნდა ძალა-უნებურათ
შემოგტინოს ჩემმა გულმა.

შეგიშურიეარ სუსტი მძლავრსა,
ვით შეიშურობს კატას ლომი;
ვით გავბედო—გაგიცხადო
მე უძლურმა ბატონს ომი?

მეც კაცი ვარ, შემიბრალე!
ალარ მიდგა მკლავში ღონე;
შენ კი ამბობ: „რაც გინდა სთქვი,
ბატონი ვარ—დაგიმონე;

„უნდა ეგრე მემსახურო!
რაც გიბძანო—გაიგონე!
„კაცი ვარო“?! ვის უბედავ,
ან საიდგან მოიგონე?!

„რასა როტავ, გლეხო ბრიყვო,
შგუნურო, მხეცო მუშა!

თუ რომ კაცი ყოფილიყავ,
შენი საქმე რამ დაეუშა“?...

—

ძლიერი სარ და დამტინი,
მეუბნები—«მსუტო მუშა»!...

. . .

. . .

ტ. დ.

როდის იქნება.

როდის იქნება შეკიკრიბოთ, ძმანო, ერთად
და დაკაკვირეთ კიდით-კიდეს მკვნესი ნაღარა,
მის ტკბილსა ხმაზედ მხიარულად—გიყმაყურად,
თავისუფლად ვთამაშობდეთ აღმარ-დაღმარა?!

—

როდის იქნება გარდგვესვიოს ძმურათ ხელები,
სულით და გულით ერთად . . . გამზადებულთა,
წინ მიგვიძღოდეს სიყვარული, ფრთებით შესხმული,
და ჩვენს . . . მხრებს აბერტუდეს გახარებული?!

—

როდის იქნება შრომის შვილსა პირი მოვბანოთ,
აღარა სწვამდეს ნაკადული ცხელის ოფლისა,
შევძლოთ იმდენი—დაჩაგრულსა გული ვუხარეთ,
უმეტრებისა და ტანჯვისგან სულ გაღახულსა?!

—

როდის იქნება გულს მოგვეჭიდოს ტანჯულთა ბედი!
აგერ ახვეწის «მომეშველეთო» «შავის» ძმის სული,
თვალ-ცრემლიანი, ქვაზედა ზის, ძონძ მოხვეული,
დაჩაგრული, მუშტის ტოლთა ამობუზული!...

ლ. რ—ზ—კ—ლი.

ქართული თეატრი.

I

ერთსელა და ორჯერ არ უსაყვედურნიათ ჩვენთვის, რომ აგერ მთელი ერთი წელიწადი სრულდება «იმედის» არსებობისა, და აქამდის ამ ჟურნალს ხმა არ ამოუღია არც საზოგადოთ თეატრზე, და არც კერძოთ ქართულ თეატრზე. ბევრი დარწმუნებულიც არის, ვითომც ეს ხმის ამოუღებლობა ამტკიცებს იმასა, რომ ჩვენი ჟურნალის შესედულობით თეატრი საზოგადოთ ისეთი უმნიშვნელო მოვლენა არის, რომ იგი არც კი ღირს ჩვეიანი კაცის ყურადღებათ. და ამიტომ, ვითომც ჩვენთვის სულ ერთია, რა ნაირ მდგომარეობაშიც უნდა იყოს ჩვენი თეატრი — კარგა მიდის იმისი საქმე თუ ავათ, აქვს ხეირიანი პიესები თუ არა, ჰყავს რიგიანი, შემზადებული აქტიორები თუ უკანასკნელნი ცალ თვარათ არა ღირან, არის ქართული საზოგადოება, რომელიც თანაუგრძნობს ამ საქმეს, ცდილობს მის თესზე დადგენას, თუ ეს თეატრი თავისთავათ მიდის ხელ-შეუწყობლივ და ბისგანმე გულ-შეუტკივრათ. ერთის სიტყვით ჭგონიათ, ვითომც «იმედს» არაფერათ მიახჩია თეატრი და აბა რისთვის გაირჯებოდა მასზე ლაპარაკით!

მაგრამ ვაღვიარებთ, რომ ეს მეტათ შემცდარი აზრია. არც ერთი საუოველთაო ჟურნალი არ იტყვის, რომ თეატრის

საქმე მისთვის არავერს შეადგენდეს. როგორც ერთი ლ ორი ორგანი ქვეყნის აზრის გამოსათქმელათ, საზოგადო შესედულობის საღვიარებლათ, თეატრი არის აუცილებელი კეთილობა ცხოვრებისა განათლების გზაზე. შეტადრე ისეთი სალხისთვის, ვინც ჯერ თვალებს ითვშვნეტავს, ის კია დაუსწავია თავი ეკუნითი ლეტარგიული ძილისგან და ცნობის მოყვარეობით შესცქერის თავის გარემოებას, ამისთანა სალხისთვის თეატრი არის უკეთესი სასწორი, რითაც იგი სწონავს კარგსა და ავსა, აიღებს და დაიღებს, რომ თავისი შესედულობა ცხოვრებაზე ააშენოს საფუძვლიან საძირკვლის ჩაგდების შემდეგ.

ეს ასეც უნდა იყოს. ქვეყანა, სადაც არ არის საზოგადო აზრი გამორკვეული და დაფუძნებული, სადაც მწერლობას არა აქვს ჯეროვანი გზა, გაკვერილი მკითხველების ყურადღებისადმი, სადაც საქვეყნო სასარგებლო საქმეებს არ გაუდგამთ ფესვები ხალხის წარმომადგენელთა გულში, სადაც არ გამაგრებულა საზოგადო ძარღვი, რომელიც ერთის ძალითა სტემდეს ყველა არსებაში, ერთი მხრისკენ იყოს მიქცეული, ეს მხარეც შეადგენდეს ამ ხალხის ბედნიერებას, — ამისთანა ხალხში თეატრს შეუძლია გაუწიოს დიდი მოღვაწეობა საზოგადო საქმეს, ქვეყნის დღეგრძელობას. ამისთანა დროს თეატრი თითქმის მასწრებაა, თუ კი იმას ესმის თავისი მოვალეობა და წმინდათაც ასრულებს იმას.

მართლათაც ხალხი, რომელსაც არტეია ზემოთ ჩამოთვლილი გარემოება და ჯერ ისევ ბორანი არ მოუცილებია, რა თქმა უნდა, ელტვის ჯერძო ინტერესებს, მისი შვილნი გაქსაქსულები არიან და ყველა მათგანი მისდევს თავის საკუთარ გზას, რომელიც დანარჩენისთვის უცნობი და უსარგებ-

ლოა ან განურჩეველი. ეველა მათგანი უეურებს ცხოვრებას თავის გიწრო და კერძო კუნჭულიდგან. მისი თვალები ვერ ვერ გაარჩევენ იმ მოვლენათა, რომელთაც აქვსთ საყოველთაო სასიათი. შესვდება მრავალ გარემოებათა, მაგრამ არ ესმის მისი საზოგადო მნიშვნელობა. აქ, ამ სალხის წარმოშადგენელნი არ არიან ერთმანეთზე გადაბმულნი რომელიმე მაღალი კავშირით. მათი მისვლა-მოსვლა ერთმანეთთან განისაზღვრება ან დაასლოებული ნათესაობით, ანუ მარტო კუჭის გამოსაკვებ ინტერესებით. ამისთანა გაულვიძებელ საზოგადოებაში, მეტადრე უკანასკნელ გარემოებას თუ უჭირავს რამ ადგილი, თორემ სხვა თითქმის არა შეგხვდებათ რა.

რომელ საშუალებას შეუძლია ასეთი დაქსაქსული არსებების შეკეეუეა, მათი ურთიერთა სიყვარული, სელი-სელთ გადაბმა და ერთათ, საზოგადობრივათ გამგზავრება საკეთილო საქმისკენ? რასაკვირველია, ისეთ საშუალებას, რომელიც მათ დაანახვებს, რომ ერთმანეთის თავი მათთვის ჭამა-სმაზე ნაკლებ საჭიროებაც არ შეადგენს, რომ ცხოვრებაში მარტო კუჭი არ არის პირველი და უკანასკნელი განძი კაცისთვის, რომ არიან მრავალნი ზნეობითი თვისებანი, რომელთაც ეველაზე უმჯობესი ადგილი უჭირავთ ქვეყანაზე.

რასაკვირველია, ამისთანა დროს კარგია, რომ სალსა ჭეანდეს ისეთი პირნი, რომელნიც არიან აღჭურვილნი სამოქალაქო გრძნობითა და ამკარათ მოქმედებენ რომელსმე საზოგადო ასპარეზზე ქვეყნის სასარგებლოთ. კარგნი არიან ამ დროს საქვეყნო აზრების მქადაგებელნი . . . , რომელნიც განეცხრომლათ ჩასძახიან სალსს მაღალ წადილებს და აღძრავენ მათში საყოველთაო დღე-გრძელობისკენ მიდრეკილებას. კარგია ამ დროს დასელოვნებული და მომწიფებული

მწერლობა—მაგრამ ამ პატიოსან საშუალებებთან უკანასკნელი ადგილი არ უჭირავს თეატრს და ბევრჯელ თითქმის კიდეც აღემატება იმ უგელა ზეკით მოხსენებულ იარაღებს. გაუნათლებელ კაცზე წაკითხული ნაკლება მოქმედობს, ვიდრე თავის თვალით დანახული, თავის უურით გაგონილი, თვით მოქმედებაში გამოხატული აზრი. ლაზათიანი სიტუვა, მაღალი ქადაგება ხშირათ ვერა ბოულობს გზას კაცის გულთან ისე, როგორც თითონ საქმე რომელიც დაუდვია კისერზე მომქმედ პირსა.

ამასთან თეატრს ერთი კაი ჭირიც სჭირს, რომ აქ კაცს შეუძლიან აშკარათ დაინახოს, თუ რომელი აზრი უფრო ადვილათ გაიგების სალსში, რომელი მიმართულება უფრო გასაგებია მისთვის, რომელს უფრო დიდს პატივსა სცემს სალხი და რას უფრო გულ-გრილათ ეკიდება, რომელი მოკლენის დასატკვას შეუძლიან მისი შეერთება ან რომლისთვის უფრო უცემს გული ეს ზომაც, უნდა მოგახსენოთ, ბევრით უადვილებს მომქმედ კაცს საზოგადო საქმეს. შეგიძლიან, თუ გაქვს ნიჭი, თეატრის სცენაზე გახდე მართალ ასასრგებლო კაცი, მოიტანო მთელი ის სარგებლობა, რაც კი შენი მომზადებულობით შეგიძლიან.

ერთი სიტუვით „იმედის“ აზრი თეატრზე სრულებით არ არის ისეთი გასაკვირველი, როგორსაც გვაწერენ. „იმედსა“ ჰგონია, რომ თეატრი შეადგენს დიდ საჭიროებას ჩვენი საზოგადოებისთვის ან ადვილათ შასრულებს თავის მისსიას, თუ მას ექნება მიქცეული ჯეროვანი ყურადღება.

II

ამ ქამდის თუ ჩვენი ჟურნალი ხმას არ იღებდა თეატრზე და მხოლოდ ესლა შეუდგა ამ საქმეს, ამის მიზეზებს წარმოგვიდგენს თითონ თეატრიგვე. ჩვენი თეატრი დღევანდლამდის ისეთი უდღეო მოკლენა რამ იყო, ჩვენს თვალში, რომ მასზედ სმის ამოღება თითქმის გვეძნელებოდა, მეტადრე სწორე სიტუვის თქმა, რადგანაც ეს სიტუვა ეგვანებოდა მკვდარი კაცის ცემას. მართლადაც და, რა მდგომარეობაში იყო დღევანდლამდის ჩვენი თეატრი? — სატოდავ მდგომარეობაში. იგი ჰგვანდა უძლურს, პირ-იქით გადასრწნეულს, მომაკვდავ მთხოვარას, რომელსაც თითო-ორორლა გულ-ჩვილი და შეძლებული კაცი სამადლოთ გადაუგდებდა ხოლმე ათასში ერთხელ ლუკმას, რომ იმის სატოდაობით არ გამწარებოდა ცხოვრების წუთი. ამასთან ქართული თეატრი თუ არ გასდა სიკვდილის მსხვერპლათ, ეგ მხოლოდ იმითი აიხსნება, რომ იგი საპატრიოტო საგნათ გადაიქცა ჩვენში. პუბლიკა იმიტომ კი არ დაიარებოდა თეატრში, რომ იქ შეესწავლა ჩვენი ცხოვრების მოკლენანი, მიეღო ესტეტიკური სიამოვნება, დაეტკბო სმენა ლ შაესვენა, არამედ იმიტომ, რომ სათაკილოდ მიაჩნდა—როგორ თუ საქართველოს ერი მოკლებული უნდა იყოს ამისთანა საგანს, როგორიც არის თეატრიო! ვისაც კი თავი . . . მიაჩნდა, უთუოთ მიდიოდა თეატრში, რომ ეშვენა მისთვის თავის მსრით.

რაღა თქმა უნდა, რომ როდესაც ამისთანა პრინციპზე, პატრიოტულ თავ-მოუკარეობაზე, მიკარდა საქმე, მაშინ ჩვენისთანა დამტირებულ ჭკეუანაში, სადაც კალმუხის ქუდი, უურთ-მაკებიანი

ძულაჯა დამატებული ჩვენებურის, ძველებურის, მდიდრულის დოინჯითა—ითვლებიან უმთავრეს პატრიოტულ ნიშნებათ ჯ სადაც ამიტომ ასრე იშვიათია ნამდვილი გულ-მხურვალე მოღვაწენი . . . . —ჭო, ამისთანა სალხში მარტო ერთი პრინციპით, ისიც ნაასალზე გაგებულით, შორს ვერ წასვალ. როდესაც საქმე სამოწყალოთ გახდება, იმის ბედზე ხელი უნდა აიღო, უბრალო სასტუმრო—რესტორანებში ათი. მანეთის დასარჯავ—გაფუჭება ნაკლებათ გიძნელდება, ვიდრე სამოწყალო საქმეზე ერთი აბაზის შეწირვა. ამიტომაც არის, რომ სატოდავი, ჩვენი აქტიორები ტუავიდგანა ძვრებიან, მაგრამ მაინც ვერ შოულობენ ლუკმა პურს უსაუკეთუროთ.

რასაკვირველია, მკითხველმა წინათვე უნდა იცოდეს, რომ თეატრის ასეთ დღეს ყველაზე მცირედ აქტიორების უნიჭობას ვაბრალებ. ჩემის აზრით, ჩვენმა აქტიორებმა საკმაო ნიჭი გამოიჩინეს თავიანთ ხელობაში. მაგრამ რა ექნათ, როდესაც არა ჰქონდათ ისეთი პიესები, რომლის წარმოდგენითაც მიეცხროთ პუბლიკა თავიანთკენ? იქამდის გაუჭირდათ საწყლებს საქმე, რომ ადგნენ და თითონვე შეუდგნენ პიესების წერას, თარგმნას, რადგან იმათ არ აკმაყოფილებდნენ სხვების ნაწერები. მაგრამ, ხომ მოგესსენებათ, შეიძლება, კაცი პირველი სარაზი იყოს და დერეფიკობისა კი ინჩიც არ ესმოდეს. ძალიან წარჩინებული აქტიორი, შეიძლება, ფერიად უხეირო მწერალი იყოს ასე, რომ სანდისსან, იქნება, მოკითხვის წერილსაც ვერ მოასერხებდეს რიგიანათ შეადგინოს. თუმცა არც ასეთები გამოდგნენ ჩვენი აქტიორები, ზოგმა მათგანმა კიდეც გამოიჩინეს ტოტალოდენი მწერლობის ნაგლეჯიც, მაგრამ ასეთი ნაგლეჯებით, ესლანდელ დროში, დიდ ნახტომს ვერა იქ. ჩვენ აქტიორებს რომ აკმდისინა ჰქონოდათ ტოტალი

მაინც რიგიანი რეპერტუარი, მაგათ თითქმის შეეძლოთ თავიანთი ნიჭით ქართული თეატრი მართლა ფეხზედ დაეყენებინათ. და რადგანაც ამ აუცილებელ მასალას იგინი, საუბედუროთ, მოკლებულნი იყვნენ, ამიტომ თითონაც სული კბილით ძლივს-ღა ეჭირათ. მოდი შენა და ამისთანა დაწყეკლილ გარემოებაში მომწყვდეულ კაცს მოატანე უკანიდგან სახრითა და ერთი თუ ორი, ერთი თუ ორი... ურტყი და ურტყი! რა გამოვიდა! სრულებით არათერი. მით მომეტებულათ, რომ ყველა მათგანი ჭეშმარიტად თავის სიმართლეს და იცოდა, რომ იგი იყო მსხვერპლი ძალ-უმადლო გარემოებისა. ამისთანა დროს კაცზე ხელის მიტანა სწორედ დანაშაულობაა. ეგერა მაშინ, როდესაც ეს კაცი რაღაც ინსტიკტიურათა ჭეშმარიტობს, რომ დღეს არა, ხვალ მისთვისაც ამოაშუქებს ბრწყინვალე მზე, გაუნათებს გზასა, მიიყვანს ისეთ ადგილას, სადაც იგი თავისუფლათ ამოისუნთქებს და ცოტა ხნის უკან გვირგვინ-დადგმული, თავის ნიჭით და პუბლიკის ქებით წახალისებული გამოგეჭიმება წინა, სიამითა და სიხარულით მოცული.

აი მიზეზი, რომელიც ჩვენ არ გვაღებინებდა ხელში კალამს ქართულ თეატრზე სალაპარაკოთ. ჩვენ სულ-გატეხილი მოუთმენლათ ველოდით დროს, როდესაც შეგვეძლო თამამათ ხმის ამოღება და როდესაც ჩვენ სიტყვებს არავინ მიიღებდა ტეუილ წამახალისებელ ცბიერებათ.

III

ჩვენის აზრით, ეხლა დაგვიდგა ეს ბედნიერი დრო. ქართულ თეატრს გაუთენდა კარგი ახალი წელიწადი. თუმცა ჯერ

სისრულე შორს არის, მაგრამ დასაწყისმა ისეთი მაგარი და ბარაქიანი საძირკველი გამოიჩინა, რომ უიმედობას დღეის იქით ადარა აქვს ადგილი. ესლა შეიძლება იმედიანათ შეხედურო ყაცმა ქართული თეატრის ბედ-იღბალს.

ეს ბედნიერი დასაწყისი გახლავთ ორი ჩინებული პიესა, რომელიც ამ ცოტა ხნებში ორ-ორჯერ დაიდგა ქართულ სცენაზედ და ორ-ორჯერვე ნამდვილ აღტაცებაში მოიყვანა პუბლიკა. ერთ პიესასა ჰქვიან სახელათ „უაჩალი არსენა“ და ეკუთვნის ფ. უაზბეგის ახალ-გაზდა კალამს, მეორე — „სამშობლო“, რომლის გადმომკეთებელი არის უფრო გამოცდილი მწერალი ფ. დ. ერისთავი.

როგორც სახელებიდგან ჩანდავთ, „უაჩალი არსენა“ ჩვენი თვალის წინ აცოცხლებს იმ სახალხო ბშირ არსენას, რომელზედაც ასე გავრცელებულია ჩვენი ქვეყნის ყოველ კუთხეში მესტვირეული ლექსი, იმ ოძელაშვილ არსენას, რომელსაც . . . . . ისსენიებს ყოველი ქართველი კაცი, თუმცა ეს ისტორიული გმირი კანონს გარეთ ითვლებოდა თავის დროს, უაჩალათ იყო გასული და მისი თავი ოქროზედ იყო დაფასებული. აქ მაყურებელი ჩხედავს და უსმენს იმ არსენას, რომლის ქება . . . . . პატარობითვე ყურებოდა ჩვენებური მესტვირეებისგან ლ მრავალ სხვებისგან, რომელზედაც თითო-ორორლა ბუშლეტი უკელა ჩვენგანს თითონაც შეუძლიან წარმოსთქვას.

მაშასადამე, აქ ისეთი საგანია გამოყვანილი, რომელსაც გერც ერთი ჩვენგანი ვერ მოეკიდება გულ-გრილათ.

არც ნაკლები ინტერესი აქვს ჩვენში საზოგადოთ სიტყვას — სამშობლო, მაგრამ ფ. ერისთავის „სამშობლო“ ისეთი . . . . . რამ არის, ისეთ საგნებს შეეხება და ისეთი გმირე-

ბი არიან შიგ დასტულნი, რომ მათი თვალის მოძორება ძნელათ მოსახერხებელია და მათი სცენაზე უნახველობა ვიდე დანაშაულობა. რომელ ქართველ კაცსაც კი მოეპოვება ცალთვალი მანათი ანუ ექვსი შაური კენტათა და არ წავა თეატრში „სამშობლოს“ სანახავათ, იმ ქართველ კაცზედ მე შემიძლიან ვსთქვა, რომ მას არ გამოუცდია ქვეყანაში უდიდესი სიამოვნება, . . . უმთავრესი მომქმედი პირი ამ პიესისა არის სვიმონ ლეონიძე, რომელიც ისეთი თვისებით არის შემკული, რომ მართლა ღირსია მთელი ბაასისა და რომელსაც მე შეკსწორამ ცალკე სტატიას მომაკალ თვეში, რადგანაც ბევრს გულზე მოსაწყენ საგნებზე ჩაგვიიქრებს ჩვენ ეს სწორეთ რომ კლასიკური პირი. არც ეხლა დავიზარებდით მაზედ ლაპარაკს, მაგრამ სტატიის ზომა არ გვაძლევს ნებას ამ ხელათ დიდი ხნით შეზერებას ამ საგანზედ, აქ მხოლოდ გთხოვთ მიაქციოთ ყურადღება იმასა, თუ ეს პიესები რომელ მხარეს შეეხებიან ჩვენი ცხოვრებისას. რადგანც ქართული პიესები მწერლებს არა ჰქონდათ და არც ეხლა აქვსთ სასტიკათ გამორკვეული არც პოლიტიკური და არც სოციოლოგიური შეხედულობა ცხოვრებაზე. ამიტომ სან რას ედებოდნენ, სან რასა — სან თიქრობდნენ, რომ ჩვენში სცენა დადგება ფეხზე უკეთესი კლასიკური დრამატურგების გადმოთარგმნით ქართულ ენაზეო, სან ეგონათ, რომ ჩვენი ცხოვრების სურათები, როგორნიც უნდა იყვნენ, უთუოთ ძიზიდავენ პუბლიკასაო. მაგრამ სინამდვილემ გვაჩვენა, რომ არც ერთი და არც მეორე მწერლობა არ ყოფილა სცენის მოყვარეთა. მხოლოდ ეხლა. ამ ორი პიესის წარმოდგენამ გვაჩვენა, რომ ჰა, როგორც იყო, ჩვენი დრამატურგები უცბათ მიაწყდნენ ნამდვილ გზას, რომელსაც

არ უნდა გადაუხვიოს ქართულმა თეატრმა, თუ უნდა, რომ თავის საკუთარი უსაყვედურო სახსარი გაიჩინოს ცხოვრებაში და შეასრულოს ის სამსახური, რომელიც აძევს ვალად თეატრსა. ეს გზა გვაჩვენებს, რომ ქართულ პიესებში უნდა გაუვნილი იყოს აუცილებლათ ისეთი მსოფლიო მიმართულება, რომელიც თითონ ჩვენ ცხოვრებას შეეფერება, გასაგებია ჩვენი ხალხისთვისა.

ამით, რასაკვირველია, მე არ ვარ წინააღმდეგი უკეთესი ევროპიული პიესებისა, ანუ ჩვენი ცხოვრების, სურათების დასტვისა. მე ვიდგენ ჩვენი საღის გონების ძალას და აქედგან ვფიქრობ, რომ ევროპიულ პიესებს იგი არ დასდებს ნაასალ თვისსა, ქართული ცხოვრების ესტეტიკურ სურათებს არ დაუენებს იმ ადგილზე, რომელიც მას ეკუთვნის, თუ ამ ორთავე რიგ მწერლობას არა აქვს მძლავრი საფუძველი ისეთი მსოფლიო აზრისა, რომელთანაც ჩვენ მიგვიუვანა ჩვენმა ცხოვრებამ და რაზედაც ქართველი ვაცი ინსტიკტიურათ ელის პასუხს ჩვეიანი ნაწერებიდგან, რიგიანი პიესებიდგან.

ამ ორმა პიესამ ამ ერთ დაგვანახვა, რომ ჩვენი საზოგადოების ძარღვში გამუდარა ორ-ნაირი სურვილი ბრძოლისა —ბრძოლა ხალხის ეკონომიურ სამართლიანობის დასაფუძნებლათ და ბრძოლა . . . უსამართლოებასთან. ბრძოლა . . . ეს არის ორი უდიდესი შინაარსი ჩვენი ხალხის სურვილისა. გზა, რომელსაც მიადგა ჩვენი თეატრი მხოლოდ შეაბოჭვით, არის წმინდა, სუფთა და ფართო. ამ გზას უნდა დაეკვალეროს ქართული თეატრი, რომ შემთხვევით კი არა, სრული პრინციპით, ტენდენციურათ დაარსოს თავისი საქმე მაზე. ეს გზა ისეთი ვრცელი და განიერია, რომ

ორი ლ სამი ეიესით მისი გვვლა არ მოხერხდება. ამ ტემებზე შეიძლება ივარჯიშოს ჩვენმა . ა . ჭკვამ ათ-ასი ვარიაციებით, მუდამ დღე. და არც კია წარმოსადგენი, რომ ეს მაღალი ტენდენცია მოსწყიდნეს ვისმეს. რის მოსწყინდეს! ეს ტენდენცია უფრო გაამლიერებს სალხის ინსტიკტურ მიდრეკილებას, შეასსამს მას ცხარე და განვითარებულ აზრს, რომელიც . . . გამაგრდება თავის დროზე, . .

. . .

რაც გინდ მშვენიერი იყოს სურათი ჩვენი ცხოვრებისა, მაინც თუ ის არის უბრალო სურათი, ქართველი კაცის შესედულობით, ამ სურათს არ შეუძლიან იქონიოს ჯეროვანი უურადღება ჩვენი საზოგადოებისა; აგრეთვე რაც გინდ უსულოვნოთ, ეესტეტიკოთ იყოს ქართულ ცხოვრებაში გატარებული ერთ-ერთი აზრი ზემოთ მოყვანილი კატეგორიისა, მაინც ეიესა მოახდენს ძლიერ შთაბეჭდილებას ქართველ საზოგადოებაზედ. ჩვენისთანა სალხს ჯერ საქმე უნდა მისცე სელში, ნამდვილი სორტ-შესხმული საქმე, ძრიელი აზრი, ღონიერული იდეა, რომელიც ხვდება იმის ძვალსა და რბილს, და მერე, როდესაც ამ საქმეს მიეჩვევა, გაუჯდება არსებაში, მერე შეგიძლიან უფრო ნაზი გრძნობების გამღვიძებელი სურათები წარუდგინო, და მაშინ ისიც დაეთვსებს მათ და დააკმაყოფილებს ჩვენებურ ესტეტიკოსებს. ჯერ კი ამ უკანასკნელებისთვის არა სცალიან იმას.

ჭო, და ეს კანონი ნელ-ნელაობითი ფეხის ადგმისა, კანონი სალხის თან-და-თანობითი გასსნილობისა აუცილებლათ უნდა ჭქონდეს თეატრს სახეში და არ გადასტებოდეს ხოლმე

წინა, თორემ შეეშლება ნახტომი და მერე, მშვიდობით ხალ-ხის თანაგრძნობაც!

შემდეგში უფრო ვრცლათ მოვიდაპარაკებთ ამ საგანზე.

სტ. ჭრელაშვილი.

„იმედის“ კორრესპონდენცია კახეთიდგან.

მეტათ ძნელია კორრესპონდენტობა იმ მხარეში, სადაც არ ესმით კორრესპონდენტის მნიშვნელობა და სადაც ყოველის მართლის სიტყვისათვის სატოდავს კორესპონდენტს სან საჩივრით ემუქრებიან, ხან საპყრობილეში ასმით, ხან ცემით და ხან — ვინ იცის რითა!... მართალი სიტყვა რომ სთქვა მოსელეზედ — თავის თანამდებობას რიგიანათ ვერ ასრულებსო და კარგი იქნებოდა, რომ კარგად, კეთილ-სვინიდისიანათ ასრულებდეს თავის საქმესაო — მაშინათვე მოგვარდებიან — „როგორ ბედავ მაგის თქმასაო? შენ მართებლობის წინააღმდეგი ხარ, მმართებლობას ჭკიცხავ და, თუ კიდევ ხმა ამოგიღია, — იქ გაგგზავნით, სადაც ბევრნი მიდიან და საიდგანაც თრიად მცირედნიდა ბრუნდებიანო“!!!... მოდი შენ ესლა და სთქვი რამე რომელსამე მოხელე გვამზე! მეტადრე მაშინ არის კორრესპონდენტი შესაბრალისი, როდესაც რედაქტორიც თანაუგრძნობს მოხელეს „ხარისხისა და სახელის გამო“ და ეფთის სადილზე ჭეიდის თავის კორრესპონდენტსა... მაგრამ ამაზედ შეაჯიბ... ცალკე მოგიოლაპარაკებთ.... კორრესპონდენტს ხშირად არც მხიარულება აკლია; მეტადრე მაშინ, რადესაც მისი ნაწერი გულში ხვდება კეთილებისმყობ (რასაკვირველია, მართალი სიტყვა მოქმედებს ლ ხვდება მწარეთ, თორემ ტყუილზე მხოლოდ თავ-ქარიანები ცხარობენ და ან ვინ მიაქცევს

უურადღებასა) და როდესაც კორრესპონდენტის გინაობა ფსევ-
დონიმით არის დაფარული,—მაშინ უნდა უფუროთ, რა ჩოჩ-
ქოლი და ძებნა-ძიებაა კორრესპონდენტის მისაგნებათ! „რა
კარგი კორრესპონდენციაა ეს!“ გეტყვის ჯაშუში, „უთუოთ
შენი დაწერილია აი, თორემ სხვა აბა ვინ დასწერდა ასე კარ-
გად,—შენია განა“!? გკითხავს ჯაშუში მაცთურის ღიმილითა.
მაგრამ კორრესპონდენტმა იცის, ვისთანაცა აქვს საქმე და
შესაფერს პასუხს აძლევს... მეორე რიგი ჯაშუშებისა სულ
სხვა საიარაღ[illegible] რომ ვერასფერს გაუწყობენ, გულ-დამწვ-
რები ი[illegible]ანენ: „თქვენს სტატიას როგორ წავიკითხავ, განა
იმისათვის დროს დაკარგავ?!“ მაგრამ უნდა იცოდეთ, რომ
იგინი, თავის დღეში რომ გაზეთი არ აელოსთ ხელში, თავის
და თავის დასის სალხის შესახებ კორრესპონდენციას კი უეჭ-
ველათ წაიკითხავენ... ორიოდე მართალი სიტყვა რომ ვსთქვა,
ეწყინებათ ზოგიერთა გაზეთონებსა... მაგრამ ჩვენ რას დავს-
დევთ, დავიწყოთ საკორრესპონდენციო ამბები, რომელნიც
ისე მრავალია, რომ არც კი ვიცით, საიდგან მოვიყვეთ!

ბასეთში თამადამ იცის—უფროსისაგან დაიწყებს სოლმე
საღლეგრძელოსა და ერთმა ოელაკელმა „ღამურამ“ კიდევ ასე
იცის: გზაზე რომ ათი ნაცნობი შეხვდეს ერთათ, იგი ამოა-
რჩევს მათგან უფროსს (წოდებით ანუ ადგილით) ლ მხოლოდ
მას ეტყვის თავის დაკვრით: «№№ Мое Вамъ почтеніе»!
სხვებს კი ხმასაც არ გასცემს და გაივლის.

რადგანაც თელავი მთელი მაზრის უფროსია, და ეწყობ
�ц თელავიდგან. თელავში შემოსავალი გზა ბოლოლანთ
ერთან, თ. ბაქრო ვ—შვილის ბაღის ბაკში, ორათ იყოფა:
მარცხნივ თელავში შედის და მარჯვნივ კი მიემართება გომ-
ბორ-თბანეთისაკენ ეს უკანასკნელი გზა,—ერთათ ერთი გზაა,

რომელზედაც უნდა იარონს მთელმა კახეთის სალხმა. თითქმის თელავში მიმავალი სალხიც ამ უკანასკნელს გზასა რჩეობს, რადგანაც პირველი ფრიად ალმართია, მეტადრე ზამთარში, როდესაც სრულიად მოიყინება. და ეს ერთათ ერთი გზა ზაფხულიდგან მოკიდებული შეკრულია, რადგანაც ერთს ალაგს ბატონის წყაროს რუსაგან ისეთ ნაირათ არის დახრამული, რომ ურემი კი არა, ცხენიც ვეღარ დაიარება! ასლა თქვენ წარმოიდგინეთ ამ ზამთარში საქონლის გაჭირება ყინულზედ თელავისა ან ბატონის-წყაროს ალმართზედ! საკვირველია: ერთის მცირედის ბოგირის მეტი არა უნდა რა, რომ ეს გზა გაიხსნას, და სალხი და საქონელი ამ ალმართს ააშორონ, და ამის გაკეთება, არ ვიცი, ვერ მოუხერხებიათ—თუ არ უნდათ! მერე ერთი თელაველი თავადი ოურმე კისრულობდა: „მუშები მომეცით და მე გავაკეთებო“. მაგრამ მისი კეთილი თხოვნა და განზრახვა დარჩა „სმად მღალადებელისა უდაბნოსა შინა“. მე არ ვიტყვი, ვინ არის ამ საქმეში დაძნაშავე, რადგანაც ეკელა კარგად მისვდება, ვისი

არის ამ უწესოების მოსპობა; მაგრამ ეს კი უნდა მოგახსენოთ, რომ დიდათ საჭიროა ხსენებულის გზის დაუყოვნებლივ გაკეთება.

აიარეთ ესლა ბუშათის (თელავის ნაწილია) ორ-ღობეებზე, როგორ საშინლათ არიან დახრამულნი: ქვეითი კაცისთვისაც ი გასაჭირია, მეტადრე ღამე, ამ გზაზე სიარული. ან რა ბუშათი! დაიარეთ თელავი „ალმა-ალმა, ზეკით-ქვეკით“, უმეტესი ნაწილი გზებისა უხეირო. მაგრამ ვინ კითხულობს, თუ თელავიან დაბალი მუშა ან სელოსანი სალხი ეკზოობით დიდ გაჭირებაში არის! სხვა რომ არა იყოს რა, შეშის ატანაა ამ გვარ ეზაზე ძვირი: ეკზოობა ურემს შეშას ჩვეულებრივ ოასს ერთ მანეთს მაინც უმატებს ან ერთი მანათი რომ დიდი რამ არის მუშა

კაცისთვის—კეთილ ეს უველასათვის ცხადია. ურიგო არ იქ-ნება, რომ ამ საქმესაც ყურადღება მიექცეს, ვისგანაც კერ არს, რომ გზის გაკეთებით ტოტათი მაინც გაუადვილდეს ლა-რიბს ხალხს საზრდოს მოპოვება...

თელაველი ყასბები გათამამებული არიან, რომ არ შეიძ-ლება! ქალაქმა თავის ხარჯით ქალაქს გარეთ გააკეთა საკლავ-სახლი ჩარდახი. პოლიციის ბრძანებით და ყასბები კი ვერ გაიყვანეს ოქ ესენი ისევ რიუეზე, შუა თელავში, ჭხოტვენ საკ-ლავსა. ესლა, ზამთარში კიდევ ჭო, მაგრამ ზაფხულში მეტათ ყარს ხოლმე იქაურობა. ეზოებსაც ბევრგან ეტირვება გასუფ-თავება. ყველა ამაზე მივაქცევთ ყურადღებას თელავის სანი-ტარებასს, პოლიციასს და ყველასას, ვისაც შეეხება. ჩვენი საქმე ის არის, რომ დავნახოთ ნაკლულევანება და შესრუ-ლება თვითონ �is. ჯერ ერობით თელავზე ამას ვაკმარებთ და ახლა გავისეირნოთ თელავის მაზრის ზოგიერთა სოფ-ლებისაკენ.

1879 წელს, როდესაც თელავის მაზრის უფროსად თ. ნ. ჩ—შვილი დანიშნეს, კახეთის ყველა საზოგადოებამ ფიც-ხელი ბრძანება ქონდათ მიცემული მაზრის უფროსისაგან, რომ ყოველ სოფლის საზოგადოებას თავის სოფლის გზები გა-ასუფთავებინათ და გაკეთებინათ ამისათვის თვითეულს სო-ფელში დანიშნული იყო სანიტარული კომბისია თავს-მჯდომა-რითურთ, ეს გასარგულება, რასაკვირველია, ბინიერი და დი-დად მოსაწონია. მართლაც ამ ბრძანებას უქმად და უნაყო-ფოდ არ ხაუვლია: გზების კეთება დაიწყეს; გაკეთდა მრავალი გზებიც და. კიდრე ადმინისტრაცია მხურვალე მონაწილებას იღებდა ამ საქმეში და ყურადღებას აქცევდა, საქმეც მარდათ და კარგათ მიდიოდა. მაგრამ, საუბედუროთ, ადმინისტრაციის

მონაწილეობა ამ საქმეში შესწყდა და გზების მუშაობაც დადგა. რაც გზები იყო გაკეთებული,—ისინიც უეურადღებობისაგამო ისევ გაფუჭდნენ და სალხის შრომაც გაცუდდა. უეჭველია, ადმინისტრაციას რომ თვისი მონაწილეობა არ შეეწყვიტა ხსენებულს საქმეში, — დღეს თელავის მაზრის ველა სოფელს საუკეთესო და სამაგალითო გზები ექნებოდა, და რამდენათ სასარგებლო იქნებოდა, ეს ველამ კარგათ უწყით. ვითომ სალხის ბრალი იყოს გზების მუშაობის შეჩერება — ტუვილია. სალხმა დიდი თანაგრძნობა გამოუჩინა იმ კეთილს საქმეში თ. ნ. ჩ—შვილს და ერთგულადაც მიჰყო ხელი მუშაობასა: ასე რომ თავის ნებით გამოდიოდა სამუშაოდ და დიდს მადლობასაც უძღვნიდა ამ საქმის დამწყებსა. ოვით ადმინისტრაციამ რათ მოსპო თვისი მონაწილეობა ამ საქმეში —ამისი, სწორე მოგახსენოთ, არა ვიცი რა. იქნება იმიტომ, რომ ამ საქმის დაბოლოვება, დამთავრება სოფლის უფროსებს უნდა ეკისრნათ (სელსკი ნაჩალნიკებს, სშირად იგინიგე სანიტარების თავსჯდომარენი). მაგრამ ადმინისტრაციას ეფიქრებინა, რომ ჩვენში საზოგადო მომჭირნე გვამთა სიდარიბეა, რომ მათი რიცხვი ისე მცირეა, და სანატრელია, რომ ამ ჯამთ თვითეულს მაზრაში ორი-სამი მაინც გეგვანდეს. ჯერ დიდი ჯამაგირის მექონენი რას გვიკეთებენ, რომ უსასყიდლოთ მოგელოდეთ ვისგანმე რასმე! თუ მაინცა და მაინც აღმოჩნდნენ რომელნიმე პირნი—„ჩვენ ვიკისრებთ ამ საქმესაო“—იგინი არიან სიტუვით მომჭირნენი საზოგადო საქმისათვის და საქმით კი უფრო თავისათვის მომჭირნეობენ.

მართალია, ვინც საზოგადოებისათვის მომჭირნეობს, — იგი თავისათვისაც მომჭირნეობს, მაგრამ ჩვენ უკეულმა ვამბობთ. ზოგს მათგანს სრულიად არ ესმისთ თვისი მოვალეობა არ

ესმისთ გზებისა და საზოგადო სუფთაობის მნიშვნელობა ადამიანთა ცხოვრებაში და ვისაც ესმის — სულ სხვანაირათ ხმარობს თავის «სმენასა». აი, თუნდ მაგ. სოფ. ენისელი ავიღოთ. აქ შუა სოფლის გზა-ტკეცილი და ერთი ქუჩა გაკეთეს, რომელიც თავდება აქაურის, დიაღ შესანიშნავის, მებატონის სასარგებლოთ და სხვა ორ-ღობეებისათვის, იმ ორ-ღობეებისათვის, რომლებზედაც ხშირად მოსახლობენ, ხელი არ უსხლიათ! რით აიხსნება ეს გარემოება, თუ არ „სხვანაირის სმენით“, სხვა გარემოებით! სოფ. ართანაში გაკეთებულმა გზამ თ. ი. —შვილების სახლები შეაკავშირა. სოფ. ვაზნაძიანში—შარა გზიდგან ორი გზა, ცალ-ცალკე მდგომიარე, ორს თ. ძმათა სახლებამდინ მივიდა და სხვა-და-სხვა... ერთგულათ, გონიერათ ! ყოველად საქებრად ამ საქმეში მოიქცა ბ. ალ. აბსაზი სოფ. ძველ-გავაზში და ვიდრე ეს პატიოსანი კაცი ცოცხალია, ძველ-გავაზს წარმატების მეტი არა დაკლდება რა. უგზოობა დიდს ზარალს აძლევს ხალხსა და ამ უსუფთაობამ [illegible] საქმე გაუჭირა. ზაფხულში კალოსი, აგუ[illegible] იუქი და ბოლი (მოიკითხეთ შილდაში, ყვარელში—[illegible]ორით ვერ აშლეკინებენ!) აღრჩობს ხალხს (თვით თელავიც მდიდარია აგურსანებით) და ზამთარში გომური საქონლით, საქონლის პატივი (ეგვლეგან ბლომათ გახლავსთ), აუარებელი ტალახები (უგზოობის გამო) და, ამ ბოლოს დროს აურიოლებული წყალი ჭაჭისაგან. ზოგიერთებს, (რასაკვირველია, „ძლიერთ ძგეუნისა ამის“) სოფლის სასმელ წყლებზე არეის ქარხნები გაუმართავთ და რაც გამონასხადი ჭაჭაა, სულ ერთიან სასმელ წყალში ჩადის, ამყავებს და ახდენს წყალსა.

მაგალითები გნებავთ?—აჰა, სოფ. საბუეში ერთს ვიღაცას ორი არეის ქვაბი გაუმართავს და რაც გამონასადი ჭაჭაა,

სრულიად სოფლის სახმარ წყალში აქცევს, რომელიც შორიდგან (ნათლის მცემლიდგან) არის გამოყვანილი არსითა: ასე, რომ ეს წყალი სრულიად გამოუსადეგი და უვარგი სდება სახმარებლათ და დედა-კაცები (კახეთში დედა-კაცები ეზიდებიან წყალს კოკით) იძულებულნი არიან ამ ყინვაში დაბლა, საშინელს დაღმართზედ მდ. ინწობის ხეკში იარონ და იქიდგან ეზიდონ წყალი. აქაური სანიტარების უფროსი თ. სვ. ჯ—ძე თავს მართლულობს და ამბობს, რომ «მე არას მიგონებენ, თუ ადმინისტრაცია ... დამეხმარო». და პოლიცია რით იმართლებს თავს—რა მოგახსენოთ (იმით, უეჭველია,—აქ პროტოკოლი შეკადგინეო!) თუ მე მკითხავთ—და: პოლიცია და სანიტარები ერთი-ერთმანეთთან ორნიკე მართლები არიან და საზოგადოებასთან კი ნურას უკაცრავად— ორნიკე ტუუვიან... როგორც გინდოდეთ—ისე გაიგეთ ეს! ასე, რომ „ვისაც აქვს ყური სმენად—ისმინოს», ვისაც არა—და „კუზიანს მხოლოდ სამარე გასწორებს".

სოფ. ენისელში სახელოგანს მებატონეს ეკრეპიული არეის ქარხანა გაუმართავს თავის სასახლის გვერდით და რაც გამონასადი ჭაჭა, მთლათ მდ. ინწობაში იყრება; ასე რომ მთელი ენისელი ამ წყალსა სვამს.—«მაკაგე წყალსა ვსვამთ თ. გიორგის წყალობითა», შემომჩივლეს ენისელთ. ამ შემთხვევაში კი, სწორე მოგახსენოთ, ადმინისტრაციის ძალაც ვერას გაარიგებს, რადგანაც აქაური თავადი .... ჰმ! „სხვა თავადი" გახლავსთ!... აი მეორე ენისლური ამბავიც: აქაურის ბანკის (სკოლაც გასლავსთ) საზინადარს (კასსირს) საზოგადოების განჩინების თანხმად მაზრის უფროსთან შეეტანა ამას წინად ქალალდი, რომ ამა-და-ამ თ. თ. ჯ—ძეთ ან თ. ს—ვს ამდენი ფული (ვალი) აქვსთ ბანკში შესატანი და თუმცა ვადა გასუ-

ლია,—არ შემოაქვსთო. ამისთვის გთხოვთ ბანკის წესდების ამა-და ამ მუხლის ძალით თქვენის ადმინისტრაციული უფლებით ფულები გადაახდევინოთ და ბანკში მოაქციოთო". როგორ გგონიათ, ვითომ მაზრის უფროსმა დაუეოვნებლივ მოახდინა განკარგულება ბანკის სასარგებლოდ? — სულაც არა: მისი ბჭ-ყუხი იყო—„წადი სასამართლოში, იჩივლე, აღმასრულებელი ფურცელი გამოიტანე და ბოქაული თანთან წაართმევსო". შემდეგ რამდენიმე დროისა რაღაც მანქანების ძალით ადმინი-სტრაციამ წერილები გაუგზავნა მოვალეთ. ბანკის წესდების ძალით ჩემ ადმინისტრაციის საქმეა ?? რა იყო მიზეზი მაზ-რის უფროსის ეგრეთის მოქმედებისა". ის ხომ არა, რომ მოვალენი თავადნი არიან?! ან იქნება ჩვენისთანა უბრალო კა-ცის გონება ვერ მისწვდებოდეს ადმინისტრაციის განკარგულე-ბათა ძაღლა მეფრინავ აზრთა!... ჰო, მგონია რუისპირში (სო-ფელია თელავის მახლობლად) თიანეთის ფოჩტის (ცხენით დააქვს ჩათვარს) მომპარველიც თავადთაგანი იყო და რათ მი-ფარეს, ჩაეფუჩეს ეს საქმე? ერთი აზნაური—სულხანიშვილი ორის მტკვნის უფრძნის მოწუკეტისათვის ღირსება ახდილი, გაგლეხებულ იქმნა და რამდენათ მომეტებულია ფოჩტის გა-ტეხვა მტკვნის მოწუკეტაზედ — კანონი მოითხოვს იმდენათ მომეტებულს სასჯელით დაისაჯოს რუის-პირელი ფოშტის პარია თავადი. გერაფერი სიკეთეა, სწორე მოგახსენოთ, ამ გვარის თავადის შეწუნარება და დათვარვა.

რაულ-დე-ლა-ტრამბლე.

„იმედის“ კორრესპონდენციიდ ზუგდიდიდგან.

ბრიყვი მიუშვი ნებასა—
ოგით შეეურება სნებასა.

მეგრული ფლაპარია—დოლაბი რომ მიჭქონდა ისიც კვნესოდაო და სატერიც რომ მიჭქონდა— ისიცაო». ჭეშმარიტად ესე სჭირვებია ზუგდიდის მაზრას. ხშირად ისმის სხვა-და-სხვა ადგილებიდგან — ქურდობა გვაწუხებსო. მაგრამ ზუგდიდის მაზრას რა ნაირათ აწუხებს ეს ქურდობა, ვინ იტის ანუ ვინ ამხელს! მაგრამ ამას წინეთ დღისით, თორმეტ საათზედ, ერთი ზუგდიელი აზნაური წასულა თავის უანის დასახედავათ. შეიარაღებული ჯორზედა მჯდარა. გზაზედ, ერთ ვერსზედ ზუგდიდის ქალაქიდგან, დახვედრია აბრაგი, გვარათ ეურეა, წამოუგდია ჯორიდგან, წაურთმევია იარაღი და უთქვამს— წადი და მიჩივლეო. ერთი ვერსტიდგან პოლიცია მალე მიიღებდა ცნობას, მაგრამ ჯერ-ჯერობით არავითარი განკარგულება არ მომხდარა. იმავ საღამოს ზუგდიდიდგან ეულისკარს ერთ გლეხს ვერსტ-ნახევარზედ დახვდნენ კიდევ კიღაც აბრაგები, თავი გაუტეხეს გლეხს და წაართვეს ცხენი, იარაღი ლ ფულები. კიდევ, კორტხელიდგან მოჭეავდათ ზუგდიდის მოსამართლესთან ერთი ქურდი, რომლის სასლში ენახათ ნაქურდალი სარი, მღვდლის ანაფორა, ახალუხი და ბერანგი. ზუგდიდის ახლო დაესხნენ უარაულებს სამი კაცი, კორტხელლები, წაართვეს დაჭერილი კაცი და ცხენიც ზედ. უარაულებმა კანვერტი, ნაქურდალი სარი

და მღვდლის ანათორა მიართვეს უ. მაზრის უფროსს და მოასსენეს—ტუსაღი და მასთან რამდენიმე ცხენები წაგვართვეს ამა-და ამ კაცებმა, მაგრამ ჯერ არაფერი განკარგულება არ მომსდარა. იმავ საღამოს შვიდ საათზედ ერთს ზუგდიდის მცხოვრებს მისტვინვია ექვსი კაცი და წაურთმევია ორი ცხენი. სწორეთ მეოთხე თუ მეხუთე მინუტში პოლიცია გაიგებდა ცხენების პატრონის ღრიალს, მაგრამ ჯერ-ჯერობით არაფერი ზომა არ მიუღია არც ამ საგანზედ. მესამე დღეს ამ უფალთ «სიძანებს, შამოუთვლიათ ცხენების პატრონისათვის, რომ თუმც ის ას მანეთ ფულს გაუგზავნის, ცხენებს დაუბრუნებენ. —ეს ფული მაშინვე გაუგზავნა სიძანებს. როცა მიიღეს, კიდევ ორმოცდა-ათი მანეთი მოსთხოვეს, რადგან ცხენები კარგნი ყოფილან. ეს ორმოცდა-ათი მანეთი ვერ იშოვა ცხენების პატრონმა და ის ორი ცხენი ზედ-ნადები ათი თუმანით დაეკარგა. 15 ნოემბერს, იმ მღვდელს, რომლის ანათორა ჯ ახალუსი ნახეს ყაჩაღის სახლში, დღის თერთმეტ საათზე შიუხდენ სიძანები ჯ წაართვეს ორი ცხენი. საცოდავი მღვდელი სხვასთან ერთათ გაეკიდა. სწორეთ ზუგდიდის ქალაქიდგან მესამე ვერსტზედ ანაკლიის გზაზედ დაეწივნენ. იმ წეეულებმა სიძანებმა ეს მღვდელი სასიკვდილოთ დასჭრეს რევოლვერით. ჰო, განკარგულება თავის დროზედ იქნება!

ერთი გათქმული თავადი აფაქიძისათვის, ეს მეხუთე წელი არის, საქართველს ღირსება აუსდია და საუკუნო საქმოფათ დაუნიშნავს ციმბირი. საქართველის განჩინება დამტკიცებულა და ზუგდიდის მაზრის უფროსს ჭქონია მიწერილობა, რომ ეს აფაქიძე წარედგინა ქუთაისის სატუსაღოში. ამას, დაჭერის ნაცვლათ, მოუსსენებია—აფაქიძე აბრაგათ გაკარდაო. ამ აფაქიძეს აქვს სამ სოფელში მამული. ზუგდიდის მაზრაში ჯ ეს-

ლაც სარგებლობს. რა წარმოსადგენია, რომ იმან დროებით გალდებულ გლესებს თვისის უფლებით რაიმე გარდასცდევინოს, თუ არა მმართებლის შემწეობით? მიდიან მისი მაჩივრები — სასლიდგან გამგოვგდოვო, ეოკელივე ნამუშევარი დაგვიჭირაო და შინ მისვლის ნებას არ გვაძლევსო, მაგრ[illegible] მიღება ასე უცბათ სომ არ იქნება! ის თავადი [illegible] დავარდნილის სახელი არ დაეძახება! ასლა „იმედის“ მე-IX ნომერში დაბეჭდილი სტატია მიუღია თავის-თავ'სედ ზუგდიდის უეზდის სასამართლოს სეკრეტარს, ალექსანდრე წერეთელს, ჯ ცდილობს თავის გამართლებას, თანაც იმუქრება— ვინ გაბედა ამის წერაო! ამით ეტყობა ზუგდიდი ისეთ მიურეუბულათ ეოფილა, რომ რაიმე ნაკლულევანების თქმა არავის შესძლებია. ის სტატია სრულიად მასზედ არ იყო დაწერილი ჯ არც ესებოდა მას, მაგრამ რადგანაც არ დამაუნა, დამაშინა, მისთვის ჯერ-ჯერობით ორიოდე სიტყვას, ნამდვილ სიმართლეს, ვიტყვი მასზედ. ამ სეკრეტარს რაღაც ყინი ჭქონია საზოგადოდ ზუგდიდელ ვაჭრებთან, რომელნიც სამ-ასზე მეტნი არიან. არ ვიცი ფულები დასჭირდა და არ ასესხეს, თუ სხვა რამე. ასეთი უსიამოვნობა არის ამ სეკრეტრის ჯ ვაჭრებშეა, მხოლოდ ეგეანი მის სამდურავს ლაპარაკობენ, არავინ სახლში, გარდა ორისა, არ ღებულობს, არც მასთან მიდიან. ი ნამდვილი შემთხვევა, რომელსაც შე თითონ დაეკვსწარ. ზუგდიდში ჭქონიათ კლუბი, სადაც კვირაში სამჯერ სადამოს რვა საათზე იკრიბებიან ქალები და კაცები. იქ არის ძუბიკა, არის თამაშობა, ტანცობა, აგრეთვე კარტის, ნარდის ჯ ლოტოს თამაში. დეკემბრის ცამეტს კლუბში შეიკრიბნენ ზუგდიდის პოლიციის და სუდის ჩინოვნიკები და მათთან ეს ბატონი წერეთელიც. შეიტყეს თუ არა ზუგდიდლებმა, რომ წერე-

თელი იქ არის—არც ერთი კაჭარი, არც მათი სახლობიდგან ქალნი არ მოვიდნენ კლუბში. ამით ტოტალი არ იყოს, სხვა ჩინოვნიკები დარჩენ უკმაყოფილო, რომ ამ ერთი კაცის მიზეზით მოაკლდენ ისინი ჩვეულებრივს სიამოვნებას და ცხრა საათზედ უკვლანი წავიდნენ თავ-თავის სახლში. როცა მე კითხე ზოგიერთ პატივცემულ კაჭრებს, თუ რა მიზეზი იყო მათი მოუსვლელობისა კლუბში, მაშინ მითხრეს—სადაც მაზრის გამგეობის სეკრეტარი წერეთელი იქნება, იქ არც ჩვენ და არც ჩვენი სახლობა არ მივალ: "ის ცდილობსო, რომ რაიმე ჩხუბი აგვიტეხოსო, როგორც ამას წინეთ ერთ უმაწვილ-კაცთან, ბარისოვთან, ასტეხაო, რომელსაც მეორე დღეს სასამართლოში უბიეს და მოწმათ თითქმის ქალები დანიშნაო. ჩვენ ამ გვარი უწესოების თავი არა გვაქვსო! ახლა უარესს გვიშვრება, მაგრამ იმასაც ვითმენთო. თითოეული კაჭარი ვალდებულია, რომ ნოემბრიდგან დეკემბრის დამლევამდის თავის ძველი საკაჭრო საბუთები გამოსტვალოს ხაზინაში მომავალი წლისთვისო. პირველში უნდა წარვადგინოთ მაზრის სასამართლოში ძველი საბუთები და მასთან დაწესებული თული, მაგალითებრ, მეორე გილდიისამ თუთხმეტი მანეთი, მეწვრიმანე და მოხელეებმა ორ-ორი მანეთი, პირველი კლასის ჩრიკაჩიკმა თითო მანეთი, მეორისამ ნახევარი. იქ კვიტანციას მოგვცემენ თულის შეტანისას და ამ კვიტანციას ერთათ ძველი საბუთებითა წარვადგენთ ხაზინაში, საიდგანაც მივიღებთ ახალს საკაჭრო საბუთებსო. ამ გვარი საბუთების განახლებას საკაჭრო წესდებულების ძალით ვერ

ვთქვათ, გიორგის კუშეტს აქვს სასმელების დუქანი, იმის ძველ საბუთებს არ მიხედავს, უნდა მიუტანოს ახალი მოწმობა შოლიციის ბრისტავისაგან, რომ ამდენი-და-ამდენი წლისა არის და დაბრკოლება არა აქვსო. ეს მოწმობა თხოვნით უნდა წარვადგინოთ მაზრის უფროსთან, სამი მარკა სამ-სამ აბაზიანი უნდა დავაწებოთ და მეორეს ანუ მესამეს დღეს მოგვცემენო და კიდევ ორ-შაურსაც გადაგვახდევინებენო. ახლა უბრალო საწყალი წვრილმანის კაჭარს რამდენი სარჯი, რამდენი დროის დაკარგვა შესვდებაო, თხოვნას თითონ ღებულობსო და არა მაზრის უფროსიო და, რადგანაც უკანასკნელი თავის ალაგას არის, რატომ არას ამბობსო, თუ სეკრეტარი თხოვნას რათა ღებულობსო? და სხვანი. შემდეგისთვისაც დაგვრჩება მრავალი.

კიდევ ვიტყვი.

შინაური მიმოხილვა.

ამ უკანასკნელ დროს არა ერთხელ იყო ადგილობრივ მწერლობაში სჯა ჩვენ სასულიერო სასწავლებლების მდგომარეობის შესახებ; მაგრამ, სამწუხაროდ ჩვენდა, აქამომდე ამ სჯიდგან საზოგადოებამ შეიტყო მხოლოდ ის, რომ ეს სასწავლებლები ცუდ-მდგომარეობაში იმყოფებიან და მეტი არაფერი. ის კი, თუ რისგან წარმოსდგება ამ გვარი ურიგო მდგომარეობა მათი და ან რით შეიძლება მათი გამოხსნა მისგან, რჩება განუმარტებელი. ამის მიზეზი, ჩვენის აზრით, ერთის მხრით, იმაში მდგომარეობს, რომ თითქმის ყველა ის პირები, რომლებმაც კი თავს იდვეს ხსენებული სასწავლებლების მდგომარეობასთან საზოგადოების გაცნობა, უფრო ეხებიან [illegible] საქმეს, მეორეს მხრით კიდევ, იმაში, რომ უფრო

[redacted]

[illegible] ეკიდებენ ხოლმე ხელს ამ საგანზედ სჯას, რომლებმაც ჩვენი სასულიერო სასწავლებლების მდგომარეობა იმდენათვე იციან, რამდენათაც ჩინეთის შინაგანი საქმეების მიმდინარეობა. რასაკვირველია, არიან ისეთი პირებიც, რომლებსაც შეუძლიათ, რომ, ბევრათ თუ ცოტათ, გაიცნონ ხსენებულ სასწავლებლების ნამდვილი მდგომარეობა საზოგადოებას. ამ გვარნი პირნი არიან თვით გამგებელნი და მასწავლებელნი

ხსენებულის სასწავლებლებისა; მაგრამ მათი ქვეშევრდომობითი დამოკიდებულობა ადგილობრივი . . . არ აძლევსთ მათ, პირადი ინტერესების უნაკლისოთ, შეძლებას თავიანთ სასწავლებლების მდგომარეობაზედ თავისუფლათ სჯისას. . . .

მე, როგორც შვიდ-რვა წლის ნამსახური სამეგრელოს სასულიერო სასწავლებელში და ზედ მიწევნით მცოდნე მის მდგომარეობისა, რაზედაც ბაასს ეჭირა არა უკანასკნელი ადგილი ამ უკანასკნელს დროს ჩვენ მწერლობაში, ჯ ამასთანავე თავისუფალი ეოგელგვარ ხსენებული დამოკიდებულობისაგან, ვკისრულობ მიუდგომლათ, ნამდვილათ და დაწვრილებით გავაცნო პატივ-ცემულ მკითხველს ხსენებულის სასწავლებლის მნიშვნელობა ძველათ, მისი ახლანდელი . . . მდგომარეობა, მიზეზები ამ გვარის მდგომარეობისა და საშუალებანი მისის გაუმჯობესობისა.

სამეგრელოს სასულიერო სასწავლებელი დაფუძნდა მეთერთმეტე საუკუნეში, რადგანაც მასმადიანის სარწმუნოებამ შეარყია ქრისტიანობის სარწმუნოება ჩვენში ჯ დასცა ზნეობით ჩვენი სამღვდელოება, გიორგი მთაწმინდელმა გახსნა მარტვილის მონასტერთან სასწავლებელი, რომელშიაც შეკრიბა ოთხმოცამდის სხვა-და-სხვა წოდების და ღირსების უმაწვილები. ამ უმაწვილებს ასწავლიდა ქრისტიანობის კანონებს, სწვრთნიდა ზნეობითად და ამ გვარათ ამზადებდა მათ ქრისტეს სარწმუნოების მქადაგებლებათ ჯ ეკლესიის მოსამსახურეებათ. თუმცა ისტორია არაფერს არ მოგვითხრობს იმაზედ, თუ შემდეგ გიორგი მთა-წმინდელისა გაგრძლობდა ეს სასწავლებელი არსებობას თუ არა, მაგრამ ეჭვი არ არის, რომ იგი მუდამ არსებობდა. ყარმოსდგენი არ არის, რომ სამ სამეგრელოს

საეპისკოპოსოს ერთი სასულიერო სასწავლებელიც არის არა ქონდა. რასაკვირველია მაშინდელ სასულიერო სასწავლებელს სხვა წყობილება ქონდა ან ბეჯრათ განსხვავდებოდა ესლანდელ სასულიერო სასწავლებლისაგან. მაშინ ასწავლიდნენ კატეხიზმოს, სამღვთო ისტორიას, ტიბიკონს, საეკლესიო გალობას ან წერას, ასწავლიდნენ ქართულ ენაზედ, პრაგტიკულათ, ოთხველოვის, რაცა კი დრო ქონდათ, უველას, გისაც კი სურდა, შინაურულათ, როგორც მშობელნი შვილებს. ამ გვარ სწავლის წყობილობას მაშინდელ სასულიერო სასწავლებელში ეთანხმებოდა ეკონომიური წყობილობაც: გისაც რა ქონდა — იმას სჭამდა, იცვამდა და იხურამდა. ერთის სიტყვით, მაშინდელი სასულიერო სასწავლებელი იყო დიდი ოჯახი, სადაც მასწავლებლები იყვნენ სულიერი მამები და მოწაფეები კიდეკ სულიერი შვილები. ამ გვარი წყობილობის წყალობა იყო, რომ მაშანდელი სასულიერო სასწავლებელი მართლაც და სასულიერო იყო და დიდი მნიშვნელობაც ქონდა. ამ სასწავლებლიდგან გამოსულნი ხდებოდნენ ღირსეულ ეკლესიის მოსამსახურეებათ, მშვენიერ მქადაგებლებათ ან ხშირათ გამოჩენილ მღვდელმთავრებათაც. აქამდის დაუვიწყარია სამეგრელოს ხალხში ხსენება მღვდელმთავართ—ანტონებისა, ბესარიონებისა და სხვათა, რომლებიც, აბა არ არის, იყვნენ როდისმე მოწაფეებათ სამეგრელოს სასულიერო სასწავლებლისა მარტვილის მონასტერთან.

შემდეგ სამეგრელოს რუსეთთან შეერთებისა ხსენებულ სასწავლებელსაც, როგორათაც სხვა ადგილობრივ წყობილებაებს, მიეცა ცვლილება, მაგრამ ეს ცვლილება უველა საქართველოს სასულიერო სასწავლებლებზე ნაკლებათ დასტყობოდა მას. 1871 წელს მე შეკესწარ აქ თითქმის ამაკე გვარათ სწავლის მიმდინარეობას, როგორც წინათ ეოთხოდა: სამღვთო საეკლე-

სიო წიგნების კითხვა, საეკლესიო გალობა, ტიპიკონის, კატეხიზმოსი და ისტორიის ქართულათ სწავლა ისევ ისე არსებობდნენ, რისათვისაც იყვნენ განწესებულნი საკუთარი მასწავლებლები. რუსულ ენას ამ დროს ასწავლიდნენ აქ როგორც საგანს და არამც თუ პირველ კლასებში, არამედ მესამეში და მეოთხეში იმეოფებოდნენ ისეთი მოწაფეები, რომლებსაც რუსული თითქმის არ ეუურებოდათ, მაგრამ სამღვთო საეკლესიო წიგნებში კი ქართულათ განკითარებულნი იყვნენ . . .

1872 წლის მეორე ნახევრიდგან სამეგრელოს სასულიერო სასწავლებელს, როგორათაც სხვა სასულიერო სასწავლებლებს საქართველოში მიეცა ცვლილება ახალის წეს-დებით. ეს ცვლილება კი ეველაზედ უფრო საგრძნობელი შეიქნა ამ სასწავლებლისათვის. მეოერთმეტე საუკუნიდგან დამუარებული წესობილება სრულიად უნდა მოსპობილიუო და მოისპო კიდეც. სამწუხაროდ ჩემდა, მე მხედა წილათ ბედისაგან ამ გვარი საქმის შესრულება. იძულებული შევიქენ დამეთსოვა სასწავლებლიდგან ეველა ის მოსწავლეები, რომლებიც კი ან ცოლ-შვილიანები იყვნენ, ან ნამეტანი დიდის ხნისა, ან რუსული ენის ცოდნაში იმდენათ სუსტნი, რომ არ ესმოდათ, რასაც მათ მასწავლებლები ეხსნიდნენ სხვა-და-სხვა საგნებიდგან ამ ენაზე. მოსწავლეები და მათი მშობლები ვერ მიხვდნენ, თუ რისგან წარმოსდგა ამ გვარი მკაცრი ცვლილება და მიაწერეს ეოველივე ეს ჩემს და მასწავლებლების პირადს სურვილს. დაგვიწუეს ეურება როგორც თავიანთს მტრებს, ალარას გვიგონებდნენ, ალარ გვემორჩილებოდნენ და ხშირათ ლანძღვა-გინებითაც გვამცობდნენ. ასე გაიარა მთელმა წელიწადმა და ძალზედაც დაეცა სასწავლებელი, თუ ზნეობითად, თუ სწავლით. ისეც ცუდი ეკონომიური მდგომარეობა სასწავლებლისა სიცა-

რიბის გამო იქაურის სამღვდელოებისა, რომლის კისერზედაც იდვა მთელი მისი შენახვა, რადგანაც საეკლესიო ხაზინა ას-ოცი თუმნის მეტს არ იძლეოდა მის შესანახავათ, უფრო გაცუდდა: სამღვდელოებამ, დაინახა თუ არა, რომ მისი შვილები გამოირიცხნენ სასწავლებლიდგან, სრულებით სული აიღო ამ უკანასკნელს და აღარ შემოჰქონდა მის შესანახავათ სვედრი ფული. ერთის მხრით ეს იყო მიზეზი სამეგრელოს საერო სასწავლებლის ოკოლის მხრით დაცემისა, იყო ხვა მიზეზიც, რომელიც უფრო ადრე დაიწყო და ნელა-ნელა ხელს უწყობდა ამ სასწავლებლის უკიდურეს მდგომარეობას. ეს მიზეზი იყო მოსპობა სამეგრელოსთვის საკუთარის ეპისკოპოზისა. 1870 წელში, გარდაიცვალა თუ არა ეპისკოპოზი ტარასი, გვარათ ელიავა, სამეგრელოს საეპისკოპოზოს . . . საეპისკოპოზოსთან შეერთებაზედ დაიწყო მეცადინეობა ჩვენ ბერძენთან საქმე არა გვაქვს, თუ რა აზრით ხელმძღვანელობდა . . . ამ შემთხვევაში, მხოლოდ ბერის თქმა კი გაბედვით შეგვიძლიან, რომ ამ გარემოებამ ცუდი ზედ-გავლენა იქონია სამეგრელოს საერო სასწავლებლის მიმდინარეობაზედ. ჯერ ერთი, რომ ეს სასწავლებელი მოაკლდა ეპისკოპოზის პირადს ზნეობითს ზედ-გავლენას; მეორეც ისა, რომ სამღვდელოებას აღარ ჰქონდა ხელ-მძღვანელი და დამრიგებელი, თუ როგორ უნდა მოქცეულიყო იგი სასწავლებლის საქმეებში; მესამეც ისა, რომ ზოგიერთმა სამეგრელოს სამღვდელო პირებმა სხვა-და-სხვა პირადი ინტერესების გამო, თუ კისიმე შთაგონებით, გადაიწიეს იმერეთის ეპისკოპოზისაკენ და ამ გვარის თავიანთის მოქმედებით მოახდინეს მოძმეებში განსეთქილება, — ამ გვარ განხეთქილების დროს კიდეკ კიდეს ეცალა სასწავლებლისთვის. მაგრამ უკეთა ამ გარემოებებზედ უფრო

ტუდი ზედ-გავლენა იქონია ხსენებულ სასწავლებელზედ თვით სამეგრელოს საეპისკოპოზოს შეერთებამ იმერეთის საეპისკოზოსთან 1873 წელში. ეოვლად სამღვდელო გაბრიელს, ამ განათლებულ ჯ დამსახურებულს პირს, შეედგინა მეგრელებზედ, იქაურ სამღვდელოებაზედ, თუ სასწავლებელზედ ის აზრი, ვითომც ეს უგვლანი ზნეობით წამხდარნი, იუგნენ, რომ იმათ ნაირები არამც თუ საქართველოში, არამედ სხვაგანაც არსად მოიპოვებოდნენ. ეს შეხედულობა სამეგრელოზედ იყო იმის მიზეზი, რომ ეოვლად-სამღვდელო გაბრიელმა განიზრახა ხსენებული სასწავლებლის მოშორება მარტვილიდგან. განზრახვა მისი მალე შეიქნა მოუვანილი აღსრულებაში. ჩვენზე უმეტეოეილო სასწავლებლიდგან დათხოვნილმა მოსწავლეებმა, ერთ ქარიან ღამეს, 12 სეკ. 1873 წ., მისცეს სასწავლებლის შენობას ცეცხლი ჯ გადასწვეს. შემდეგ ამისა სასწავლებელი გადატანილი იქმნა ქუთაისში (7 იანვ. 1874 წ.) ჯ, სწორე მოგახსენოთ, ამ გარემოებამ ბევრათ წინ წასწია ის ზნეობითად თუ სწავლის საქმეში. მაგრამ სამაგიეროთ ღარიბ სამეგრელოს სამღვდელოებას ძალიან საძნელოთ დაურჩა ახალი სასწავლებლის გამოწეობა ქუთაისში და იქ შვილების შენახვა, თუ სიშორისა, თუ სიძვირისა გამო, და ბოლოს იძულებული შეიქნა ეთხოვა უწმინდესის სინოდისათვის დაბრუნება სასწავლებლისა მარტვილში. 1876 წ. სეკტემბერში კიდეც დაბრუნდა იგი და დაბანაკდა მთის ძირში საკუთრათ მისთვის აშენებულს ფიტრის სახლში. დაბრუნდა მისთვის იგივე გარემოებაც, რა გარემოებაშიაც ქუთაისში გადატანამდის ის იყო, . . . ასე ჯ ამ გვარათ ზნეობით თუ სწავლით ამ სასწავლებლის დატეგამ იქამდის მიახწია, რომ წარსულის წლის დამლეგს ხელ-მეორეთ გადასწვეს ეს უბედური. . . .

ზნეობა და სწავლა რომ დამოკიდებულია მატერიალურ შეძლებაზედ—ეს ჭეშმარიტებაა. სამეგრელოს სასულიერო სასწავლებლის მატერიალური შეძლება კიდევ ძალზედ შეეიწროებული შეიქნა სამეგრელოს ეპარქიის იმერეთის ეპარქიასთან შეერთების წყალობით და ამასთანავე გახდა შესაძე მიზეზი მის ახლანდელ არა სანუგეშო მდგომარეობისა. ეკონომიური მდგომარეობა ამ სასწავლებლისა წინათაც არ გახლდათ საბარბიელო, . . . ყოველად-სამღვდელო დიდი ხანია, როგორც მოგეხსენებათ, სცდილობს ქუთაისში სასულიერო სემინარიის დაარსებას და ჯერ სამეგრელოს სამღვდელოებაც არ იყო მის ხელში, რომ სთხოვა მას ამ კეთილი საქმისათვის მატერიალური შემწეობა. ეს სამღვდელოება ერთის მხრით სიღარიბის გამო და მეორეს მხრით კიდევ იმის გამო, რომ შენახვა თავის სასწავლებლისა მთლათ და საკუთრათ მას აწვა კისერზე—ვერ დათანხმდა. რაკიღა მთლათ სამეგრელოს ეპარქია მის საეკლესიო ხაზინითურთ ყოველად-სამღვდელო გაბრიელის ხელში გადავიდა, იმ ას-ოცი თუმნის შემწეობასაც მოაკლდა ხსენებული სასწავლებელი, რომელიც აქამომდე მას ეძლეოდა საეკლესიო ხაზინიდგან. ეჭვი არ არის, რომ ეს თეული რჩებოდა ხაზინაში, როგორც საშუალება მომავალის ქუთაისის სემინარიის გახსნისათვის. მხოლოდ რამდენიმე წლის უკან, შემდეგ დიდის თხოვნისა და შუამდგომლობისა სამეგრელოს სამღვდელოების მხრით, ისევ დაუწეო საეკლესიო ხაზინამ შემწეობა ხსენებული ას-ოცი თუმნით წელიწადში სამეგრელოს სასწავლებელს. ამ ას-ოც თუმანს რამდენიმე წლის განმავლობაში ვილა ჩიკის, კაი-კაგლახი ის არის, რომ ეს სასწავლებელი, ზოგიერთი პირების წყალობით ყოველ სამღვდელო გაბრიელს არა კრთეზის სამეგრელოს სა-

მღვდელოების თხოვნის ეშუამდგომლა უწმინდეს სინოდთან ადგილობრივ საეკლესიო ხაზინიდგან, სხვა სასწავლებლების ს გვარად, მიცემა ამ სასწავლებლისათვისაც შემწეობისა წელიწადში ოთხი-ათ-ას-ოცი მანეთით, მოკლებულია არსებობის სახსარს და შესტქარის სამღვდელოების ძალ-დატანებითს წუალობას. 1872 წლის მეორე ნახევრიდგან, უწმინდესი სინოდის განკარგულებით, სამეგრელოს ასულიერო სასწავლებელს წელიწადში უნდა სძღეოდა ადგილობრივის საეკლესიო ხაზინიდგან ოთხი ათ-ას-ოცი მანეთი. მაგრამ რაღაც მანქანებით საქმე ისე წავიდა, რომ ღარიბმა სამეგრელოს სამღვდელოებამ თავს იდვა სასწავლებლის თავის სარჯზე შენახვა, ვითომც და ხაზინის სიღარიბის გამო. . . . რაღა თქმა . . . რომ ეს ოთხი-ათ-ას-ოცი მანეთი წელიწადში 1872 წლის მეორე ნახევრიდგან დაწყებული,—რასაკვირველია, ათ-ას-ორასი მანეთის გამორიცხვით ამ დროიდგან 1873 წლამდის და 1877 წლიდგან აქამდის, — რჩებოდა საეკლესიო ხაზინაშივე და შეადგენს საშუალებას მომავალი ქუთაისის სემინარიის დაარსებისათვის. . . .

აი მიზეზები სამეგრელოს სასულიერო სასწავლებლის . . . , სწავლით და მატერიალურათ დაცემისა—სამღვდელოებისგან ეშურადღებობისა, მმართველთ ს მასწავლებლების თავ-თავის დროზედ გამაგირის მიუღებლობისა და ამისგამო მათის გულის ატრუებისა თავიანთ საქმეზედ, სასწავლებლის ორჯერ დაწვისა და სხვა გარემოებებისა, რომლებიც კი ჩვენს უწუობდნენ და უწუობენ სამეგრელოს სასულიერო სასწავლებლის არა სასუგეშო ახლანდელ მის მდგომარეობას.

მართალია, ხსენებული სასწავლებელი გადავიდა ამ დროებით მარტვილიდგან ახალ-სენაკში და ბევრი მოელის მის ბედი-ღბალის წალმა დატრიალებას, მაგრამ . . .

სამეგრელოს სასულიერო სასწავლებლის გამოკვეთებას ისე, რომ შეეძლოს მას დაკმაყოფილება მისგან საზოგადოების მოთხოვნილებისა და, მაშასადამე, აღსრულება თავის დანიშნულებისა, ეჭირვება უფრო სხვა რადიკალური საშუალებები, . . . რომლებსაც, ბევრათ თუ ტოტათ, შეუძლიანთ სწავლის გაუმჯობესობა ამ სასწავლებელში, და დაახლოვება მისი თავის დანიშნულებასთან, თუ კი იქნებიან ხმარებულნი ადგილობრივი სამღვდელოებისაგან. სამეგრელოს სასულიერო სასწავლებელში კურს შესრულებულები იშვიათათ თუ განაგრძელებენ ხოლმე სწავლას სხვა უმაღლეს სასწავლებლებში, ისინი უფრო თითქმის ამ სასწავლებლით ათავებენ ხოლმე თავიანთს განათლებას და მიდიან ხოლმე საეკლესიო მსახურებათ, ან შედიან სხვა სამსახურებში, რასაკვირველია, დაბალ ადგილებზედ. ამის გამო და ამ საფუძვლით სამღვდელოებას შეუძლიან, თუ კი მოინდომებს, ითხოვოს უმაღლეს მთავრობასთან შემცირება, თუ მთლად მოსპობა მაინც-და-მაინც შეუძლებელია, ამ სასწავლებელში იმ მკვდარი ენებისა— ლათინურის და ძველი ბერძნულისა, რომლებზედაც თითქმის სრულიად უნაყოფოთ მოსწავლეებისათვის მიდის ორმოცი გაკვეთილი კვირაში. ეს გარემოება ერთი რომ შეძლებას მისცემს სამღვდელოებას რიგიანათ და საჭირო ენაზედ მათ შვილების საშღვთო-საეკლესიო წიგნებში განვითარებისას და მეორეც ისა, რომ შეუმცირებს მას სარჯს წელიწადში, სულ უკანასკნელი რომ ვსთქვათ, ათ-ასი მანეთით მაინც. გარდა ამისა, სამღვდელოებას შეუძლიან, — განსაკუთრებით იმ ზნეობითი და ეკონომიური საშუალებების წყალობით, რომლებიც ქვეკით იქნება ნაჩვენები,—გახსნას მარტვილის მონასტერთან, განსავითარებლათ თავის შვილებისა სამღვთო-საეკლესიო წიგნებში და

მოსამზადებლათ საეკლესიო მოსამსახურებათ, შემდეგ სასულიერო სასწავლებელში კურსის გათავებისა, საკუთარი კლასი, რომელსაც, რასაკვირველია, უნდა ჰქონდეს ერთი ან ორი წლიური კურსი და რომელშიაც უნდა ასწავლიდნენ მხოლოდ საჭირო ენაზედ უფრო პრაქტიკულათ ამ წიგნებს. მაშინ ახლანდელი გასშირებული ჩივილი იმაზედ, თუ ჩვენმა ახალმა სამღვდელოებამ არ იცის სახალხო ენა ან საეკლესიო წიგნები, ამის გამო ვერ ასრულებს თავის თანამდებობას რიგიანათო, — ბევრათ თუ ცოტათ — მოისპობა, მღვდელი მართლაც მღვდელი შეიქნება, სალხზედ ზედ-გავლენაც მიენიჭება მას....

ზნეობით ასამაღლებლათ ხსენებულის სასწავლებლისა კერძოთ ან მთელის სამეგრელოსი საზოგადოთ მიუცილებლათ საჭირო არის, რომ სამეგრელოს ეპისკოპოზს, ვინც უნდა იყოს, მიეცეს ჯეროვანი უფლება თავის ეპარქიის განგებისა. ამისათვის კიდევ საჭიროა, რომ დაუბრუნდეს ამ ეპისკოპოზს იმერეთის ეპისკოპოზისაგან დამოუკიდებლობა, რომელიც მას ჰქონდა 1873 წლამდის. არც არის ეს მოუსერხებელი, თუ კი სამეგრელოს ხალხი მოინდომებს და ითხოვს უმაღლესის მთავრობისაგან. თუ კი გურიის ერთი მაზრა შეადგენს საკუთარს საეპარქიოს, სამეგრელომ, რომელიც შესდგება სამის მაზრისაგან და რომელსაც ძველათ სამი ეპისკოპოზი ჰყოლია, . . , რომ მთავრობამ უარადგენა . . მიაქციოს მის მცხოვრებლების თხოვნას. ამ გვარი ცვლილების მოპოვება სასულიერო საქმეებში მით უფრო შესაძლებელია სამეგრელოსათვის, რომ მის გარშემო ჭვეუნები—სამურზაყანო, აბხაზეთი და სვანეთი მოკლებულნი არიან ადგილობრივ მღვდელ-მთავრებს, იმერეთის ეპისკოპოზი გაბრიელი კიდევ მოგვიხუცდა და, თუ აქამდის შეეძლო მას, როგორც განათლებულს და შრომის მოუკარე

ბირს, ყველა ამ ქვეყნების სასულიერო საქმეების, მართვა, ამას იქით ძნელი წარმოსადგენია. საეჭვოა, რომ მისი მაგიერობა გასწიოს ვინმემ ჯ განაგოს ამდენი ქვეყნების სასულიერო საქმეები . . . სამეგრელოში დღითი-დღე ქურდობა, ავაზაკობა და სხვა ამ გვარი საქმეები სშირდებიან! ამისათვის არ არის უდროვო, რომ ესლავე შეუდგეს სამეგრელო . . . . , საკუთარი ეპისკოპოზის მოპოვებას ჯ მით მისცეს იქაურ საზოგადოებასაც, სამღვდელოებასაც ჯ სასწავლებელსაც საშუალება გამოსვლისა ესლანდელ ზნეობითად დაცემულის მდგომარეობისაგან. . . .

მატერიალურათ ხსენებულის სასულიერო სასწავლებლის გაუმჯობესობა, რასაკვირველია, უნდა მოხდეს არა იმ საშუალებით—ღარიბ სამღვდელოებაზედ ახალის ხარჯის დადებით, არამედ ისეთი ზომით, რომელიც . . . აძლევდეს . . სასწავლებელსაც დიდს შემწეობას. ამ გვარ საშუალებათ ჩვენ მიგვაჩნია გამოთხოვა უწმიდესი სინოდისაგან დაწესებულის სასწავლებლის შესანახავათ, წლიურის ოთხი ათ-ას ოცი მანეთისა. 1872 წლის ნასეგრიდგან აქამომდე ეს თეული შეადგენს არა ნაკლებ ორმოცი ათასი მანეთისა ჯ რჩება ხაზინაში საშუალებათ მომავალის ქუთაისის სემინარიის დასაარსებლათ. . . . მართალია, არა ერთხელ იყო ამაზე ნათხოვნი სამეგრელოს სამღვდელოებისაგან ჯ კმაყოფილება არ მიუღია, მაგრამ, . . . ითხოვოს უმაღლესის მთავრობისაგან აღნიშნული თეულების დაბრუნება სამეგრელოს სასულიერო სასწავლებლისათვის და ამიერიდგან წელიწადში ოთხი-ათ-ას-ოცი მანეთით შემწეობა, სხვა ამ გვარი სასწავლებლებისავით. მოსალოდნელია, რომ კმაყოფილებას მიიღებს, რადგანაც, როგორც ზემოთაც ვთქვით, იმ თავითვე უწმინდესი სინოდისაგან გარდაწყ-

გეტყოდი იყო ეს შემწეობა, სამეგრელოს სამღვდელოების სიღარიბე კიდევ იმდენათ აშკარაა, . . .

ესეც საშუალებები სამეგრელოს სასულიერო სასწავლებლის სწავლით, ზნეობით ⁊ მატერიალურათ გაუმჯობესობისა. თუ სამეგრელოს საზოგადოებას საზოგადოთ ⁊ სამღვდელოებას კერძოთ სურს ამ სასწავლებლის ეხლანდელი . . . მდგომარეობისაგან გამოსვლა, უნდა ეცადოს . . . . . «ცდა» კიდევ, როგორც იტყვიან, «ბედის მონახევრეა».

მ. გურგენიძე

ახალი წიგნებთაგანი.

„ქართველის საერთო მფლობელობაზედ. თხზულება ანტონ ფურცელაძისა. თბილისი. 1881 წ.

ამ უკანასკნელ წლებში საზოგადოთ გამრავლდა ქართულ ენაზედ პერიოდიული ორგანები წერისა და ამ სიმრავლეს მოჰყვა თან ცალკე-ცალკე ბროშიურების ბეჭდვაც. ძნელია კაცმა გადაწერითა სთქვას, რომელი ამ სისტემათაგანი სალხთან საბაასოთ უფრო მოსაწონი, სასარგებლოა, მეტადრე ჩვენში. მე მგონია, ეს უფრო მწერლის პიროვნულ შეხედულობაზეა აშენებული. ამიტომ მეც ჩემ პიროვნულ მოსაზრებაზე მივაგდებ ამ მოვლენის განმარტებას და არავისთვის ვალდებულათ არ გავხდი ჩემს აზრსა. მე ვფიქრობ, რომ ჩვენში კაცი უნდა ჯერ პირველათ დამსასურებული იყოს ქართულ მწერლობაში და, მეორეთ, დიდი იმედი უნდა ჰქონდეს თავის კალმისა, რომ ბროშურებით იმოქმედოს ქართულ საზოგადოებაზედ. უთუოთ შესცდება ჩვენებური მწერალი, უკეთუ ამ ორ გარემოებას არ მისცემს ადგილს, არ აიღ-დაიღებს მათ და, მხოლოდ მათი საფუძვლიანი გამოკვლევის შემდეგ, არ გადასწყვეტს, რომელი გზა აირჩიოს მკითხველებთან სალაპარაკოთ.

ჩვენში ისეთი ნაკლებათ არის მოთხოვნილება წერა-კითხვისა, ისე მცირეა უურადღება მწერლობისაკენ, — ამასთან და ამის გამოისობით თითონ მწერლობასაც იმდენათ მცირე ანდამანტის ძალა მოუპოვებია, რომ კერ იტანებს მკითხველებს

თავის საბრძანებელში, თითქმის ისეთი უმნიშვნელოა, რომ მწერალმა უშველებელი ნიჭი, ცოდნა და გამოცდილება უნდა გამოიჩინოს, რომ მის სიტყვას დაედოს რამე ფასი ცხოვრებაში, გაიკვერნოს მან გზა ქართული მკითხველის გულისა და გონებისაკენ.

ამისთანა გარემოებაში, რომ მწერალი არ გახდეს მსხვერპლათ მკითხველების გულ-გრილობისა, უყურადღებობისა, უველაზე უმჯობესათ მიმაჩნია შეერთებული შრომა, რომელიც ისტება პერიოდულ მწერლობაში. აქ ორგანსა ჭეავს თავისი მკითხველები, რომლებამდისაც მიაღწევს დაბეჭდილი სიტყვა ლ ცოტათი მაინც იმოქმედებს მათ შეხედულობაზედ. გარდა ამისა, ყურნალ-გაზეთებში შრომა კიდევ იმით არის მოსაწონი, რომ აქ მარტო შენ გაცალკევებულ თვისებაზედ არ არის დამყარებული წარმატება, არამედ რამდენიმე პირთა შეერთებული ნიჭიერებით, და ცოდნით მზადდება ერთი გამორჩეული ძალა, რომელიც მოახდენს რამე შთაბეჭდილებას მკითხველებზედ. მასთან, შეერთებულ შრომაში უფრო ადვილია, ერთმანეთთან შეჯასებით, ერთათ მოსაზრებით, მწერალი დაადგეს იმ გზას, რომელიც უფრო შეუმსუბუქებს მკითხველებთან საქმის დაჭერას. ჩვენში, სადაც მოსწავლე ლ ნასწავლი ახალ-გაზდობა ასე დაშორებულია ხალხზედ, მის საჭიროებაზედ, მის მოთხოვნილებაზედ, სადაც ასრე მტირეა ჩვენი საკუთარი ცხოვრების გამოკვლევა და შესწავლა, გაცალკეკებულ კაცს ძალიან ბევრი დავიდარაბა უნდა, რომ უტუფვრათ მიაგნოს, თუ საიდგან უფრო მომეტებულათ მოჭერის სამწერლო ქარი.

მე კეთქრობ, რომ თუ ეს აზრი შემცდარია, მაშ რითი აიხსნება ის მოვლენა, რომ თითქმის არც ერთი ბროშიურა არ მიაღწევს ხოლმე თავის დანიშნულებას, ვერ პოულობს

მკითხველებს,—გაუდგამს თითქმის დაუნგრეველი ძირი საწყალ ქართულ წიგნის მაღაზიებში და, ამ უკანასკნელების პატრონთა გულის შესაღონებლათ, უწყალოთა ობდებიან ეტაყერკებზედ! თუმცა ვერ იტყვის კაცი, რომ ამ ბროშიურებში არ მოიპოვებოდნენ ფრიად საინტერესონი. მაგალითად, თუნდა უ. დიმიტრი ბაქრაძის ისტორიული ბროშურები, ანუ უ. ან. ფურცელაძის ბროშიურა, რომლის სათაურიც ამ შენიშვნის დასაწყისში მოვიყვანეთ.

მთელი ევროპის და ამერიკის საღხთა ეხლანდელი უშველებელი მოძრაობის დედა-აზრი შეადგენს ისეთ საინტერესო, წმინდა და ყველასთვის საყურადღებო მოვლენას, რომ მარტო იმისი დასახელებაც კი უნდა ათასობითა პოულობდეს ჩვენში მკითხველებსა. უ. ფურცელაძემ რიგიანათ განმარტა და ახსნა ელემენტარული მსარე ამ შესანიშნავი მოძრაობისა, რომლის დაჭუხება ათასში ერთხელ ჩვენ მსარეზედაც გაისმის ხოლმე, გვაცქაეტინებს ყურებს, აღძრავს ცნობის მოყვარეობას და რომელზედაც ასე ტოტა რამ კი ვიცით. ამისათანა დროს უ. ფურცელაძის „მამულის საერთო მფლობელობაზედ“ სწორეთ განძი რამ არის. მაგრამ აბა ვინ ამოიღო ხმა ამ ბროშურაზე? ვინ უჩვენა ქართველ კაცსა — ასიღე თვალი და გადაიკითხე ეს ერთი ბეწო წიგნი, იქ ბევრს კარგ რამეს შეხვდებიო?—არავინ. უამისოთ კიდეც ძნელია მკითხველის მოპოვება. ქართველ კაცს მანამ არ ჩაავლებ მოზვერივით ყურში ხელსა ან არ მიიყვან საზრდოსთან, მანამ თითონ, თავისი საკუთარი მოსაზრებით, ვერ მიჭსვდება თავის სასარგებლო და საზიანო საქმეს.

მერე, თითონ ამ ბროშურისთვის უ. ან. ფურძელაძეს ისეთი სახელი უწოდებია, რომელიც არც წიგნის მთელ ში-

ნაარსა ჭსატკვს ლარც ისეთი პოპულიარულია, რომ უმრავლესობა მიხვდეს მის უდიდეს მნიშვნელობას. მართლადაც, აქ არის აღძრული, როგორც ზეგითაც ვსთქვით, დედა-აზრი განათლებულ ხალხთა მოძრაობისა. ეს აზრი მდგომარეობს იმაში, რომ პოლიტიკური უფლებანი უთუოთ მთელ ხალხს უნდა ეპყრას ხელში და არავის კერძოთ არ დაუთმოს იგინი. რაკი ამ მხრით ხალხი მაგრა დაიჭერს თავის საქმეს, მაშინ ეკონომიურ მდგომარეობასაც ისეთ წესზე დააყენებს, რომ არავინ არ დარჩეს დაჩაგრული, ყველა ერთ ბედ-იღბალში იმყოფებოდეს, ერთი არა ცხოვრებდეს მეორეს დაღუპვით და სხვანი. თითონ უ. ფურცელაძე სულ სუთ-ექვს გვერდსა სწერამს მამულის საერთო მფლობელობას. დანარჩენი მისი ძალაზრება შეეხება საზოგადო აზრს ახლანდელი ევროპიული მოძრაობისას.

გარდა ამისა, კიდევ ერთი შენიშვნა მიმაჩნია საჭირო თ. ეს შენიშვნა მდგომარეობს მასში, რომ ასეთი შრომა თხოულობს უთუოთ ენის უბრალოებას და გაგებას. აი, როგორი მძიმე და ულაზათო ადგილები შეგხვდებათ, მსარ-და-მსარ უთვალავ კორექტორულ შეცდომილებასთან, რომელნიც მეტათ აფუჭებენ ამ წიგნსა: გვერ. 24.

რამდენათ მაღლა სდგას საზოგადოთ ხალხის (ის) სარგებლობისათვის (ის) იმ გვარი მამულების (ის) სარგებლობა, მამულების (ის) საშვილის (ის)-შვილოთ დამკვიდრებაზე, მე მოვიყვან ჯერ ერთი ნემენცურის (ის) მეცნიერის (ის) ბარონ გაკსტგაუზენის (ის) რუსეთის (ის) მამულის (ის) საერთო მფლობელობის (ის) აღწერიდგან ალაგებსა,

ამ სუთ სტრიქონში თერთმეტი სიტყვა ბოლოვდება „ის“-ზე, რაც არ უსდება არცჭერთ ენას, ამძიმებს აზრის

ბაგებას. კარგია, რომ ამისთანა მაღალ მნიშვნელობიან საგანს, რომელიც აუღია ბ. ფურცელაძეს, ჯეროვანი უურადღება ჰქონდეს მიქცეული როგორც შინაარსით, ისრე ფორმითაც.

ცაცალა.

რედაქციისაგან საუოველთაო საყურადღებოთ.

ამ 1882 წელსაც ქართული საპოლიტიკო და
სალიტერატურო ჟურნალი

„ი მ ე დ ი“

გამოვა იმავე პროგრამმით, იმავე მიმართულებით, იმავე სიკვრცით, (ე. ი. ოთხი თაბახიდგან ხუთამდის), ძ ახალის დასულოვნებულის თანამშრომლების დასმარებით.

თვასიც ჟურნალისა დარჩება იგივე — წლიურის გამოცემისა თბილისში შინ მიტანით და სხვა ადგილებში გაგზავნით 8 მანეთი, ნახევარ წლისა 4 მ. 50. კ., სამ თვისა 2 მ. 50 კ., ცალკე ნომერი ეღირება 1 მანეთი.

ხელის მოწერა ჟურნალ „იმედზედ“ მიღება ქ. თბილისში: რედაქციაში, რომელიც იმყოფება ჭუკიაშვ, მეორე თუმანიშვილის ქუჩაზედ — № 12, ნემენტების სასაფლაოსთან. უ. შაგერდოვის გაზეთის საგენტოში, „კავკასიის“ საგენტოში. ბარკვიანის წიგნის მაღაზიაში და უ. ხელაძის სტამბაში, გარეშე მცხოვრებელთ შეუძლიანთ დაიბარონ ჟურნალი ამ ადრესით: Въ Тифлисъ. Въ редакцію грузинскаго журнала «ИМЕДИ».

ამ 1882 წლის იანვრიდგან «იმედში» დაბეჭდილ სტატიებისათვის ავტორებს მიეცემათ რედაქციისაგან ფასი ამ რიგათ: ორიგინალური სტატიისათვის ერთ ბეჭვდის თაბახზედ 8 მანეთიდგან 16 მანეთამდის, ნათარგმნზედ — 5-გან

10-მდის; ორიგინალური ლექსისთვის სტრიქონზედ 3 კაპეიკიდგან 6-მდის, ნათარგმნზედ — 2-გან 4-მდის. სტატია თუ ლექსი უნდა იყოს გადაწერილი წმინდათ და გარკვეიო. ვისაც ფასის მიღება სურს მათში, უნდა ზედ წაუწერონ. სტატია, ანუ ლექსი, რომელზედაც არ იქნება ავტორისაგან წარწერილი ფასის მიღების სურვილი, მიიღება როგორც საკუთრება რედაქციისა.

თუმცა ამ 1881 წელში სხვა-და-სხვა მიზეზების გამო თავ-თავის დროზედ ვერ გამოდიოდა ჩვენი ჟურნალი, რისათვისაც ბოდიშს ვითხოვთ მკითხველებთან, მაგრამ მომავალს წელში ვეცდებით თვითოეული ნომერი გამოვცეთ უეჭველად იმ თვის დამლევს, რომელსაც ის ეკუთვნის, ჯ შინაარსითაც გავუმჯობესოთ.

დასასრულ არ შეგვიძლიან არ ვუძღვნათ გულითადი მადლობა ამ წლის ჩვენს ხელის მომწერლებს, რომლებმაც თავიანთის თანაგრძნობით მოგვცეს შემწეობა ჟურნალის დაფუძნებისა ჯ მის გამოცემის გაგრძელებისა. აგრეთვე არ შეგვიძლიან არ ვუძღვნათ გულითადიგე მადლობა უველა ჩვენ თანამშრომლებს, რომლებმაც უსასყიდლოთ სტატიებით ხელი გვიწყეს და გვიწყობენ. ვიმედოვნებთ რომ საკვლაოდაც უველა მოსსენებული პირები არ მოგვაკლებენ თავიანთ თანაგრძნობას და შემწეობას ჩვენგან ნატვირთ საზოგადო საქმეში.

რედაქტორი ჯ გამომცემი მიხეილ გურგენიძე.

„ივერიის“ რედაქციისაგან.

ამ 1882 წელს ჟურნალი «ივერია» გამოვა იმავე სახით და სივრცით, როგორც 1881 წელს გამოდიოდა.

ჟურნალში იქნება სამი განყოფილება: 1) ბელეტრისტიული—რომანები, მოთხრობები, პოემები, წვრილი ლექსები, როგორც ორიგინალურნი, ისე საუკეთესო თხზულებათა თარგმანნი. 2) წერილები ისტორიული, კრიტიკული, ეტნოგრაფიული, მოგზაურობა და სხვ. 3) ქრონიკა: ამ განყოფილებაში განსაკუთრებული ყურადღება ექნება მიქცეული «შინაურს მიმოხილვას». რედაქცია ყოველის ღონის-ძიებით ეცდება, რომ არაკითარი საინტერესო მოვლენა ჩვენს ცხოვრებაში უყურადღებოდ არ დასტოვოს და შეძლებისა-მებრ ჩვენის ქვეყნის ყოველს კუთხეში იყოლიოს სანდო პირნი ცხოვრებისათვის თვალყურის სადევნელად. გარდა შინაურის მიმოხილვისა, ჟურნალში იქნება აგრეთვე რუსეთისა და უცხო ქვეყნების მიმოხილვა—რედაქცია ეცდება თვისა-და-თვის თავზედ წარუდგინოს მკითხველს ყოველივე, რაც კი გარეშე ქვეყნებში შესანიშნავი მოხდება. სამეცნიერო ქრონიკა— წერილები სხვა-და-სხვა სამეცნიერო და ჩვენის ქვეყნელებისათვის საინტერესო საგნებზედ. თეატრი—გარჩეული იქნება კრიტიკულად ჩვენს სცენაზედ ნათამაში პიესები და აგრეთვე აქტიორ-აქტრისების ხელოვნება. ახალი წიგნები— ვრცელი კრიტიკა და შენიშვნები ახალს ქართულს, წიგნებზედ და აგრეთვე უცხო ენით

დაბეჭდილებზედაც, რომელნიც ჩვენს ქვეყანასა და სალხს შეეხებიან. სხვა-და-სხვა ამბები—მეცნიერებისა და ლიტერატურისა.

წიგნები «ივერიისა» გამოვა ყოველს თვისა-და-თვის დამდეგს.

ხელის-მოწერა მიიღება მხოლოდ მთელის წლით.

ფასი

«ივერიისა» 1882 წლისა (თორმეტი წიგნი) 7 (შვიდი) მანათი. ვისაც ერთად შემოტანა ვრა სურს, შეუძლიან ოთხი მანათი ჯერველს იანვრამდე შემოიტანოს და სამი მანათი ბერგელს მაისამდე.

ყურნალზედ ხელის-მოწერა მიიღება «ივერიის» რედაქციაში, რომელიც იმყოფება თბილისში, ხვის ქუჩაზედ, ფარესაშვილის სახლებში, № 9, და აგრეთვე შავერდოვის საკანტორში, ალექსანდროვის ბაღთან.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთ ფული და წერილები შემდეგის ადრესით უნდა გამოგზავნონ:

Въ Тифлисъ
Въ Редакцію журнала «ИВЕРІЯ.»

რედაქტორები ი. ჭავჭავაძე ⁄ ი. ძაჩაბელი.

ამა 1882 წელს

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

«ᲬᲠᲝᲛᲐ»

გამოვა იმავე პროგრამმით და მიმართულებით, როგორც 1881 წელს გამოდიოდა.

გაზეთის პროგრამმა:

I. სტატიები თანამედროვე კითხვებზედ, II. ტელეგრამმები, III. ადგილობრივი ამბები და შენიშვნები, IV. ახალი სალიტერატურო, საზოგადოებრივი და საპოლიტიკო ცნობები, V. ქრონიკა ადგილობრივის თვით-მმართველობისა, VI. შინაგანი და გარეგანი წერილები, VII. საპოლიტიკო მიმოხილვა გარეგანი და შინაგანი, VIII. კრიტიკული მიმოხილვა თანამედროვე ლიტერატურისა, IX. ფელეტონი: მოთხრობები, სცენები, ლექსები და სხვა-და-სხვა შენიშვნები, X. ისტორიული მიმოხილვა კავკასიის აქეთა მხარისა, XI. სამსაჯულო ცნობები და შენიშვნები, XII. ცნობათ ფურცელი და განცხადებანი.

გაზეთი გამოვა ოთხშაბათობით, საშუალო სიგრძეთ ქაღალდის ფურცელზედ, ხანდისხან დამატებით.

გაზეთის გამოსაწერი ფასი. სახლში მიტანით და სხვა ქალაქებში. გაგზავნით: ერთის წლისა—შვიდი მანეთი, ნახევარ წლისა—ოთხი მანეთი, სამის თვისა—ორი მანეთი და ხუთი შაური.

ხელის-მოწერა მიიღება:

ქ. ქუთაისში: 1) გაზეთის რედაქციაში, ნემცების ქუჩაზედ, კნეინა მაჭუტაძის სახლში, 2) ბ. გ. წულუკიძის სტამ-

ბაში, თბილისის ქუჩაზედ, ერიკოვის სახლში და 3) ძმების ნიკოლაძეების მაღაზიაში.

ქ. თბილისში: შვეიცარიის გაზეთების საგენტოში.

ქუთაისს გარეშე მცხოვრებთა თავიანთის მოთხოვნილებით პირდაპირ რედაქციას უნდა მიმართონ.

რედაქტორი თ. Dim. Ill. Dadiani.

გამომცემლები: თ. Ლ. ე. Dadiani ‡ Ლ. ა. ნაზაროვი.

ОБЪ ИЗДАНІИ

въ 1882 г. въ г. Тифлисѣ еженедѣльнаго юридическаго журнала

„ЮРИДИЧЕСКОЕ ОБОЗРѢНІЕ"

(годъ второй)

Журналъ, какъ и въ 1881 году, будетъ выходить по четвергамъ въ размѣрѣ до 2 печатныхъ листовъ текста, кромѣ приложеній, по прежней программѣ, *въ объемъ которой входятъ* статьи по всѣмъ вопросамъ, *вытекающимъ* изъ теоріи и практики права и судопроизводства, перечень, изложеніе и обсужденіе *важнѣйшихъ* распоряженій и узаконеній правительства, *краткіе* отчеты (а въ случаяхъ важныхъ, и стенографическіе) о выдающихся судебныхъ дѣлахъ, *особенно интересныя* гражданскія рѣшенія, *случаи изъ судебной жизни и практики* (смѣсь), корреспонденціи *юридическаго содержанія*, городская хроника, *перечень* новыхъ книгъ *юридическаго содержанія*, обзоръ печати, тезисы кассаціонныхъ рѣшеніи *Правительствующаго Сената и Тифлисской Судебной палаты*, судебный указатель *и проч.*

Заботясь о посильномъ выполненіи своей программы, журналъ заручился сотрудничествомъ сверхъ многихъ лицъ

судебнаго вѣдомства, также и нѣкоторыхъ профессоровъ-юристовъ.

Редакція *журнала*—*Тифлисъ Ново-Бебутовская ул. д. № 6*— Администрація (для пріема подписки, объявленій и разничной продажи)—*Тифлисъ, Сололакская ул. д. № 40.* Подписная цѣна на журналъ, *съ доставкою и пересылкою, на годъ*—10 р., на 9 мѣс. 8 руб. 20 к., на 6 мѣс. 6 р., на 3 мѣс. 3 р. 20 к., на 1 мѣс. 1 р. 20 к. Разсрочка въ платежѣ денегъ—по соглашенію съ администраціею журнала. Подписаться можно съ 1-го числа каждаго мѣсяца, и не далѣе конца года—Отдѣльные нумера по 25 к. Объявленія, казенныя и частныя, по таксѣ за занимаемое мѣсто.

Иногородныхъ просятъ обращаться исключительно въ администрацію журнала.

Издатель А. С. Френкель,
Присяжный повѣренный

Редакторъ А. В. Степановъ

ამა 1882 წელს ყოველ-დღიური გაზეთი

«დროება»

გამოვა იმავე პროგრამმითა და რიგით და იმავ თანამშრომლების დასმარებით, როგორც აქამდის გამოდიოდა. როგორც გაზეთის დაარსებიდამვე ცდილობდა რედაქცია, რომ მუდამ წელიწადს ტოტ-ტოტათი მაინც, შეძლებისა-და-გვარად, გაეუმჯობესებინა გაზეთი, ისე მომავალ წელსაც ეცდება და იმედი აქვს, რომ ზოგიერთი სასიკეთო ცვლილება შემოიღოს გაზეთში და გაუმჯობესოს იმის გამოცემა.

ხელის-მოწერა მიიღება;

თბილისში: «დროების» რედაქციის კანტორაში, გალა-

ვინის პროსპექტზე, თ. ივ. კ. მუხრანსკის სახლებში, კლუბის ქვემოთ.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა ამ ადრესით უნდა მოითხოვონ გაზეთი. Въ Тифлисъ, Въ редакцію газеты «ДРОЭБА».

«დროებაზე» და «ივერიაზე» ორივეზე ერთად ხელის-მოწერა მომავალის წლიდამ არ მიიღება.

ფასი ხელის-მოწერისა:

ერთის წლით	9 მან.
ნახევარის წლით	5 „
სამის თვით	3 „
ერთის „	1 „

სხვა ვადით ხელის-მოწერა არ შეიძლება. ხვედრი თუ ხელის-მომწერმა გაზეთის დაბარებისათანავე უნდა გამოგზავნოს რედაქციაში. ვითხოვთ აგრეთვე, რომ თავის სახელი-და-გვარი და სამცხოვრებელი ადგილი გარკვევით დასწერონ.

რედაქტორი სერ. მეესხი.
გამოშცემელი ს. მელიქიშვილი.

ОТКРЫТА ПОДПИСКА

на художественно-юмористическій журналъ СЪ КАРРИКАТУРАМИ

„ГУСЛИ"

на 1882 годъ

«Гусли» будетъ издаваться въ Тифлисѣ подъ редакціей *И. Ф. Тхоржевскаго*, при постоянномъ участіи *А. И. Пальма*.

Каррикатуры и рисунки будутъ исполняемы *М. М. Чемодановымъ* и *Струной* (псевдонимъ).

УСЛОВІЯ ПОДПИСКИ:

Въ городѣ съ доставкой:

На годъ — — — — — — — — — — — 8 р.
« 6 мѣсяцевъ — — — — — — — — 4 р. 50 к.

Съ разсылкой по имперіи:

На годъ — — — — — — — — — — — 8 р. 50 к.
« 6 мѣсяцевъ — — — — — — — — 5 р.

Въ декабрѣ мѣсяцѣ вышло четыре нумера «Гусли». Подписчики 1882 года получатъ эти №№ безплатно.

Иногородные адресуются прямо: *Въ Тифлисъ, въ редакцію журнала «ГУСЛИ»*

редакторъ-издатель *Ив. Тхоржевскій*

474
1882

1882 წლის ჟურნალ „იმედზედ“ ხელის-მოწერა მიიღება ქ. თბილისში: რედაქციაში, რომელიც იმყოფება კუკიაში, მეორე თუმანიშვილის ქუჩაზედ, ნემენცების სასაფლაოთან, № 12, უ. შავერდოვის ვაზეთის საგენტოში, უ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში, „კავკაზის“ საგენტოში და ექვთიმე ხელაძის სტამბაში.

გარეშე მცხოვრებლებს შეუძლიანთ დაიბარონ ჟურნალი ამ ადრესით: *Въ Тифлисъ. Въ редакцію грузинскаго журнала „ИМЕДИ.“*

ფასი წლიურის გამოცემისა გაგზავნით სხვა ქალაქებში და თფილისში შინ მიტანით არის 8 მან.

ნახევარი წლისა — — — — —	4 მ. 50 კ.
სამი თვისა — — — — — —	2 მ. 50 კ.
ცალკე ნომერი ღირება — — — —	1 მ.

ვისაც ჟურნალი მისდით და სვედრი ფული ჯერ არ შემოუტანიათ, ვთხოვთ მალე წარმოადგინონ. ვთხოვთ აგრეთვე იმათაც, ვისაც მარტო პირველი ნახევარი წლის ფასი აქვსთ წარმოდგენილი, მალე გამოგზავნონ მეორე ნახევარ წლის სვედრი ფულიც.

ვისაც რომელიმე ნომერი ჟურნალისა არ მისულიათ, ან არ მიუვიდესთ, ვთხოვთ გვაცნობონ და დაკარგული ნომრები გაეგზავნებათ ხელ-ახლად.

რედაქციაზედ დამოუკიდებელის მიზეზისა გამო ზოგიერთი სტატიები, გამზადებულნი ამ წიგნისათვის, დაიბეჭდენ, არა სრულიად.

რედაქტორი ⁊ გამომცემი მ. გურგენიძე.